


თბილისის უნივერსიტეტის შრომები

171



ეკონომიკა

თბილისი 1976



Контрольный экземпляр

საქართველოს
საბჭოთავო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აქადემია



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS



ЭКОНОМИКА
ECONOMICS

Контрольный экземпляр

ე კ მ ბ მ ი კ ა

სარედაქციო კოლეგია

ვ. გურგენიძე (რედაქტორი), გ. ადეიშვილი, ვ. ადვაძე, ა. კუჭუხიძე, ს. სოსელია, გ. ბერკაცაშვილი, ი. რიბაჩენკო.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В. Г. Гургенидзе (редактор), Г. Г. Адеишвили, В. С. Адвадзе, А. А. Кучухидзе, С. Д. Соселия, Г. В. Беркацашвили, И. В. Рибаченко.

EDITORIAL BOARD

V. Gurgeniidze (editor), G. Adeishvili, V. Advadze, A. Kutchukhidze, S. Soselia, G. Berkatsashvili, I. Ribachenko

თბილისის უნივერსიტეტის შრომებზე, დაწყებული 160-ე ტომიდან, აღინიშნება მხოლოდ ერთი — მზარდი ნომერი (საერთო ნუმერაცია „შრომების“ დაარსებიდან დღემდე).

Труды Тбилисского университета, начиная со 160-го тома, выходят только под одним нарастающим номером (общая нумерация с основания «Трудов» по н/время).

Beginning with volume 160 the *Proceedings of Tbilisi University* will bear only one consecutive number counting from the first issue.

სარედაქციო კოლეგიისაგან

ყოველწლიური „შრომების“ გამოცემის უპირველესი მიზანია თბილისის უნივერსიტეტში შექმნილი მეცნიერული პროდუქციის გამოქვეყნება და მისი მიწოდება სათანადო წრეებისათვის როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. სწორედ ამიტომ კრებულში სტატიები არა მხოლოდ მშობლიურ ქართულ ენაზე დაისტამბება, არამედ რუსულადაც და ერთ-ერთ გავრცელებულ უცხოურ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) რეზიუმეს უცილობელი თანდართვით.

ეჭვი არაა, ქართველ ეკონომისტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, კერძოდ თბილისის უნივერსიტეტში, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს; არც ის უნდა იყოს სადავო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ ავიმადღეთ ხმა საკავშირო სარბიელზე. ამრიგად, ჩვენს კრებულს დიდად საპატიო და საპასუხისმგებლო მისია აკისრია. აქ უნდა გამოქვეყნდეს მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარების თანამედროვე მოთხოვნათა შესატყვისი შრომები, პოლემიკური ხასიათის სტატიები, კრიტიკული წერილები და რეცენზიები ქართველ, საბჭოთა და საზღვარგარეთელ ავტორთა მნიშვნელოვან შრომებზე; შესაბამისად, დასაბუქდად წარმოდგენილი შრომების ავკარგიანობის ერთადერთი საზომი მათი მეცნიერულ-პრაქტიკული ღირებულება იქნება. რედკოლეგია არ მოერიდება თუნდაც ერთ კრებულში პრინციპულად განსხვავებული მეცნიერული კონცეფციის მქონე სტატიათა გამოქვეყნებასაც, რადგან ღრმად სწამს, რომ მხოლოდ მეცნიერული სჯა-კამათი, აზრთა დაპირისპირება და უკომპრომისო პაექრობაა ჭეშმარიტების შემეცნების ერთადერთი გზა.

რედკოლეგია თხოვს ავტორებს, პირველ რიგში კი თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწე ეკონომისტებს, აქტიურად ითანამშრომლონ „შრომებში“, თავიანთ და საერთოდ, ქართული ეკონომიური მეცნიერების ღირსების საქმედ ჩათვალონ

ყოველი მეცნიერული სიახლის, მიღწევათა თავდაპირველად ჩვენს კრებულში
გამოქვეყნება.

ჩვენ მადლიერების გრძნობით მივიღებთ ყოველ საქმიან შენიშვნას, ^{მეცნიერული} ~~საქმიან~~
მელიც კრებულის ღირსებათა გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. შინაარ-
სითა და ფორმით ყოველმხრივ დახვეწილი და მეცნიერულ წრეებში აღიარე-
ბული „შრომების“ გამოცემა, რისკენაც განუხრელად უნდა ვისწრაფოდეთ, არა
მხოლოდ რედკოლეგიის, არამედ ქართული ეკონომიური მეცნიერების ყველა
გულშემატკივრის საპატიო მოვალეობაა.

პოლიტიკური ეკონომიის პრობლემები

ПРОБЛЕМЫ ПОЛИТИЧЕСКОЙ ЭКОНОМИИ

„კაპიტალის“ რედაქცია ფ. ენგელსის მიერ და მისი ისტორიული მნიშვნელობა


არჩილ ფანცხავა

კ. მარქსის შემდეგ ფ. ენგელსი თანამედროვე პროლეტარიატის ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი და მასწავლებელია. ამიტომაც მათი, თანამედროვე სოციალიზმის ფუძემდებლების, სახელები ერთმანეთისაგან განუყოფელია.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის პირადი მიმოწერა ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ სისტემატურად მიმართავდა კ. მარქსი ფ. ენგელსს რჩევისათვის, როგორი „დებატები“* იმართებოდა მათ შორის და რა დიდ დახმარებას უწევდა ფ. ენგელსი კ. მარქსს „კაპიტალის“ პრობლემების დამუშავებაში; მაგალითად, 1867 წლის 3 ივნისს კ. მარქსი სთხოვს ფ. ენგელსს („კაპიტალის“ I ტომის კორექტურის პერიოდში) დაწვრილებით ეცნობებინა მისთვის, თუ რომელი პუნქტების პოპულარიზაცია იყო საჭირო დამატებაში ღირებულების ფორმების გადმოცემისას [2(გვ. 215)].

ფ. ენგელსის აზრით, [2(გვ. 215—217)], სულ დიდი, რაც უნდა გაკეთებულიყო, ის იყო, რომ უფრო დაწვრილებით უნდა დასაბუთებულიყო ისტორიულად ის, რაც მიღებულია დიალექტიკური გზით. შენ შეგიძლია გააკეთო შესანიშნავი ექსკურსი ამ თემაზე—წერს იგი მარქსს,—დაუმტკიცო ფილისტერს ისტორიული გზით ფულის წარმოქმნის აუცილებლობა და უჩვენო აქ მომხდარი პროცესი. ენგელსის აზრით, კ. მარქსს უფრო თვალსაჩინო უნდა გაეხადა აზრთა მსვლელობა ამ შედარებით აბსტრაქტული გამოკვლევისა, ცალკეულ წვრილ ქვეგანყოფილებათა და ქვესათაურების საშუალებით. ეს ნაწილი იმგვარად უნდა დაემუშავებინა, როგორც აგებულია პეგელის „ენციკლოპედია“—მოკლე პარაგრაფებით, გამოეყო ცალკეულ დიალექტიკურ გადასვლა საგანგებო სათაურით, შეძლებისამებრ, ყველა ექსკურსი და უბრალო მაგალითები დაებეჭდა გასაკეთებელი შრიფტით. ეს რამდენადმე მისცემდა წიგნს სახელმძღვანელოს სახეს, მაგრამ მკითხველთა ფართო წრეს საგრძნობლად გაუადვილებდა მის გაგებას.

* იხ. კ. მარქსის წერილი ფ. ენგელსისადმი, 9 აგვისტოს, 1862 წ. [2(გვ. 171)].



ფართო საზოგადოება, განსწავლულიც კი, ახლა უკვე სულ გადაუჭრავს ვარ აზროვნებას, და მათ რაც შეიძლება უნდა შევეუმსუბუქოთო — წერდა იგი. პირველ გამოცემასთან შედარებით (დუნკერი) * შესამჩნევი იყო დიალექტიკური განვითარების მნიშვნელოვანი პროგრესი, თუმცა, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, მას ზოგი რამ გადმოცემის მხრივ აღრინდელი უფრო მოსწონებია.

პასუხად კ. მარქსი სწერდა ფ. ენგელსს, რომ ამ წერილთან ერთად მიიღებდა შემდგომ ოთხ თაბახს ** და იმედოვნებდა, რომ კმაყოფილი დარჩებოდა ამით, თუმცა იგი აქამდეც კმაყოფილი იყო, და ეს მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ყველა იმაზე, რისი თქმაც შეეძლო ამის შესახებ მთელ სამყაროს. ყოველ შემთხვევაში, მას იმედი აქვს, რომ ბურჟუაზია სანამ არსებობს, დაიმასსოვრებს მის კარბუნეკულებს [2 (გვ. 217—218)].

რაც შეეხება ღირებულების ფორმის განვითარებას, კ. მარქსი „მიჰყვა და არც მიჰყვა“ ენგელსის რჩევას, რომ აქაც დაეჭირა თავი დიალექტიკოსად. ეს ნიშნავს, რომ მან დაწერა დამატება, რომელშიც გადმოსცა იგივე საკითხი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მარტივად და სკოლარულად, შემდეგ მისი რჩევის თანახმად, განვითარების თვითეული მომდევნო ეტაპი პარაგრაფში და ა. შ. თავისი სათაურით გამოჰყო.


წინასიტყვაობაში მარქსი ურჩევს „არადიალექტიკურ“ მკითხველს, რომ გამოტოვოს ესა თუ ის გვერდი და წაიკითხოს დამატება. აქ საქმე ეხება არა მხოლოდ ფილისტერებს, არამედ აგრეთვე ახალგაზრდობას, რომელიც თვითგანვითარებას ესწრაფვის და ა. შ. ამას გარდა, ეს განყოფილება მეტად მნიშვნელოვანია მთელი წიგნისათვის. ბატონმა ეკონომისტებმა, წერს მარქსი, აქამდე ვერ შეამჩნიეს მეტად უბრალო მოვლენა, — სახელდობრ, რომ ფორმა: 20 ადლი ტილო უდრის 1 სერთუქს — არის მხოლოდ განუვითარებელი საფუძველი ფორმისა: 20 ადლი ტილო = 2 გირვანქა სტერლინგს, და, რომ, მაშასადამე, ეს არის უმარტივესი საქონლური ფორმა, რომელშიც მისი ღირებულება გამოხატულია ჯერ კიდევ არა ყველა დანარჩენ საქონელთან შეფარდების სახით, არამედ მხოლოდ თავისი საკუთარი ბუნებრივი ფორმისაგან განსხვავების სახით.

ეს ფორმა — წერს მარქსი — მოიცავს ფულადი ფორმის და ამასთან, ჩანასახში შრომის პროდუქტის ყველა ბურჟუაზიული ფორმის მთელ საიდუმლოებას. პირველ გამოცემაში (დუნკერი) მარქსმა თავიდან აიშორა განვითარების სიძნელეები იმის გამო, რომ იქ იძლეოდა საკუთრივ ღირებულების გამოხატულების ანალიზს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც იგი ჩნდება უკვე განვითარებული სახით, როგორც ფულადი გამოხატულება. მომდევნო წერილში კ. მარქსი (1867 წლის 27 ივნისს) ამ „დამატების“ სტრუქტურას კიდევაც აცნობს ფ. ენგელსს უფრო დაწვრილებით [2 (გვ. 222—223)]: იმისათვის — წერს კ. მარქსი, — რომ შენ შეგეძლოს დაინახო, როგორ ზუსტად მივყევი შენს რჩევას დამატების დაწერისას, მომყავს ქვემოთ სტრუქტურა — პარაგრაფები, დასაბუთებანი და ა. შ. — ამ დამატებისა ***.

* აქ ფ. ენგელსს მხედველობაში აქვს კ. მარქსის წიგნი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, რომელიც გამოვიდა ფ. დუნკერის გამოცემით 1859 წ.

** „კაპიტალის“ I ტომი იბეჭდებოდა ჰამბურგში.

*** აღსანიშნავია, რომ ამ „დამატებაში“ კ. მარქსს ნაჩვენებია აქვს საქონლის ეკვივალენტური ფორმის არა მხოლოდ სამი, არამედ მეოთხე თავისებურებაც. იგი წერს: „ც) ეკვივალენტურა



კ. მარქსის „კაპიტალის“ I ტომის I თავის ზემოხსენებული (ლირებულების ფორმა) მოთავსებული იყო „კაპიტალის“ I ტომის ბოლოს, მაგრამ ამ ტომის მეორე და შემდგომ გერმანულ გამოცემებში იგი ზოგი ცვლილებით მან შეიტანა ძირითად ტექსტში [1(გვ. 64—94)]. ამის შესაბამისად მოხსნილ იქნა მითითება ამ დამატების შესახებ აღნიშნული ტომის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში [2(გვ. 605)]. ბევრ ძვირფას თეორიულ დებულებას შეიცავს, აგრეთვე, მათი მიმოწერა „კაპიტალის“ სტრუქტურის შესახებ (1858 წლის 9 აპრილს), რენტის თეორიის (1862 წლის 2 და 9 აგვისტოს, 1869 წლის 19 და 26 ნოემბრის), კ. მარქსის წერილი ფ. ენგელსისადმი კვლავწარმოების თეორიის (1863 წლის 6 აგვისტოს), კ. მარქსის წერილები ფ. ენგელსისადმი მოგების ნორმისა და მოგების შესახებ (1868 წლის 22 და 30 აპრილს და ა. შ.) [2].


კ. მარქსი ისე გარდაიცვალა, რომ ვერ მოასწრო საბოლოოდ დაემუშავებია თავისი გენიალური შრომა კაპიტალზე, მაგრამ შავად იგი მზად იყო და მეგობრის სიკვდილის შემდეგ ფ. ენგელსი შეუდგა მძიმე შრომას — II—III ტომების რედაქტირება-დამუშავებას და გამოცემას. 1885 წელს ფ. ენგელსის რედაქციით გამოვიდა კაპიტალის II ტომი, ხოლო 1894 წელს—III ტომი (IV ტომის დამუშავება ვერ მოესწრო, იგი გამოიცა ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ); ამიტომაც ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „კაპიტალის“ ეს ორი ტომი „ორი ადამიანის — მარქსისა და ენგელსის ნაშრომია“ [3(გვ. 14)]. „მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს „კაპიტალში“ კაპიტალიზმის საფუძვლების ანალიზი“ — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი [4(გვ. 93)]. ამით ფ. ენგელსმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მეცნიერული კომუნიზმის უკვდავ საგანძურში.

§ 1. „კაპიტალის“ I ტომის რედაქცია

ფ. ენგელსმა განახორციელა „კაპიტალის“ I ტომის მესამე (1883 წ.) და მეოთხე (1890 წ.) გერმანული გამოცემები, გაუკეთა წიგნის ტექსტს საბოლოო რედაქცია. იგი რედაქტორი იყო აგრეთვე „კაპიტალის“ ინგლისური გამოცემისა (1886 წ.). დაწერა „კაპიტალის“ I ტომისათვის რიგი ახალი შენიშვნები, წინასიტყვაობანი.

როგორც ფ. ენგელსი იუწყება თავის წინასიტყვაობაში „კაპიტალის“ I ტომის მესამე გერმანული გამოცემისათვის (1883 წ.), კ. მარქსს თავდაპირველად განზრახული ჰქონდა გადაემუშავებია I ტომის ტექსტის უდიდესი ნაწილი, უფრო მკაფიო ფორმულირებანი მიეცა ზოგიერთი თეორიული დებულებისა, დაემატებინა ახალი, შეევსო ისტორიული და სტატისტიკური მასალა უახლესი დროის მონაცემებით. მაგრამ ავადმყოფობამ და მეორე ტომის საბოლოო რედაქციაზე მუშაობის აუცილებლობამ ხელი ააღებინა მას ამ განზრახვაზე. ამიტომ რედაქტორი — ფ. ენგელსი იძულებული იყო ყველაზე აუცილებელი ცვლილებებით შეზღუდულიყო და შეეტანა მხოლოდ ის დამატებანი, რომელსაც უკვე მოიცავდა ამ დროს გამოსული ფრანგული თარგმანი (1872—1875 წწ.).

ფრანგის თავისებურებანი... - მეოთხე თავისებურება: საქონლური ფორმის ფეტვიში გამოდის ეკვივალენტურ ფორმაში უფრო ნათლად, ვიდრე ლირებულების შეფარდებით ფორმაში“ [2(გვ. 222)].



„კაპიტალის“ I ტომის ეს ფრანგული გამოცემა * (თარგმანი) განსაკუთრებით წიგნის უკანასკნელ ნაწილში, მნიშვნელოვან ცვლილებებსა და დამატებებს შეიცავდა მეორე გერმანული გამოცემის ტექსტთან შედარებით. ამიტომაც კ. მარქსი ფრანგული გამოცემის შესახებ აღნიშნავდა: „როგორც უნდა იყო მისი ლიტერატურული ნაკლი, ამ ფრანგულ გამოცემას ორიგინალისაგან დამოუკიდებელი მეცნიერული ღირებულება აქვს და ამიტომ ამ გამოცემით უნდა ისარგებლონ იმ მკითხველებმაც, რომლებმაც გერმანული ენა იციან“ [1(გვ. 28)].

„კაპიტალის I ტომის მესამე გამოცემის დროს ფ. ენგელსი არ ცვლიდა არც ერთ სიტყვას, თუ დარწმუნებული არ იყო, რომ თვით ავტორი შეცვლიდა მას.

„კაპიტალის“ I ტომის ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობაში (1886 წ.)** ფ. ენგელსი წერდა, რომ მისი დიდი ნაწილი თარგმნა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ძველმა მეგობარმა სამუელ მურმა და აგრეთვე დ-რეველინგმა, რომელსაც ამ საქმეში ეხმარებოდა მისი მეუღლე (კ. მარქსის უმცროსი ქალიშვილი). მთელს ჩვენს მუშაობას, აღნიშნავს ფ. ენგელსი, საფუძვლად დაედო მესამე გერმანული გამოცემა.

ფ. ენგელსის მიერ გამოქვეყნებულ იქნა კ. მარქსის მითითებანი ინგლისური თარგმანის მიმართ; ეს თარგმანი გათვალისწინებული იყო ათი წლის წინათ ამერიკაში, მაგრამ ვერ განხორციელდა შესაფერისი მთარგმნელების უყოლობის გამო. ხელნაწერი, რომელიც ამ მითითებებს შეიცავდა, ფ. ენგელსს გადასცა მათმა ძველმა მეგობარმა ფ. ა. ზორგემ ჰობოკენიდან (ნიუ-ჯერსის შტატი).

იყო ერთი სიძნელე—შენიშნავს ფ. ენგელსი,— რომელსაც მკითხველს თავიდან ვერ ავაცილებდით; ეს იყო ზოგიერთი ტერმინის ხმარება ისეთი მნიშვნელობით, რომელიც განსხვავდება მისი მნიშვნელობიდან არა მარტო ყოველდღიური სიტყვანმარების დროს, არამედ ჩვეულებრივ პოლიტიკურ ეკონომიაშიც, მაგრამ მისი ხმარება გარდუვალი იყო.

„ყოველი ახალი თვალსაზრისი მეცნიერებაში — წერს ფ. ენგელსი — გულისხმობს გარკვეულ რევოლუციას ამ მეცნიერების ტექნიკურ ტერმინებში. ამას

* ამ ფრანგული გამოცემის შესახებ კ. მარქსი წერდა მ. ლაშატრს (წინასიტყვაობა ფრანგული გამოცემისათვის, 1872 წ.), რომ „თქვენი იდეა—„კაპიტალის“ თარგმანი პერიოდული ნაკვეთების სახით გამოიცეს, ძალიან მომწონს. ასეთი ფორმით ნაწარმოები უფრო ხელმისაწვდომი იქნება მუშათა კლასისათვის და ეს მოსაზრება კი ჩემთვის ყველა სხვა მოსაზრებაზე მნიშვნელოვანია.

ასეთი მედალის წინა მხარე; მაგრამ არის მისი უკანა მხარეც: ანალიზის მეთოდი, რომლითაც მე ვზარგებლობ და რომელიც დღემდე არ ყოფილა გამოყენებული ეკონომიური საკითხების მიმართ, საკმაოდ ძნელ საკითხავად ხდის პირველ თავებს და ვშიშობ, რომ ფრანგულ საზოგადოებას... არ დაეკარგოს ინტერესი წიგნისადმი, თუ იგი კითხვის დაწყებისთანავე ვერ შეძლებს ერთბაშად შემდგომ თავებზე გადასვლას“ [1(27)].

— აქ მხოლოდ ერთი რამ შემიძლია — აღნიშნავს კ. მარქსი — „წინასწარვე მივაქციო ჰემ-მარიტებს მოწყურებული მკითხველის ყურადღება ამ სიძნელეზე და გავაფრთხილო იგი. მეცნიერებაში არ არსებობს ფართო შარავზა (route royale), და მხოლოდ მას შეუძლია მიიღწიოს მის ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა მის კლდოვან ბილიკებზე ასვლისას“ [1(გვ. 27)].

** „კაპიტალის“ I ტომის პირველი ინგლისური გამოცემა ფ. ენგელსის რედაქციით გამოვიდა ორ წიგნად 1887 წელს; 1889 და 1891 წწ. ეს გამოცემა გამოვიდა უკვე ერთ წიგნად [5(გვ. 427)].

საუკეთესოდ ადასტურებს ქიმიკი, სადაც მთელი ტერმინოლოგია რადიკალური იცვლება ყოველ ოც წელიწადში“ [1(გვ. 35)]. პოლიტიკური ეკონომია ჩვეულებრივ კომერციული და სამრეწველო ცხოვრების ტერმინებს იმ სახით იღებდა, — აღნიშნავს ფ. ენგელსი — რა სახითაც მათ პოულობდა და იყენებდა. იგი ვერ ამჩნევდა, რომ თავს იზღუდავდა იმ ცნებათა ვიწრო ფარგლებში, რომელსაც ეს ტერმინები გამოხატავენ. ამის მაგალითია კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია.

მაგრამ თავისთავად ცხადია — წერს ფ. ენგელსი — რომ თეორია, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოებას ეკონომიური ისტორიის მხოლოდ წარმავალ სტადიად განიხილავს, უნდა ხმარობდეს იმ ავტორების ჩვეულებრივი ტერმინოლოგიისაგან განსხვავებულ ტერმინებს, რომლებიც წარმოების ამ ფორმას მარადიულ და საბოლოო ფორმად განიხილავენ [1(გვ. 36)].

„კაპიტალის“ I ტომის მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობაში (1890 წელს) ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ მეოთხე გამოცემა მოითხოვდა მისგან როგორც ტექსტის ისე შენიშვნების საბოლოო დადგენას.

მართლაც მან ამ ამოცანის შესასრულებლად ფრანგული გამოცემისა და კ. მარქსის ხელნაწერი შენიშვნების ხელახლა შედარების შემდეგ კვლავ შეიტანა გერმანულ ტექსტში ფრანგულიდან ამოღებული რამდენიმე დამატება.

გარდა ამისა, ფრანგული და ინგლისური გამოცემების მიხედვით ფ. ენგელსმა შეიტანა ტექსტში ვრცელი შენიშვნა მაღაროს მუშების შესახებ და, აგრეთვე, — დამატებით რამდენიმე განმარტებითი შენიშვნა*.

აქვე ფ. ენგელსი აცამტვერებს ბურჟუაზიული აპოლოგეტების, პროფესორ ბრენტანოს და სხვ. ცილისმწამებლურ თავდასხმებს „კაპიტალის“ I ტომზე იმის შესახებ, რომ ვითომ კ. მარქსს შეეთხზას და დაემახინჯებინოს გლადსტონის მიერ წარმოთქმული საბიუჯეტო სიტყვიდან (1863 წლის 16 აპრილს) მოტანილი ციტატა („კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონი“, თავი XXIII) [1(გვ. 41—46)], რაც სინამდვილეს აბსოლუტურად არ შეეფერებოდა.

ფ. ენგელსმა „კაპიტალის“ I ტომის მეოთხე გამოცემისას სავსებით შეასრულა მისი ამოცანა — საბოლოოდ დაადგინა როგორც ამ ტომის ტექსტი, ისე შენიშვნებიც.

ამჟამად „კაპიტალის“ I ტომი ყველგან გამოიცემა და ითარგმნება მეოთხე გერმანული გამოცემის მიხედვით. თუ „კაპიტალის“ I ტომის რედაქცია, რომელიც ფ. ენგელსის სიტყვებით „თავისთავად უაღრესად დამთავრებული ნაშრომი“ იყო, ასეთ „შრომატევად პროცესს“ წარმოადგენდა, ადვილად წარმოსადგენია, თუ რაოდენი შრომა დასჭირდებოდა ფ. ენგელსს „კაპიტალის“ II და III ტომების რედაქტირებას, რომელთა საბოლოო დამუშავება კ. მარქსმა ვერ მოასწრო.

I ტომის რედაქციაზე ფ. ენგელსმა ხანგამოშვებით იმუშავა 7 წლამდე (1883—1890 წწ.).

* ყველა ეს დამატებითი შენიშვნა მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში და მიწერილი აქვს ფ. ენგელსის ინიციალები.

§ 2. „კაპიტალის“ II ტომის რედაქცია

„კაპიტალის“ II ტომის გამზადება დასაბუთებლად — აღნიშნავს ფ. ენგელსი თავის წინასიტყვაობაში (1885 წ.) — თანაც ისე, რომ იგი ყოფილიყო გამართული და დასრულებული ნაწარმოები და ამასთან ნაწარმოები მხოლოდ ავტორისა და არა რედაქტორისა — ადვილი საქმე არ იყო [6(გვ. 1)]. რედაქტორის მუშაობას ართულებდა დამუშავებული ხელნაწერების სიმრავლე, რომელთაც მეტწილად ფრაგმენტების ხასიათი ჰქონდათ. მხოლოდ ერთი ხელნაწერი (IV) იყო ბეჭდვისათვის სავსებით რედაქტირებული, მაგრამ აქაც, ამ ხელნაწერის უდიდესი ნაწილი მოძველებული იყო. მასალა თუმცა მეტწილად დამუშავებული იყო, მაგრამ არ იყო გამართული ენობრივად. იგი დაწერილი იყო ისეთი ენით, როგორთაც კ. მარქსი ჩვეულებრივ ამონაწერებს ადგენდა. დაბოლოს, ცნობილია კ. მარქსის გაურკვეველი ხელნაწერი, რომელსაც ზოგჯერ თვითონ ავტორიც ველარ კითხულობდა [6(გვ. 1)]. ფ. ენგელსი, როგორც რედაქტორი, დაკმაყოფილდა იმით, რომ ხელნაწერები აღადგინა, სტილისტურად შეცვალა მხოლოდ ის, რასაც მისი სიტყვებით, თვითონ მარქსი შეცვლიდა. განმარტებითი წინადადებანი და გადასვლის ადგილები ჩაუბრუნა, სადაც ეს საჭირო იყო. მის მიერ გადაამუშავებული და ჩამატებული ადგილები 10 ნაბეჭდ გვერდსაც კი არ შეადგენდა.

კ. მარქსის მიერ — „კაპიტალის“ II ტომისათვის (წიგნისათვის) დატოვებული ხელნაწერი მასალა გვიჩვენებს, თუ რა „შეუდარებელი კეთილსინდისიერებით, რა მკაცრი თვითკრიტიკით ცდილობდა იგი უადრეს სრულყოფამდე დაემუშავებინა თავისი დიდი ეკონომიური აღმოჩენანი ვიდრე მათ გამოაქვეყნებდა“ [6(გვ. 2)].


ასეთი იყო „კაპიტალის“ II ტომის (წიგნის) მასალა, და ამგვარ ხელნაწერთა კომპლექსიდან რედაქტორს ფ. ენგელსს, როგორც ეს კ. მარქსს უთქვამს სიკვდილის წინ თავისი ქალიშვილის — ელენორასათვის, „რამე უნდა გაეკეთებინა“*. „მე ვიკისრე ეს დავალება — წერს ფ. ენგელსი — სადაც კი შესაძლებელი იყო ჩემი მუშაობა შემოვსახდვრე სხვადასხვა რედაქციებს შორის მხოლოდ არჩევანის მოხდენით; ამასთან ისე, რომ არსებული რედაქციებიდან საფუძვლად ვიდებდი ყოველთვის უკანასკნელ რედაქციას, ვადარებდი რა მას წინანდლებს. ნამდვილ სიძნელეებს, ე. ი. არა მარტო ტექნიკურს, წარმოადგენდა აქ პირველი და მესამე განყოფილება... მე ვცდილობდი მათ გადაწყვეტას მხოლოდ და მხოლოდ ავტორის შეხედულებათა შესაბამისად“ [6(გვ. 6)], და მან კიდევაც შეასრულა კ. მარქსის დავალება.

ციტატებს ტექსტში მეტწილად ფ. ენგელსი თარგმნიდა, სადაც ისინი მოყვანილი იყო ფაქტების დასადასტურებლად, ან სადაც ღელანი ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის.

ამგვარად, „კაპიტალის“ II ტომის რედაქტირება არ იყო მზა ნაწილების უბრალო გაერთიანება, არამედ წარმოადგენდა მეტად რთულ და შემოქმედებით მუშაობას, რომელიც შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ ფ. ენგელსს — გენიალურ

* თვითონ ფ. ენგელსი ამის შესახებ წერს:

„Das ist das Material zu Buch II, woraus, nach einer Äußerung von Marx zu seiner Tochter Eleanor kurz vor seinem Tode, ich ‚etwas machen‘ sollte“ (7 [S. 12]).



თეორეტიკოსს, კ. მარქსის აზრების, მისი შემოქმედებითი ლაბორატორიის უაღრესად ზუსტ და ღრმა მცოდნეს.

მხოლოდ მას შეეძლო რამდენიმე ხელნაწერიდან შეექმნა ერთიანი, შეევსო გამოტოვებული ადგილები, აეშორებინა ზოგიერთი ხარვეზები.

ამასთან, „კაპიტალის“ მეორე ტომის, ისე როგორც პირველი ტომის, რედაქტირების დროს ფ. ენგელსი იცავდა მარქსის მოძღვრების ამ გენიალურ საუნჯეს ბურჟუაზიული აპოლოგეტების ცილისმწამებლური თავდასხმებისაგან, აცამტკერებდა მათ მონაჭორებს და ანვითარებდა კ. მარქსის გენიალურ ეკონომიურ მოძღვრებას, შესანიშნავად არკვევდა ამ მოძღვრების მთელ რიგ ურთულეს თეორიულ პრობლემებს. „კაპიტალის“ II ტომის რედაქტირებაზე, პირველ (1885 წ.) და მეორე გამოცემაზე (1893 წ.) ფ. ენგელსმა იმუშავა ხანგამოშვებით 8 წლამდე, ხოლო, თუ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ იგი უფრო ადრე შეუდგა II ტომის რედაქტირებას (1833 წ.) — 10 წლამდე.

§ 3. „კაპიტალის“ III ტომის რედაქცია

განსაკუთრებით დაძაბული იყო ფ. ენგელსის სარედაქციო მუშაობა „კაპიტალის“ III ტომზე. ამ წიგნის სარედაქციო მუშაობა — აღნიშნავს ფ. ენგელსი თავის წინასიტყვაობაში — არსებითად განსხვავდებოდა მეორე წიგნის (ტომის) სარედაქციო მუშაობისაგან. მესამე წიგნისათვის (ტომისათვის) ფ. ენგელსს ხელთ ჰქონდა მხოლოდ ერთი, ამასთან, „უამრავი ხარვეზების შემცველი, თავდაპირველი მონახაზი [8(გვ. 3)].


ფ. ენგელსმა, როგორც რედაქტორმა, თავისი მუშაობა იმით დაიწყო, რომ მთელი ხელნაწერი, რომელიც ხშირად მისთვისაც ძნელად გასარჩევი იყო, მისი კარნახით გადაწერილ იქნა, რამაც საკმაოდ დიდი დრო მოითხოვა. ამგვარად მიიღო ადვილად წასაკითხი ასლი *. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ნამდვილი სარედაქციო მუშაობის დაწყება. თავდაპირველი მონახაზის ხასიათი დაცულ იქნა ყველგან, სადაც აზრის გარკვეულობა ამის ნებას იძლეოდა, არ იქნა წაშლილი ცალკეული განმეორებაც კი, სადაც ისინი საგანს ახალი მხრიდან აშუქებენ ან სხვა სიტყვებით გადმოსცემენ აზრს. იქ, სადაც რედაქტორის მიერ შეტანილი ცვლილებანი ან დამატებანი წმინდა რედაქციული ხასიათის არ იყო, ან სადაც მას კ. მარქსის მიერ მოცემული ფაქტობრივი მასალა უნდა დაემუშავებინა და იქიდან საკუთარი, რაც შეიძლება მარქსისებურად გამართული დასკვნები გამოეტანა — იქ ყველგან მთელი ადგილი კუთხურ ფრჩხილებშია მოქცეული და რედაქტორის — ფ. ენგელსის ინიციალებით არის აღნიშნული **.

„ჩემ მიერ გაკეთებულ სქოლიოებს*** — შენიშნავს ფ. ენგელსი — აქა-იქ აკლია ფრჩხილები; მაგრამ, სადაც ჩემი ინიციალებია აღნიშნული, მთელი შენიშვნისათვის პასუხისმგებელი მე ვარ“ [8(გვ. 4)].

* ნ. დანიელსონისადმი მიწერილ წერილში (1885 წ. 23 IV) ფ. ენგელსი შენიშნავდა „კაპიტალის“ III ტომის შესახებ, რომ იგი კარნახობს ორიგინალიდან, რომელიც მის გარდა არავის შეეძლო წაეკითხა [2(გვ. 454)].

** რუსულ (1970 წ.) და ქართულ გამოცემაში (1959 წ.) პირდაპირი (კუთხური) ფრჩხილები შეცვლილია ფიკურულით.

*** „კაპიტალის“ III ტომში ფ. ენგელსს 60-ზე მეტი ჩამატება და შენიშვნა აქვს შეტანილი.



მაგალითად, IV თავიდან მხოლოდ სათაური აღმოჩნდა, და იგი თვითონვე დაქტორმა ფ. ენგელსმა დამუშავა, რის გამო მთელი ეს თავი „ბრუნვის გავლენა მოგების ნორმაზე“ — ტექსტში ფრჩხილებშია მოქცეული [8(გვ. 7, 89)].

„კაპიტალის“ III ტომის V განყოფილების XXVII თავში — „კრედიტის როლი კაპიტალისტურ წარმოებაში“, ფ. ენგელსმა შეიტანა თავისი მნიშვნელოვანი ჩამატება; ამ თავში კ. მარქსი გვაძლევს აქციონერულ საზოგადოებათა შესანიშნავ დახასიათებას („III. აქციონერულ საზოგადოებათა წარმოქმნა“, თავი XXVII).

კ. მარქსის სტრუქტონების შემდეგ რედაქტორი — ფ. ენგელსი თავის ჩამატებაში შენიშნავს: „როგორც ვიცი, მას შემდეგ, რაც მარქსმა ეს სტრუქტონები დაწერა, განვითარდა სამრეწველო წარმოების ახალი ფორმები, რომელნიც აქციონერულ საზოგადოებათა მეორე და მესამე საფეხურს წარმოადგენენ... კონკურენციის ძველთაგან ნაქებ-ნადიდებმა თავისუფლებამ თავის დასასრულს მიადწია და თვითონვე უნდა აღიაროს თავისი ცხადი სკანდალური გაკოტრება. ეს გაკოტრება სახელდობრ იმით გამოიხატება, რომ თვითეულ ქვეყანაში განსაზღვრული დარგის მსხვილი მრეწველები კარტელში ერთიანდებიან წარმოების რეგულირების მიზნით... ამრიგად, ამ დარგში, რომელიც მთელი ქიმიური მრეწველობის საფუძველს შეადგენს, ინგლისში კონკურენცია მონოპოლიამ შეცვალა და უადრესად დამაკამაფილებელი წესით მზადდება წინასწარ მომავალი ექსპროპრიაცია მთელი საზოგადოების მიერ, ერის მიერ“ [8(გვ. 551—552)].

„კაპიტალის“ III ტომის მომდევნო VI განყოფილება „დამატებითი მოგების გადაქცევა მიწის რენტად“ — გაცილებით უფრო სრულად იყო დამუშავებული, თუმცა — შენიშნავს ფ. ენგელსი, — არც ის იყო მთლიანად წესრიგში მოყვანილი. ყველაზე დიდი მუშაობა მოითხოვა დიფერენციული რენტა II-ის ცხრილებმა და იმ აღმოჩენამ, რომ XLIII (ორმოცდამესამე) თავში სრულად არ იყო გამოკვლეული ამ სახის რენტის მესამე შემთხვევა, რომელიც აქ უნდა განხილულიყო [8(გვ. 9)]. ამიტომაც ეს 43 თავი „დიფერენციული რენტა II — მესამე შემთხვევა: წარმოების ფასი მატებადი“, იწყება ფ. ენგელსის ჩამატებით. მეორე ჩამატებაში ფ. ენგელსი წერს: „რადგან ზემოაღნიშნული მესამე შემთხვევა ხელნაწერში არ იყო დამუშავებული, — იქ მხოლოდ მისი სათაური სწერია, — ამიტომ რედაქტორის ამოცანას შეადგენდა, რამდენადაც შეიძლებოდა, შეევესო ეს დანაკლისი, და იგი ასეც მოიქცა. მაგრამ მას კიდევ გასაკეთებელი რჩება ზოგადი დასკვნები, რომლებიც გამომდინარეობენ მთელი წინანდელი გამოკვლევებიდან დიფერენციული რენტა II შესახებ მისი სამი მთავარი და ცხრანაწარმოები შემთხვევითურთ“ [9 (გვ. 315)].

ამ მასალების ანალიზის საფუძველზე ფ. ენგელსი აკეთებს შემდეგ შესანიშნავ დასკვნას: „ამრიგად, რაც უფრო მეტი კაპიტალი იხარჯება მიწაზე, რაც უფრო მაღალია მიწათმოქმედების და საერთოდ ცივილიზაციის განვითარება ამა თუ იმ ქვეყანაში, მით უფრო მაღლა იწევს რენტა აკრზე, ისე როგორც რენტის მთელი ჯამიც, მით უფრო კოლოსალური ხდება ის ხარკი, რომელსაც საზოგადოება უხდის მსხვილ მემამულეებს დამატებითი მოგების სახით, სანამ უკვე დამუშავებულ მიწათა ყველა კატეგორია ინარჩუნებს კონკურენციის უნარს.

ეს კანონი გვიხსნის მსხვილ მემამულეთა კლასის საკვირველ გამძლეობას... მაგრამ იგივე კანონი გვიხსნის აგრეთვე, თუ როგორ იშრიტება თანდათანობით

მსგეილი მემამულის ეს გამძლეობა“ [9(გვ. 325—326)]. ამავე ჩამატების ბლოკში ფ. ენგელსი გვაძლევს XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის დიდი აგრარული კრიზისის წარმოქმნის ორმა ანალიზს.

ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ სამოცდაათიან წლებში კ. მარქსი ახალი სპეციალობის შესწავლას შეუდგა; წლების განმავლობაში კ. მარქსი ორიგინალში სწავლობდა რუსულ სტატისტიკურ გამოკვლევებს და სხვა პუბლიკაციებს მიწათსაქუთრების შესახებ, რომელსაც მას აწვდიდნენ მისი რუსი მეგობრები. კ. მარქსი აგროვებდა იქიდან ამონაწერებს და სურდა ისინი ამ VI განყოფილების ხელახლა გადამუშავებისას გამოეყენებინა. ამ განყოფილებაში აღნიშნავს, ფ. ენგელსი: „რუსეთს იგივე უნდა შეესრულებინა, რასაც ინგლისი ასრულებდა სამრეწველო დაქირავებული შრომის გამოკვლევისას I წიგნში. სამწუხაროდ, ეს გეგმა მარქსს განუხორციელებელი დარჩა“ [2(გვ. 10)].


ფ. ენგელსს განზრახული ჰქონდა „კაპიტალის“ IV წიგნის გამოცემაც. „მეოთხე წიგნს — ზედმეტი ღირებულების თეორიის ისტორიის — შენიშნავს ფ. ენგელსი თავის წინასიტყვაობაში „კაპიტალის“ III ტომის პირველი გამოცემისათვის (1894 წ.) — მე ხელს მოგვიდებ, როგორც კი ეს ჩემთვის რამდენადმე შესაძლებელი იქნება“ [8(გვ. 11)]. მაგრამ არ დასცალდა, ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

„კაპიტალის“ III ტომის რედაქტირებაზე ფ. ენგელსმა იმუშავა ხანგამოშვებით 10 წლამდე (1885—1894 წწ.). საერთოდ ფ. ენგელსის დამოკიდებულებას „კაპიტალის“ III ტომისადმი გამოხატავს მისი ზოგიერთი წერილი, მაგალითად, ფ. ენგელსი 1885 წლის 8 მარტს წერდა ლაურა ლაფარგს „კაპიტალის“ III ტომის შესახებ, რომ „კაპიტალის“ III წიგნი, რაც უფრო მასში ღრმავდები, წარმომიდგება სულ უფრო და უფრო დიდად. თითქმის შეუძლებელია, რომ აღამიანს, რომელმაც მოახდინა ასეთი უდიდესი აღმოჩენები, ასეთი სრული და დამთავრებული მეცნიერული რევოლუცია, შეეძლო 20 წლის განმავლობაში დაეტოვებინა ისინი საკუთარი თავისთვის [2(გვ. 451—452)].

შემდეგ იმავე წლის აპრილში იგი წერს ნ. დანიელსონს, რომ ეს III ტომი ყველაზე გასათვარი, რაც მას ოდესმე წაუკითხავს და უსაზღვროდ წუხს, რომ ავტორმა ვერ შესძლო თავის სიცოცხლეში მასზედ შრომა ბოლომდე მიეყვანა, თვითონ გამოეცა იგი და დაენახა ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ წიგნმა მოახდინა. ასეთი ნათელი გადმოცემის შემდეგ პირდაპირ უარყოფა უკვე შეუძლებელია. ყველაზე ძნელი საკითხები განმარტებულია და გახსნილია ისეთი სიაღვლით, თითქოს ეს უბრალო „საბავშვო თამაშია“, და მთელი სისტემა იღებს ახალს და მარტივს სახეს [2(გვ. 454)].

მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად ფ. ენგელსმა გადაწყვიტა დაეწერა სპეციალური ნაშრომი — „კაპიტალის“ III ტომის დამატებანი [9(გვ. 533—561)].

მართლაც, ფ. ენგელსმა 1895 წლის მაის-ივნისში, ე. ი. გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, განზრახული ორი დამატებიდან დაწერა პირველი — „ღირებულების კანონი და მოგების ნორმა“. აქ მოცემულია საქონელწარმოების ჩასახვისა და განვითარების ისტორია და ღირებულების კანონის ურთულესი პრობლემების ანალიზი, შესანიშნავად მხილებულია ბურჟუაზიული აპოლოგეტების მტკიცებანი „კაპიტალის“ I და III ტომებს შორის ეგრეთ წოდებული წინააღმდეგობის შესახებ. მეორე დამატება — „ბირჟა“, რომელშიც ფ. ენგელსი ფიქრობ-



და გაეშუქებია ბირჟის როლის შეცვლისა და სხვა საკითხები, მან ვერ დაამტკიცა ეს მეორე დამატება წარმოდგენს 7 პუნქტისაგან შემდგარ გამწვანებულ კონსპექტს, სადაც ნავარაუდევია იყო გაშუქებულიყო იმ პერიოდის ახალი მოვლენები, ბირჟის როლის შეცვლა 1866 წ. კრიზისის შემდეგ, მრეწველობაში და ვაჭრობაში აქციონერულ საზოგადოებათა, კერძოდ ტრესტების თანდათანობითი ზრდა და სხვა. აღსანიშნავია, რომ გვიანდელ წლებში ფ. ენგელსმა გენიალურად განჭვრიტა მოახლოებული ახალი ეპოქის — იმპერიალიზმის ზოგიერთი ძირითადი ნიშანი. მაგალითად, თავის შრომაში „სოციალ-დემოკრატიული პროგრამის 1891 წლის პროექტის კრიტიკისათვის“ ფ. ენგელსი წერდა, რომ კაპიტალისტური წარმოება, რომელიც მიყავთ აქციონერულ საზოგადოებებს, ეს უკვე არა კერძო წარმოებაა, არამედ წარმოება მრავალ გაერთიანებულ პირთა ინტერესებისათვის. თუ ჩვენ სააქციო საზოგადოებებიდან გადავალთ ტრესტებზე, რომლებიც იმორჩილებენ და თავის მონობლიად აქცევენ მრეწველობის მთელ დარგებს, მაშინ აქ წყდება არა მარტო კერძო წარმოება, არამედ გეგმაზომიერების უქონლობაც [10(გვ. 234)].

გ. ი. ლენინის თქმით, ფ. ენგელსის „მეტად საგულისხმო მითითება“ გვიჩვენებს, რა „ყურადღებითა და დაკვირვებით ადევნებდა ის თვალყურს სწორედ უახლესი კაპიტალიზმის ცვლილებებს და თუ როგორ შესძლო მან ამიტომ რამდენიმედ წინასწარ განჭვრიტა ჩვენი, იმპერიალისტური ეპოქის ამოცანები“ [11(გვ. 547—548)].

ფ. ენგელსს ეკუთვნის არა მარტო „კაპიტალის“ ტომების ტექსტის, არამედ მათი სტრუქტურის რედაქციაც [5(გვ. 431)], [12(გვ. 11—18)].

ამავე დროს ფ. ენგელსი სისტემატურად ეწეოდა „კაპიტალის“ პოპულარიზაციას. იგი ამას თვლიდა უმნიშვნელოვანეს პარტიულ ამოცანად.

როდესაც „კაპიტალის“ I ტომი გამოვიდა (14 სექტემბერს — 1867 წელს), კ. მარქსი და ფ. ენგელსი ვარაუდობდნენ, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება შეეცდება შეხვდეს ამ წიგნსაც ისევე „დუმილის შეთქმულებით“, როგორც ამას ცდილობდა იგი კ. მარქსის წიგნის პირველი ნაკვეთის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ მიმართ.

ფ. ენგელსი მტკიცედ მოუწოდებდა მარქსის თანამოაზრეებს, გაეშალათ პრესაში კამპანია კ. მარქსის წიგნის გარშემო.

1867 წლის 8 ნოემბერს ფ. ენგელსი წერდა ლ. კუველმანს, რომ გერმანული პრესა კიდევ „დუმს“ „კაპიტალის“ შესახებ, მაშინ როდესაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ რაიმე იყოს ნათქვამი. — მთავარია, წერს ენგელსი — რომ სავերთოდ წიგნის შესახებ ყოველ დროს ქვეყნდებოდეს გამოძახილები. ვულგარული ეკონომისტები მაინც იმდენად ჭკვიანნი არიან, რომ მოერიდებიან ამ წიგნს და არავითარ შემთხვევაში არ ალაპარაკდებიან მასზე, თუ არ აიძულენ. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ისინი ავალაპარაკოთ.

თუ წიგნზე ერთდროულად დაიბეჭდა გამოძახილი 15—20 ვაზეთში, ამის შემდეგ მთელი ბანდა თვითონ ატეხს ღმუილს, და მაშინ ფაუხერები, როშერები, მიხაელისები და მაქს ვირტები იძულებული იქნებიან გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი [2(242—243)].

თვით ფ. ენგელსმა ცხრა რეცენზია დაწერა „კაპიტალის“ შესახებ [5(გვ. 421)].

საქართველო
საქართველო

ფ. ენგელსი, კ. მარქსის გარდაცვალების შემდეგ, თავის ცხოვრების უმეტეს ნაწილს ხანამდე (1895 წ.) განაგრძობდა საკუთარი კლასიკური შრომების შექმნას, რომელნიც შევიდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ძვირფას საგანძურში.

§ 4. ფ. ენგელსის ბრძოლა „კაპიტალის“ ბურჟუაზიული კრიტიკოსების წინააღმდეგ

მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ფ. ენგელსი აწარმოებდა ბრძოლას მარქსიზმის მტრების წინააღმდეგ, დაუზოგავად ამხელდა ცილისმწამებლურ თავდასხმებს კ. მარქსზე, მის „კაპიტალზე“, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა კ. მარქსის გარდაცვალების შემდეგ. „კაპიტალის“ I ტომის წინასიტყვაობაში, როგორც აღნიშნული იყო, ფ. ენგელსი აცამტვერებს პროფესორ ლ. ბრენტანოს ცილისმწამებლურ თავდასხმას კ. მარქსზე, ვითომდა კ. მარქსის მიერ ერთ-ერთი ციტატის არასწორად მოყვანის შესახებ.

„კაპიტალის“ II ტომის წინასიტყვაობაში ფ. ენგელსი ამხელს გერმანიის კათედერ-სოციალისტების და მათი მომხრეების მონაჭორს ზედმეტი ღირებულების თეორიაში კ. როდბერტუსის (1805—1875 წწ.) ვითომდა „წინამორბედობის“ შესახებ, რომ „ვითომ მარქსმა პლაგიატობა ჩაიდინა როდბერტუსის მიმართ. მე სხვა ადგილას*, — შენიშნავს ფ. ენგელსი — უკვე ვთქვი ამის შესახებ, რაც აუცილებლად საჭირო იყო**.

„კაპიტალის“ მეორე ტომის წინასიტყვაობაში მე ანგარიშის გასწორება მიმიხდა იმ ვაჟბატონებთან—წერდა შემდეგ ფ. ენგელსი — რომელთაც მაშინ დიდი ღრიანცელი ატეხეს, რადგან მათი სურვილი იყო „როდბერტუსში მარქსის ფარული წყარო და მისი უბადლო წინამორბედი“ აღმოეჩინათ. იმავე ვაჟბატონებს, რომელნიც მაშინ სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლით, ჩვეულებრივ კი ყოველგვარი საფუძვლით, გარდა მეცნიერულისა, როდბერტუსს უპირველესი სიდიდის ეკონომიურ ვარსკვლავად აცხადებდნენ, ამ ვაჟბატონებს, გამოუკლებლივ ყველას, პასუხი ვალად აწევთ [8(გვ. 11)].

უარყოფდა რა როდბერტუსისა და მისი მომხრეების ცილისმწამებლურ მონაჭორებს, ფ. ენგელსმა შესანიშნავად უჩვენა, რომ როდბერტუსის ეგრეთ წოდებული აღმოჩენანი წარმოადგენენ ფაქტურად „ცუდ გადამღერებას იმისა, რაც საერთოდ კარგად იცოდნენ ა. სმიტმა და დ. რიკარდომ და რაც ასახულია მათ მიერ ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების კატეგორიების გაგებაში“. [5(გვ. 432)].

კ. მარქსი ემყარებოდა ს. სმიტისა და დ. რიკარდოს მოძღვრებას, მაგრამ ამავე დროს მოგვცა მათი ღრმა მეცნიერული კრიტიკა და შექმნა თავისი გენიალური მოძღვრება საკუთარ ბრწყინვალე აღმოჩენათა საფუძველზე. ამიტომაც კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მეგობარი ი. ბეკერი 1886 წელს წერდა ფ. ენგელსს „კაპიტალის“ I ტომის მისი წინასიტყვაობის შესახებ: შენი წინასიტყვა-

* წინასიტყვაობაში კ. მარქსის წიგნისადმი „ფილოსოფიის სილატაკე“, გერმანული გამოცემა, შტუტგარტი, 1885 წ.
** ეს პირველად გვხვდება, — აღნიშნავს ფ. ენგელსი—რ. მაიერის წიგნში (1874 წ.). როდბერტუსმა დარწმუნა ამაში რ. მაიერი. თვით როდბერტუსი სიამოვნებით ავრცელებდა ამ მონაჭორს [6 (გვ. 7)].



ობა II წიგნისადმი უკვე თავისთავად წარმოადგენს გიგანტურ შრომას და მისი მიკუთვნება მიკუთრებულია. მე უდიდესი სიამოვნება მომანიჭა იმის წაკითხვამ, თუ როგორ საფუძვლიანად და მოხერხებულად გაფიქვენნი შენ პატივმოყვარე როდბერტუსს მისი ფარშავანგის ფრთები [5(გვ. 432)].

„კაპიტალის“ III ტომის წინასიტყვაობაში ფ. ენგელსი აცამტვერებს მარქსის ეკონომიური მოძღვრების ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების (ლექსისი, ვოლფი, ლორია და სხვ.) მტკიცებებს, რომ ვითომ ზედმეტ-ღირებულების თეორია აბსოლუტურად არ შეესაბამება მოვების საერთო თანატოლი ნორმის ფაქტს, რომ აქ ვითომ მარქსი მოექცა თავისი ლოგიკურ-თეორიული კონსტრუქციების ხლართში.

„კაპიტალის“ III ტომის გამოსვლის შემდეგ ბურჟუაზიულ აპოლოგეტებს არ შეუწყვეტიათ თავდასხმები, ცილისმწამებლური მტკიცებანი, ვითომდა არსებობდეს წინააღმდეგობა „კაპიტალის“ I და III ტომებს შორის: I ტომში მოცემულია დასაბუთება, რომ საქონელი იყიდება ღირებულების მიხედვით, ხოლო III ტომის თანახმად იყიდება წარმოების ფასების მიხედვით, რომელნიც მოიცავენ წარმოების კაპიტალისტურ ხარჯებს და საშუალო მოგებას.

მაგრამ ცნობილია, რომ „კაპიტალის“ III ტომში წარმოების ფასი წარმოდგენილია როგორც ღირებულების გარდაქმნილი ფორმა, როგორც მარტივი საქონელწარმოების კაპიტალისტურ წარმოებად გარდაქმნის შედეგი. „გაგების სიძნელეთა თავიდან ასაცილებლად“, ფ. ენგელსმა, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, გენიალურად გაარკვია ეს საკითხი თავის ზემოთ აღნიშნულ პირველ „დამატებაში“. მან ერთხელ კიდევ ამხილა და გააცამტვერა ბურჟუაზიული აპოლოგეტების მონაჭორები ამ საკითხზე (ლორია და სხვ.).

„კაპიტალის“ III ტომის წინასიტყვაობაში ფ. ენგელსი წერდა: „როგორც მეთექვსმეტე საუკუნეში, ისე ჩვენს ბობოქარ ხანაშიც, წმინდა თეორეტიკოსები საზოგადოებრივ ინტერესთა სფეროში მხოლოდ რეაქციის მხარეზე მოიპოვებინან, და სწორედ ამიტომ ეს ვაჟბატონები წარმოადგენენ არა ნამდვილ თეორეტიკოსებს, არამედ ამ რეაქციის უბრალო აპოლოგეტებს“ [8(გვ. 2)].

იგივე ითქმის მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ თანამედროვე ანტიკომუნიზმის „თეორეტიკოსთა“ ლაშქრობის შესახებ.

„კაპიტალის“ II და III ტომების გამოცემით ბოლო მოეღო ბურჟუაზიული აპოლოგეტების იმ ცილისმწამებას, რომ ვითომ „კაპიტალის“ I ტომის გამოცემით კ. მარქსი წინააღმდეგობებში მოექცა და ამიტომ არ დატოვა I ტომის გაგრძელება. მაგალითად, ხსენებული ბურჟუაზიული აპოლოგეტი ა. ლორია, როგორც აღნიშნავს ფ. ენგელსი (1883 წელს), თავისი მონაჭორით არწმუნებდა მკითხველებს, რომ ვითომ მარქსი „მუდამ ემუქრებოდა თავის მოწინააღმდეგეებს“ მეორე ტომით*, რომლის დაწერაც მას „აზრდაც არ მოსვლია“; რომ ვითომ ეს მეორე ტომი სხვა არაფერია, თუ არა მარქსის „ეშმაკური ფანდი, რომლის საშუალებით იგი თავს არიდებდა მეცნიერულ არგუმენტებს“ [2(გვ. 407)].

* კ. მარქსის გეგმით „კაპიტალის“ II ტომი უნდა შედგენილიყო ორი წიგნისაგან, ხოლო შემდეგში ფ. ენგელსმა გამოსცა კ. მარქსის ამ წიგნების ხელნაწერები „კაპიტალის“ II და III ტომების სახით.

„კაპიტალის“ დისკრეტიზაციის მიზნით, და ამასთან, ფ. ენგელსის რედაქტირებული დამსახურების ყოველმხრივ დასამცირებლად, „კაპიტალის II და III ტომების გამოცემის შემდეგ, ბურჟუაზიულმა აპოლოგეტებმა და მათმა დამკვეთებმა იწყეს მტკიცება, რომ ეს ორი ტომი თითქოს არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენს, ვითომ მათში არ არის ახალი პრობლემები გადაწყვეტილი (მაგალითად ღირებულების, წარმოების ფასის და სხვ.), რომ თითქოს ფ. ენგელსმა შეაერთა თავისი მეგობრის დაქსაქსული და თეორიულად არაარსებითი შენიშვნები. ისინი გაცოფებული თავს ესხმოდნენ ფ. ენგელსს „კაპიტალის“ რედაქტირება-გამოცემისათვის, არ სთვლიდნენ მის ამ დიად საქმეს მცირე დამსახურებადაც. ეს თავდასხმები ფ. ენგელსზე ბურჟუაზიული აპოლოგეტების, რეფორმისტებისა და რევოიზონისტების მხრივ დღემდე არ შეწყვეტილა. მაგალითად, ბ. კაუცკიმ 1957 წ. გამოსცა შემოკლებულად მთელი „კაპიტალი“ ერთ ტომად და სხვა ტექსტებთან ერთად ამოიღო ფ. ენგელსის ყველა წინასიტყვაობა „კაპიტალის“ სხვადასხვა გამოცემისათვის. შემდეგ მ. რიუბელმა შეადგინა „კაპიტალის“ II და III ტომების საკუთარი ვარიანტი, ნებისმიერად შერჩეული სხვადასხვა ტექსტისაგან (40-იანი წლების ხელნაწერებისაგან, „1857—1858 წწ. ეკონომიური ხელნაწერებისაგან“, სხვადასხვა წლების წერილებისაგან, II და III ტომების შემცირებული და გადაადგილებული ხელნაწერებისაგან) ფ. ენგელსის შენიშვნების, დამატებებისა და წინასიტყვაობათა გარეშე — „კაპიტალის“ II და III ტომებისადმი [13(გვ. 132—135, 53)].

რა თქმა უნდა, ეს თავდასხმები ოდნავადაც ვერ აყენებენ ჩრდილს ფ. ენგელსის ისტორიულ დამსახურებას „კაპიტალის“ რედაქტირება-გამოცემაში. ფ. ენგელსის მთელი თავგანწირული სარედაქციო-საგამომცემლო შრომა კ. მარქსის „კაპიტალზე“ არა მარტო გარდაცვლილი მეგობრის ხსოვნის უდიდესი პატივისცემა იყო, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის, კომუნისტების საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებაც, რასაც ორივემ — კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა თავისი ცხოვრება მთლიანად მიუძღვნეს.

ეკონომიური ფაქულტეტების
პოლიტიკური ეკონომიის კათედრა

ლიტერატურა

1. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954.
2. К. Маркс и Ф. Энгельс, Письма о «Капитале», М., 1968.
3. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, თბ., 1948.
4. И. В. Сталин, Соч., т. 10, М., 1949.
5. Ф. Энгельс, Биография, М., 1970.
6. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957.
7. K. Marx, Das Kapital, zweiter Band, Berlin, 1973.
8. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959.
9. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, თბ., 1959.
10. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., изд. 2, т. 22, М., 1962.
11. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, თბ., 1952.



12. ა. ფანცხავა, კ. მარქსის „კაპიტალი“, თბ., 1971 წ.

13. А. И. Малыш. Ф. Энгельс и пролетарская политэкономия, М., 1970. А. И. Малыш, Ф. Энгельс и экономическое учение марксизма, см. журн. «Проблемы мира и социализма», № 9, 1970.

А. Я. ПАНЦХАВА

ИСТОРИЧЕСКОЕ ЗНАЧЕНИЕ РЕДАКЦИИ «КАПИТАЛА» Ф. ЭНГЕЛЬСОМ

Резюме

Переписка К. Маркса и Ф. Энгельса показывает, что в процессе создания своего гениального произведения — «Капитала» К. Маркс систематически обращался за советами к своему другу и нередко следовал его советам.

К. Маркс умер, так и не успев окончательно обработать «Капитал», хотя вчерне этот труд был уже готов. Эту работу выполнил Ф. Энгельс.

Характеризуя свою работу над I томом «Капитала», Ф. Энгельс писал, что это был «кропотливый процесс». Но если так обстояло дело с I томом «Капитала», то легко представить, какого упорного труда потребовало от Ф. Энгельса редактирование II и III томов, оставленных К. Марксом незаконченными.

Ф. Энгельс хотел также подготовить два дополнения к III тому «Капитала». Но успел написать за месяц до смерти только одно — «Закон стоимости и норма прибыли».

Второе дополнение, в котором Ф. Энгельс предполагал осветить вопрос изменения роли биржи, он не закончил, а только написал развернутый план-конспект, состоящий из семи пунктов.

Ф. Энгельсу принадлежит редакция не только текста, но и структуры всех томов «Капитала».

Всю свою жизнь Ф. Энгельс вел борьбу с врагами марксизма, беспощадно разоблачал их клеветнические нападки на К. Маркса, на его «Капитал».

Современные буржуазные апологеты, реформисты и ревизионисты, в целях дискредитации «Капитала» нападают на Ф. Энгельса, пытаются умалить его исторические заслуги в редактировании и издании «Капитала».

Но ничто не может умалить историческую заслугу Ф. Энгельса в редактировании — издании «Капитала» К. Маркса.

A. PHANTSKHAVA

THE HISTORICAL SIGNIFICANCE OF THE EDITING OF CAPITAL BY F. ENGELS

Summary

The correspondence between K. Marx and F. Engels shows that Marx systematically applied to his friend for advice on the problems of Capital, and that in the process of creating his great work Marx often followed his advice.

Marx died before he had time to prepare Capital for publication. However, the rough draft of the work was ready.

The editorial work was performed by Engels.

Describing his work on volume I of Capital, Engels wrote that it was a laborious process. But if this was the case with volume I it is easy to imagine how much work it took Engels to edit the second and third volumes which were left unfinished by Marx.

Engels wished to prepare two supplements to volume III of Capital. But he managed to write only one—a month before his death: "The Law of Value and the Rate of Profit".

The second supplement in which Engels had intended to clarify the question of the changing role of the stock exchange was left unfinished; he had only outlined a detailed plan—summary consisting of 7 points.

Engels edited not only the text, but also the structure of all the volumes of Capital.

All his life F. Engels carried on a struggle against the enemies of Marxism, relentlessly exposing their slanderous attacks on Marx and his Capital.

Modern bourgeois apologists, reformists, and revisionists also attack Engels with the object of discrediting Capital. They try to belittle the historic service he did by editing and publishing Capital. However, these attempts are vain.

**სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი და დაგროვებისა
და მოხმარების ზოგირითი საკითხი განვითარებულ
სოციალისტურ საზოგადოებაში**


ლევან ხარაში

მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში მნიშვნელოვანი წვლილი სკკ XXIV ყრილობის დებულება სსრ კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ. ეს ეტაპი კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზის — სოციალიზმის ფარგლებში თავსდება. მისი ეკონომიკა ხასიათდება მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, წარმოების საშუალებათა და შრომის განსაზოგადოების მაღალი დონით, სოციალიზმის უპირატესობათა შეერთებით ინტენსიურად მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან, ხალხის კეთილდღეობის უფრო მკვეთრი ამაღლებით, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფითა და კომუნისმის უმაღლეს ფაზაში გადაზრდის პროცესის ყოველმხრივი დაჩქარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვან თავისებურებებს იძენს დაგროვებისა და მოხმარების განვითარება, მათ შორის არსებული თანაფარდობა.

**§ 1. სოციალისტური დაგროვების თავისებურებანი
განვითარების თანამედროვე ეტაპზე**

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აგებამ განაპირობა სოციალისტური საზოგადოების სახალხო-სამეურნეო ძლიერების არნახული ზრდა, რომლის გათვალისწინება კომუნისტური პარტიის ეკონომიურ პოლიტიკაში ობიექტური აუცილებლობაა. აქ საქმე ეხება იმას, რომ არნახულად გადიდა ჩვენი შესაძლებლობანი. „ჩვენ დღეს ვსახავთ და ვწყვეტთ ისეთ ამოცანებს, რომელთა შესახებ წინა ეტაპებზე მხოლოდ ოცნება შეგვეძლო“ [1(გვ. 50)].

როცა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის გაზრდილ შესაძლებლობებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ისეთი განმაზოგადებელი მაჩვენებელი, როგორცაა ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, რომელიც დაგროვებისა და მოხმარებისათვის გამოიყენება. საკმარისია აღინიშნოს, რომ მერვე ხუთწლედის ბოლოს (1970 წ.) ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მოცულობამ (შესადარის ფასებში) შეადგინა 266,3 მილიარდი მანეთი, ხოლო 1975 წლისათვის მიადწია 362 მილიარდ მანეთს. თუ მისმა მატებამ მერვე ხუთწლედში შეადგინა 77,2 მილიარდი მანეთი, მეცხრე ხუთწლედში მატება იყო 87—100 მილიარ-



დი მანეთი. მეცხრე ხუთწლედში, ისე როგორც წინა ხუთწლედში, დაგროვების ფონდის დიდი მოცულობა. თუ 1970 წელს დაგროვების ფონდი შეადგენდა 69,1 მლრდ მანეთს, 1975 წლისათვის მისი მოცულობა გაიზარდა 95 მლრდ მანეთამდე, ხოლო მატება ხუთწლედში შეადგენდა 25,9 მლრდ მანეთს, ნაცვლად 20,4 მლრდ მანეთისა წინა ხუთწლედში [2(გვ. 173)]. კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა მეცხრე ხუთწლედში 501 მლრდ მანეთს აღემატებოდა, წინააღმდეგ 353,8 მილიარდი მანეთისა მერვე ხუთწლედში (ანუ გაიზარდა 42 პროცენტით). ეს არის ის ამოსავალი საფუძველი, რომელზედაც ბევრად არის დამოკიდებული დაგროვების თავისებურებანი კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. როცა დაგროვების თავისებურებებზე გლახაპრაკობთ, პირველ ყოვლისა უნდა შევეხოთ დაგროვებისა და მოხმარების ზრდის ტემპების თანაფარდობის საკითხს. ცნობილია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში დაგროვება ორგანულად არის შეხამებული მოსახლეობის მოხმარების ზრდასთან, მის კეთილდღეობის ამაღლებასთან.

სოციალისტური საზოგადოების განვითარებასთან ერთად დაგროვებას და მოხმარებას შორის თანაფარდობა უცვლელი არ არის. მათ შორის პროპორციულობის უზრუნველყოფა კვლავწარმოების ერთ-ერთი რთული პრობლემათაგანია. სოციალისტური მეურნეობის პირობებში კომუნისტური და მუშათა პარტიების ეკონომიური პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ დაგროვებასა და მოხმარებას შორის დამყარდეს ყოველი კონკრეტული პირობების შესაბამისი თანაფარდობა და გათვალისწინებულ იქნას განვითარების პერსპექტივა. დაგროვებისა და მოხმარების პროპორცია, მათი ზრდის ტემპების თანაფარდობა განპირობებულია სოციალურ-ეკონომიურ პირობათა მთელი კომპლექსით — ცვალებადი ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორებით, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დონით, ახალი ტექნიკისა და საწარმოო ფონდების ეფექტურობით, შრომითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენების დონით, რეზერვების ოდენობით, საერთაშორისო მდგომარეობით და ა. შ. ამასთან ეს ფაქტორები მიუთითებენ სოციალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელ მყარ კავშირთიერთობაზე საზოგადოებრივ წარმოებასა და სახალხო მოხმარებას შორის.

სსრ კავშირში ამჟამად ეროვნული შემოსავლის ის წილი, რაც მოდის უმუშალოდ პირად და საზოგადოებრივ მოხმარებაზე, საშუალოდ ყოველწლიურად 74—76 პროცენტს შეადგენს, ხოლო დანარჩენი ნაწილი განკუთვნილია დაგროვებისათვის. სოციალიზმის მშენებელ ბევრ ქვეყანაში მიმდინარე მოხმარების ფონდი შეადგენს ეროვნული შემოსავლის 70—80 პროცენტს, დაგროვების ფონდი — 30—20 პროცენტს. დაგროვებისა და მოხმარების ასეთი თანაფარდობა უზრუნველყოფს უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე საზოგადოებრივი წარმოების განუხრეკლ გადიდებას და ხალხის ცხოვრების დონის სისტემატურ ამაღლებას.

სოციალისტური მშენებლობის წინა ეტაპებზე დაგროვების ფონდი სსრ კავშირში უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე მოხმარების ფონდი, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპით, ხოლო ომის შემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებათა აუცილებლობით. 1927—1928 წწ. დაგროვდა ეროვნული შემოსავლის 20,4%, 1940 წელს — 26,3, 1950 წელს — 27,0; 1951—1958


წწ. — 25,0—26,0; 1960 წელს — 26,8 და 1964 წელს — 27,8% [36,33—39%]. მერვე ხუთწლედამდე (გარდა პირველი ომის შემდგომი ხუთწლედისა) დაგროვების ფონდის ზრდის ტემპი მუდამ მნიშვნელოვნად უსწრებდა მოხმარების ფონდის ზრდის ტემპს. მაგალითად, 1961—1965 წლებში დაგროვების ფონდი გადიდა 42, ხოლო მოხმარების ფონდი 30 პროცენტით. მერვე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა დაგროვების ფონდის 45 პროცენტით და მოხმარების ფონდის 36—39 პროცენტით ზრდას, ე. ი. გათვალისწინებული იყო მათი ზრდის ტემპების დაახლოება, რაც განხორციელდა კიდევ.

საქართველოს სსრ-ში დაგროვების ნორმა დაახლოებით შესაბამისი საკავშირო მაჩვენებლის ტოლია. 1965 წელს დაგროვდა გამოყენებული ეროვნული შემოსავლის 26,5%; 1968 წელს — 27,1, ხოლო 1970 წელს — 26%.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში მოხმარებასა და დაგროვებას შორის ოპტიმალურია ისეთი შეფარდება, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლის მატების მაქსიმალურ ტემპს და მამასადაამე, გაფართოებული კვლავწარმოების მყარ და მაღალ ტემპებს, რაც შეხამებული უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრების დონის განუხრელ ამღლებასთან. მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სოციალისტური ეკონომიკის განვითარების პროგრესული ვარიანტი სწორედ ეროვნული შემოსავლის მატების უზრუნველყოფა დაგროვების ეფექტურობის ამღლებით. დაგროვების ეფექტურობის ამღლება კი იმით გამოიხატება, რომ თითოეულ მანეთის დაგროვილ საზოგადოებრივ საშუალებებზე განუხრელად იზრდება ეროვნული შემოსავლის მატების ოდენობა. დაგვემისა და მართვის მეთოდებისა და სისტემის სრულყოფამ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ეკონომიური პოლიტიკის შეცვლამ და სხვა დონისძიებებმა განაპირობეს დაგროვების ეფექტურობის ერთგვარი ამღლება: დაჩქარდა საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, შემცირდა პროდუქციის მასალატევადობა, მოხდა წარმოების ფონდტევადობის ფაქტიური სტაბილიზაცია და დაისახა მისი შემდგომი შემცირების ტენდენციები. ყოველივე ამან განაპირობა დაგროვების ნორმის გარკვეული სტაბილიზაცია და ისახება ტენდენცია მისი შემდგომი შემცირებისათვის.

სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, მეცხრე ხუთწლედში და მომავალ პერსპექტივაში სოციალისტური დაგროვების თავისებურება სწორედ ის არის, რომ მოხმარების ფონდის ზრდის ტემპი რამდენადმე აღემატება დაგროვების ფონდის ზრდის ტემპს. მეათე ხუთწლედში ეროვნული შემოსავალი უნდა გადიდდეს 24—28%-ით, აქედან მოხმარების ფონდი 27—29 პროცენტით და დაგროვების ფონდი — 17—23 პროცენტით.

ეროვნულ შემოსავალში დაგროვებისა და მოხმარების ფონდებს შორის პროპორციების ფორმირების ასეთი ხასიათი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრულია კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების თავისებურებებით. მერვე ხუთწლედის უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები დაისახა, რაც იმაში გამოიხატა, რომ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში გარკვეულად გადიდა დაბანდებათა ხვედრიწონა მრეწველობის „ბ“ ჯგუფში და სოფლის მეურნეობაში. მეცხრე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე გათვალისწინებული იყო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში



კაპიტალურ დაბანდებათა პროპორციების არსებითი შეცვლა. საფულისხმარა, რომ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში სოფლის მეურნეობის წილი განხორციელებულ დაბანდებათა ხვედრიწონა 1961—1965 წლების 19%-დან გადიდა 21,1%-მდე მერვე ხუთწლეულში [4(გვ. 146—147)], ხოლო მეცხრე ხუთწლეულში მან მიაღწია 25,6%-ს. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება სოფლის მეურნეობაში გაიზარდა 70%-ით და მეტად, და მიაღწევს 82,2 მლრდ მანეთს. გარდა ამისა, კოლმეურნეობათა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა წინა ხუთწლეულთან შედარებით 1,5-ჯერ და მეტად გაიზარდა და მისმა მოცულობამ მიაღწია 46 მლრდ მანეთს. ასე რომ, დაბანდებათა საერთო მოცულობამ სოფლის მეურნეობაში ხუთწლეულში შეადგინა 129 მლრდ მანეთი. ასეთი ძვრები კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობაში სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ იმასთანაა დაკავშირებული, რომ იგი 70%-ით და მეტად უზრუნველყოფს მიმდინარე მოხმარების ფონდის სანედლეულო ბაზას. მეცხრე ხუთწლეულში მთლიანად სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა 30%-ზე მეტი წარიმართა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, საკვები პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების სხვა საგნების წარმოების გადიდებაზე. ეს გარემოება კი აშკარად მეტყველებს სოციალისტური დაგროვების ფონდის სტრუქტურულ ძვრებზე.

ამრიგად, მეცხრე ხუთწლეულში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის „ბ“ ჯგუფში კაპიტალურ დაბანდებათა უფრო მაღალი ტემპით ზრდის საფუძველზე მიღწეულ იქნა ეროვნულ შემოსავალში დაგროვების ფონდის რამდენადმე შემცირება და მოხმარების ფონდის შესაბამისი გადიდება, რაც სრულიად შეესაბამება ხუთწლიანი გეგმის მთავარ ამოცანას.

მეცხრე ხუთწლეულში, მიუხედავად იმისა, რომ დაგროვების საერთო ნორმა 1970 წლის 26%-დან შემცირდა 25,5%-მდე 1975 წელს, შენარჩუნებულ იქნა ეროვნულ შემოსავალში საწარმოო დაგროვების ნორმის საკმაოდ მაღალი დონე. მიმდინარე ხუთწლეულში საწარმოო დაგროვების ნორმა არ შემცირდება, შემცირდება სამომხმარებლო დანიშნულების დაგროვების ნორმა. საწარმოო დაგროვების მაღალი ნორმის (21%) შენარჩუნების მიზეზია საწარმოო სიმძლავრეებისა და ფონდების ექსპლოატაციაში შესვლის გაჭიანურებული ვადები, დაუმთავრებელი მშენებლობის დიდი მოცულობა და კაპიტალური მშენებლობის სფეროში არსებული სხვა ნაკლოვანებანი, რომელთა დაძლევა, რა თქმა უნდა, შესაძლებელს გახდის ამაღლდეს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობა, ამ საფუძველზე რამდენადმე შემცირდეს საწარმოო დაგროვების ნორმა და გადიდდეს სამომხმარებლო დანიშნულების დაგროვების ნორმა.

მამასადამე, საწარმოო დაგროვების ნორმის სტაბილიზაციისა და მის შემდგომ შემცირებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს დაგროვების ეფექტურობის ამაღლებამ. აქ კი მთავარია საწარმოო დაგროვების კოეფიციენტის შემცირება (საწარმოო დაგროვების კოეფიციენტი არის ეროვნული შემოსავლის დაგროვების ის წილი, რომელიც მომავალ პერიოდში ეროვნული შემოსავლის ერთი პროცენტით მატებისათვისაა საჭირო. ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის გასაგებად საწარმოო დაგროვების ნორმა იყოფა საწარმოო დაგროვების კოეფიციენტზე).


დაგროვების ეფექტურობის ზრდის ეკონომიური საფუძველია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლება. შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალი დონის პირობებში ეროვნული შემოსავლის დასაგროვებელი ნაწილის იგივე ღირებულება გამოიხატება წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების დიდი რაოდენობით. ამიტომ დაგროვების ფონდის ხვედრიწონის უცვლელობისა და თუნდაც მისი შემცირების პირობებში შესაძლებელია რეალური დაგროვების ზრდის ტემპების დაჩქარება. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეცხრე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მიღებულ იქნა ეროვნული შემოსავლის მთელი მატების 80 პროცენტი. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გადიდა 34%-ით და მის ხარჯზე მიღებულ იქნა მრეწველობის პროდუქციის მთელი მატების 84%. სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში შრომის ნაყოფიერების ზრდამ შეადგინა 22 პროცენტი და უზრუნველყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთელი მატება.

დაგროვების ეფექტურობის ამაღლებას მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში განაპირობებს პროდუქციის მასალატევადობის საგრძნობი შემცირება. წარმოებული პროდუქციის მოცემული მასის შესაქმნელად საზოგადოებრივი მასშტაბით (ღირებულების მიხედვით) სულ უფრო ნაკლები წარმოების საშუალებები იხარჯება. რაც უფრო ნაკლებია მატერიალური დანახარჯები, რაც უფრო დაბალია პროდუქციის მასალატევადობა, მით უფრო მაღალია ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი.

დაგროვების ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვანი მიმართულებაა პროდუქციის ხარისხის არსებითი გაუმჯობესება. ახლანდელ პირობებში — აღინიშნა სკკ XXIV ყრილობაზე, — თუ მხედველობაში მივიღებთ მთელ სახალხო-სამეურნეო ეფექტს, უკეთესი ეს თითქმის ყოველთვის ნიშნავს მეტსაც. მაგალითად, პროგრამული მართვის მქონე ერთი თანამედროვე ჩარხი ცვლის მოძველებული კონსტრუქციის ათ ჩარხს, რაც დიდად აჩქარებს წარმოების განვითარების ტემპს.

სოციალისტური დაგროვების შემდეგი თავისებურება თანამედროვე ეტაპზე იმაში მდგომარეობს, რომ მნიშვნელოვნად იზრდება ამორტიზაციის როლი სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების ტემპების დაჩქარებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული შემოსავლის ნაწილის საწარმოო დაგროვებასთან ერთად ეკონომიური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად გამოდის რესურსები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი სიმდიდრის ფუნქციონირებული ძირითადი ფონდების განახლებასთან.

ძირითადი ფონდების გაფართოებულ კვლავწარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საამორტიზაციო ანარიცხები, რომლებიც კაპიტალურ რემონტზე გადარიცხვების გარდა, წარმოადგენენ კაპიტალურ დაბანდებათა ფონდის წარმოქმნის ერთ-ერთ წყაროს. გამოყენებული ძირითადი ფონდების ზრდასთან ერთად იზრდება საამორტიზაციო ანარიცხების ჯამიც. უკანასკნელ წლებში მოქმედი ძირითადი წარმოებითი ფონდების აღდგენასა და განახლებაზე წარიმართებოდა კაპიტალურ დაბანდებათა 20%, რაც აშკარად არა-




საკმარისი იყო, რადგან ფაქტიური გამოსვლა მწყობრიდან თავისებურად გამოვიდა. სწორედ აღნიშნული გარემოება გათვალისწინებული სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში, სადაც აღნიშნულია, რომ უნდა დაჩქარდეს მანქანათმშენებლობის საწარმოო ბაზის ხელახალი ტექნიკური აღჭურვა. ამ დარგის საწარმოებში მოძველებული ლითონდამამუშავებელი მოწყობილობის შესაცვლელად გაგზავნილ უნდა იქნას ლითონსაჭრელი ჩარხების რესურსების 25—30 პროცენტი და სამჭედლო-საწნეხი მანქანების რესურსების სულ ცოტა 30 პროცენტი [2(გვ. 317)].

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისა და ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით სკკპ XXIV ყრილობამ ახალი ამოცანები დასახა საამორტიზაციო ანარიცხების შექმნისა და გამოყენების დარგში. დირექტივებში ნათქვამია: „შევიმუშაოთ და თანდათანობით შემოვიღოთ საწარმოო მოწყობილობის ამორტიზაციის ახალი, უფრო მოკლე ვადები, ამასთან შევზღუდოთ ნაკლებად ეფექტური კაპიტალური რემონტის მოცულობა და გავადიდოთ გაცვეთილი და მორალურად მოძველებული მოწყობილობის შესაცვლელად გამოყოფილი საამორტიზაციო ანარიცხების წილი“ [2(გვ. 302)]. რა თქმა უნდა ეს ღონისძიება მნიშვნელოვნად აამაღლებს წარმოების ეფექტურობას. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო რეფორმამ ახლებურად დასვა საამორტიზაციო ანარიცხების როლის საკითხი. რეფორმამდე საამორტიზაციო ანარიცხების ის წილი, რაც განკუთვნილი იყო რენოვაციისათვის, მთლიანად გადადიოდა ზემდგომი ორგანოების განკარგულებაში. ამ სისტემას დადებით მხარეებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა, რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა სრული სამეურნეო ანგარიშის არსს, საწარმოთა ხელმძღვანელობაში ბადებდა სხვის ხარჯზე არსებობის განწყობილებას, ასუსტებდა მათ ინიციატივას ძირითადი ფონდების სრულყოფის საქმეში.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის პირობებში რენოვაციისათვის განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების უმნიშვნელოვანესი ნაწილი (უმეტეს დარგში 30%-დან 45%-მდე) ჩაირიცხება წარმოების განვითარების ფონდში, რჩება თვით საწარმოთა განკარგულებაში და გამოიყენება გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებისათვის. ამჟამად კაპიტალური მშენებლობის მთავარ მიმართულებად მიჩნეულია მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია და ხელახალი ტექნიკური აღჭურვა, რაც საშუალებას მოგვცემს მოკლე ვადებში და ნაკლები დანახარჯებით გადიდდეს სიმძლავრეები და პროდუქციის წარმოება.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური დაგროვების ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ძვრები ხდება მშენებლობის ფაქტიური ღირებულების დინამიკაში. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული კაპიტალური მშენებლობის ეკონომიურ მაჩვენებლებზე. ხარჯები საწარმოთა მშენებლობაზე ჰეტისმეტად მაღალია. მერვე სუთწლედში მშენებლობის ფაქტიური ღირებულება ზოგიერთ დარგში 25—30%-ით გადიდდა. ამიტომ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შემცირდეს ხვედრი კაპიტალური დანახარჯები, შეიკვეცოს მშენებლობის ვადები და მნიშვნელოვნად შემცირდეს მისი ღირებულება. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში ითვალისწინებენ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირებას



სულ ცოტა 3—5 პროცენტით და იგი უნდა განხორციელდეს უფრო რაციონალურ საპროექტო გადაწყვეტათა ხარჯზე. მშენებლობის ღირებულების შემცირების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების საქარხნო მზაობის ხარისხის გადიდებას, სრული ასაწყობი მშენებლობის პრაქტიკის გაფართოებას, ახალი ეფექტური მასალებისა და შემსუბუქებული კონსტრუქციების მასობრივ გამოყენებას.

უკანასკნელ პერიოდამდე კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვის სერიოზულ ნაკლად რჩება მისი გაფანტვა მრავალ სამშენებლო ობიექტზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ სსრ კავშირში ერთდროულად მიმდინარეობს 250 ათასზე მეტი საწარმოო ობიექტის მშენებლობა. ერთდროულად მშენებარე მშენებლობათა რაოდენობა 2,5—3-ჯერ აღემატება კაპიტალდაბანდებათა, მატერიალურ და შრომითი რესურსების ჩვენს შესაძლებლობებს [5(გვ. 47)]. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, შეუძლებელია განხორციელდეს ასეთი დიდი რაოდენობის ობიექტების დაფინანსება იმ მოცულობით, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მშენებლობის დამთავრებას ნორმატიულ ვადებში.

კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის გაუმჯობესების, სამშენებლო წარმოების ეკონომიური სტიმულირებისა და ამ საფუძველზე კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობის ამაღლების მიმართულებით დიდი ძვრები დასახა სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1969 წლის ივნისში მიღებული დადგენილების საფუძველზე. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კაპიტალური მშენებლობის ხუთწლიან გეგმაში დაწყებული 1971—1975 წლების გეგმით, თითოეული მშენებლობისათვის უნდა დაწესდეს დავალებანი სიმძლავრებისა და ძირითადი ფონდების ასამოქმედებლად, აგრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა მშენებლობის მთელი ვადისათვის წლების მიხედვით.

აღნიშნული დადგენილება ითვალისწინებს კაპიტალური მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის იმ გზით გარდაქმნას, რომ მშენებლობანი საჭირო მასალებითა და მექანიზმებით მომარაგდეს სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოების მეშვეობით სამშენებლო ორგანიზაციების შეკვეთების მიხედვით, რომელიც განისაზღვრება პროექტებითა და ხარჯთაღრიცხვით.


მეცხრე ხუთწლედში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ საკმაოდ დიდ ოდენობას მიაღწია. სახალხო მეურნეობაში კაპიტალურმა დაბანდებაებმა დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით შეადგინა 501 მლრდ მანეთი [6]. კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ზრდის პირობებში შეუწყნარებელია ჩამორჩენა მშენებლობის გეგმების შესრულებაში. ეს ჩამორჩენა განსაკუთრებით საგრძნობი იყო საქართველოს სსრ-ში. როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის (1973 წ.) პლენუმზე აღინიშნა, რესპუბლიკაში 1961—1972 წლებში ათვისებული არ იქნა 420 მლნ მანეთის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება, რომ რესპუბლიკაში მშენებლობა როგორც ტემპით, ისე ხარისხის მაჩვენებლებით ჯერ კიდევ ჩამორჩება იმ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რომლებიც დასმულია სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცკ-ის დეკემბრის (1972 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებით [7].



განვითარების თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური დაგროვების ბურჟუაზიზმის ბურჟუაზიზმზე მსჯელობისას არ შეიძლება არ შევეჩნოთ საწარმოო დაგროვების უკუგების გადიდების საკითხს. დაგროვების უკუგების გადიდებაში კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოწყობილობათა ხვედრიწონის გადიდებას კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში. მაშასადამე, განუხრელად უნდა იზრდებოდეს დაბანდებანი მოწყობილობაზე, ინსტრუმენტსა და ინვენტარზე, რომლებიც წარმოადგენენ ძირითადი ფონდების „აქტიურ“ ნაწილს და რომელთა გამოყენებაზე უშუალოდ არის დამოკიდებული წარმოების მოცულობის ზრდა. კაპიტალურ დაბანდებათა „აქტიურ“ და „პასიურ“ ნაწილებს შორის თანაფარდობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ საწარმოო დანიშნულებით განხორციელებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში ერთი მხრივ მოწყობილობის, ინსტრუმენტისა და ინვენტარის და მეორე მხრივ, სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა ხვედრიწონის თანაფარდობის მიხედვით. უკანასკნელ წლებში საწარმოო მიზნით განხორციელებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეადგენდა 46%-ს, მოწყობილობა, ინსტრუმენტი და ინვენტარი — 44%-ს, 9% მოდიოდა დანარჩენ კაპიტალურ სამუშაოებსა და დანახარჯებზე, მაშინ როცა 1946—1950 წლებში შესაბამისად შეადგენდა 55, 37 და 8%. საქართველოს სსრ-ში სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხვედრიწონა კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში 1956—1960 წლებში არსებული 70%-დან შემცირდა 1970 წელს 61%-მდე [8(გვ. 204)].

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე საქართველოში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხვედრიწონა კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში ჯერ კიდევ მაღალია. ამიტომ კაპიტალური დაბანდების სტრუქტურის გაუმჯობესება იმ მიმართულებით უნდა მოხდეს, რომ შემცირდეს დანახარჯები ძირითადი ფონდების „პასიურ“ ნაწილზე და გადიდდეს მისი აქტიური ნაწილის — მანქანების; მოწყობილობის, ინსტრუმენტისა და ინვენტარის ხვედრიწონა.

დაგროვების უკუგების გადიდების ერთ-ერთი ფაქტორი უნდა გახდეს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის კაპიტალ-ტევადობის სტაბილიზაცია და მისი შემდგომი შემცირება. 1913—1970 წლებში სსრ კავშირში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი გადიდა 41-ჯერ, ხოლო ეროვნული შემოსავალი — 46-ჯერ (უკანასკნელის წინგამსწრები კოეფიციენტი ერთს აღემატება), კაპიტალური დაბანდებები ამავე პერიოდში გადიდა 70-ჯერ. მაშასადამე, აღნიშნულ პერიოდში კაპიტალტევადობის კოეფიციენტი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მიხედვით შეადგენდა 1,7 (70:41), ხოლო ეროვნული შემოსავლის მიხედვით — 1,5 (70:46), ე. ი. 0,2 პუნქტით ნაკლებს. 1940—1970 წწ. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი გადიდა 8,1-ჯერ, ეროვნული შემოსავალი — თითქმის 9-ჯერ (უკანასკნელის წინგამსწრები კოეფიციენტი ასევე ერთს აღემატება), ხოლო კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობა — 11,8-ჯერ, მაშასადამე, აღნიშნულ პერიოდში კაპიტალტევადობის კოეფიციენტი შეადგენდა: ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მიხედვით — 1,45 და ეროვნული შემოსავლის მიხედვით — 1,31 [9(გვ. 14—15)]. როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, აღნიშნულ პერიოდ-



ში კაპიტალტევადობის დონე დაბალია, ვიდრე 1913—1970 წლებში. ერთნაირი შემოსავლის კაპიტალტევადობის შემცირების ტენდენციას კიდევ უფრო მეტად ჰქონდა ადგილი მეცხრე ხუთწლედში, რადგან დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა დაყვანილ იქნა ნორმატიულ მარაგნამეტამდე. ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში მიღებული მთელი რიგი დადგენილებანი ცვლიან მშენებელთა მუშაობის თვით პრინციპს: შეფასება ემყარება საბოლოო შედეგებს, სიმძლავრეთა ამოქმედებას, მშენებლობის დამთავრებას სრული მოცულობით და არა ამა თუ იმ შუალედურ სტადიებს, როგორც ეს წინათ ხდებოდა.

ასეთია დაგროვებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში. დაგროვების ამ თავისებურებებმა არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს საზოგადოების მოხმარებისათვის საჭირო რესურსების გადიდებაზე და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაზე.

§ 2. ხალხის კეთილდღეობის ამაღლების შესაძლებლობათა გაფართოება

სოციალისტურ საზოგადოებაში აღკვეთილია ყოველგვარი ანტაგონიზმი დაგროვებასა და მოხმარებას შორის. საზოგადოების მასშტაბით ინდივიდუალურმა მოხმარებამ თავისი თვისობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობით უნდა უზრუნველყოს სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოება. ამიტომ სოციალისტური დაგროვების მიზანია საზოგადოებრივი მოხმარების დონის განუხრელი ამაღლება. აქ საწარმოო დაგროვების ყოველი გადიდება (ძირითადი და საბრუნავი საწარმოო ფონდების მატება) და მისი ეფექტურობის ამაღლება მიმართულია საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდის, წარმოების მუშაკთა შრომის შემსუბუქებისა და თავისუფალი დროის გადიდებისაკენ. სოციალისტურ საზოგადოებაში, როგორც წესი, მოცემული წლის დაგროვების რეალიზაცია ხდება არა მარტო იმავე წლის, არამედ მომდევნო წლების მოხმარებაში. ეს კი, კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, პრინციპულად ახალი ურთიერთდამოკიდებულებაა დაგროვებასა და მოხმარებას შორის.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მთავარი ამოცანის გადაწყვეტა—ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება— მოითხოვს რესურსების იმგვარ განაწილებას, რომ ეროვნულ შემოსავალში გადიდდეს მოხმარების ფონდის ხვედრიწონა. განვითარების თანამედროვე ეტაპზე კი ხალხის კეთილდღეობის ამაღლების შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ეს შესაძლებლობანი იმაში მდგომარეობენ, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხასიათდება სრულიად ახალი მასშტაბებით, შექმნილია ისეთი ეკონომიური ძლიერება, — აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობაზე, — რომელსაც საფუძვლად უდევს მრავალდარგოვანი მაღალგანვითარებული ინდუსტრია, მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და მრავალრიცხოვანი მაღალკვალიფიციური კადრები. ეს კი შესაძლებლობას იძლევა სულ უფრო მეტად წარიმართოს სამეურნეო მშენებლობა ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. სწორედ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის სრულმა რეალიზაციამ განვითარებული სოციალიზმის დროს შესაძლებლობა მოგვცა მეცხრე ხუთწლედისა და უფრო ხან-



გრძლივი პერიოდისათვის მთელი ჩვენი სამეურნეო განვითარების ეტაპზე მშრომელთა დაგვესახა მშრომელთა კეთილდღეობის არსებითი ამაღლება. მაშასადამე, სოციალისტური წარმოების მიზანი, გაზრდილი ეკონომიური პოტენციალი, სახალხო მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებანიც შესაძლებელსა და აუცილებელს ხდიან უფრო მკვეთრად შემოვებრუნოთ ეკონომიკა იმ მრავალფეროვანი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც უკავშირდებიან ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ეკონომიურ შესაძლებლობებთან ერთად სწრაფად იზრდება საზოგადოების მოთხოვნები ეკონომიკისადმი. ინტენსიურად მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება, რაც მთელი ჩვენი სამეურნეო მშენებლობის მთავარი მიმართულებაა, წარმოების მუშაკთა ფიზიკური და გონებრივი უნარის განვითარებას მოითხოვს. მშრომელთა შრომის ანაზღაურების დონე და მათი მოხმარება ასეთ პირობებში უშუალოდ დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპთან. ყოველივე ეს კი დამოკიდებულია ცხოვრების დონეზე, იმაზე, თუ რამდენად სრულად შეიძლება დაკმაყოფილდეს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენებაში XXIV ყრილობისადმი აღნიშნულია: „თანამედროვე წარმოება სწრაფად მზარდ მოთხოვნებს უყენებს არა მარტო მანქანებსა და ტექნიკას, არამედ უწინარეს ყოვლისა თვით მუშაკებსაც, იმათ, ვინც ამ მანქანებს ქმნიან და ამ ტექნიკას მართავენ. სპეციალური ცოდნა, მაღალი პროფესიული მომზადება, ადამიანის ზოგადი კულტურა იქცევა მუშაკთა სულ უფრო ფართო მასების წარმატებითი შრომის სავალდებულო პირობად. მაგრამ, ყოველივე ეს მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცხოვრების დონეზე, იმაზე, თუ რამდენად სრულად შეიძლება დაკმაყოფილდეს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი“ [2(გვ. 53—54)].

მაშასადამე, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეტაპზე მშრომელთა კეთილდღეობის სწრაფი ამაღლება არის მთელი ჩვენი სამეურნეო განვითარების დაბეჯითებითი მოთხოვნა.

მეცხრე ხუთწლეულში, ისე როგორც ყოველთვის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების მატერიალური საფუძველი იყო ქვეყნის ეროვნული შემოსავლისა და მისი მოხმარებითი ნაწილის მაღალი ტემპით ზრდა. მოხმარების ფონდის მოცულობა ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში 1970 წლის 197,2 მლრდ მანეთიდან გადიდა 1975 წელს 266 მლრდ მანეთამდე. მისი მატება ხუთწლეულში შეადგენდა 75—81 მლრდ მანეთს; ნაცვლად მერვე ხუთწლეულის 56,8 მლრდ მანეთისა [2(გვ. 173)]. მაშასადამე, მეცხრე ხუთწლეულში დაგეგმილი იყო იმ რესურსების არსებითი გადიდება, რომელიც უშუალოდ ხმარდება ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას, კერძოდ, გაიზარდა მოხმარებისათვის განკუთვნილი წილი ეროვნულ შემოსავალში. თუ 1970 წელს ის შეადგენდა 74%, 1975 წელს მიაღწია 75%, საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაზე დაგროვების ფონდიდან წარმართული ხარჯების გათვალისწინებით, მეცხრე ხუთწლეულში უშუალოდ მოსახლეობის საჭიროებისათვის გამოყენებული იყო ეროვნული შემოსავლის 4/5 ნაწილი. საქართველოს სსრ-ში მეცხრე ხუთწლეულში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 32%-ით. ხუთწლეულის ბოლოს გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალში მოხმარების ფონდის ხვედრიწონამ მიაღწია 76%, ნაცვ-

ეროვნული
საბჭო


ლად 1970 წლის 74 %-სა. მოხმარების სასარგებლოდ პროპორციების შეცვლა რუნველყოფილი იქნება მრეწველობის პროდუქციის „ბ“ ჯგუფის ზრდის ტემპების დაჩქარებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის მაღალი ტემპით, მძიმე მრეწველობის საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებით, მოსახლეობის მომსახურების სფეროს მნიშვნელოვანი გაფართოებით.

ეროვნული შემოსავლის მოცულობის მკვეთრი გადიდებისა და მასში მოხმარების ფონდის ხვედრიწონის მნიშვნელოვანი ამადლების საფუძველზე რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა თითქმის 25 პროცენტით. მოსახლეობის ფულადი შემოსავლის საერთო მოცულობა სსრ კავშირში მეცხრე ხუთწლედში გაიზარდა 42%-ით წინა ხუთწლედთან შედარებით. 1971—1975 წლებში მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასი თვეში გადიდდა 70 მანეთამდე. ამავე დროს გადიდდა საშუალო ხელფასიანი კატეგორიების მუშაკთა სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები. ხელფასის მომატების ღონისძიებები საერთოდ შეეხება 90 მილიონამდე მუშასა და მოსამსახურეს. აღნიშნულის შედეგად მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი ხუთწლედში 146 მანეთამდე გაიზარდა, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კი 25%-ით.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე სახალხო მეურნეობის განვითარებაში და, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში შექმნილი ობიექტური მიზეზების მიუხედავად, განუხრელად ხორციელდებოდა სკკ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი ხალხის კეთილდღეობის ამადლების დარგში. ეროვნული შემოსავლის 80% წარიმართა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამადლებაზე. გაუდიდდათ ხელფასი რკინიგზის ტრანსპორტის მუშებსა და მოსამსახურეებს, სოფლის მეურნეობის მექანიზატორებს. საშუალოდ 20%-ით გაუდიდდათ ხელფასი მასწავლებლებსა და ექიმებს და 29%-ით — სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა აღმზრდელებს.

ყველა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებს გაუდიდდათ მოხუცებულობის პენსიების წინიმალური ოდენობა. ეს ღონისძიება განხორციელდა 1971 წლის 1 ივლისიდან. მოხუცებულობის პენსია 30 მანეთიდან 45 მანეთამდე გადიდდა. კოლმეურნეთა მოხუცებულობის პენსიების მინიმალური ოდენობა თვეში გადიდდა 12 მანეთიდან 20 მანეთამდე. უმაღლესი სკოლის სტუდენტებს სტიპენდიები გაუდიდდათ 25%-ით, ხოლო საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს — 50%-ით. 1976 — 1980 წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი გაიზარდა 16—18%-ით, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კი — 24—27%-ით.

საშუალო ხელფასის ზრდა წარმოების მუშაკთა რეალური შემოსავლების ზრდის მხოლოდ ერთი ფაქტორთაგანია. სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედებენ რიგი სხვა ფაქტორები, რომლებიც აპირობებენ მშრომელთა რეალური შემოსავლების განუხრელ ზრდას. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და საზოგადოების ყველა სხვა წევრის რეალური შემოსავლის გადიდებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მოხმარების საზოგადოებრივ ფონდებს და მათ სისტემატურ ზრდას. აღნიშნული ფონდების როლი და მნიშვნელობა მეტად მრავალფეროვანია. ჯერ-ერთი,



მათი განუხრელი და მაღალი ტემპით ზრდას მთლიანად აღებულს აქვს უდიდესი მნიშვნელობა მშრომელთა მოხმარების, მათი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ამჟამად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რეალურ შემოსავლებში მათი ხვედრიწონა მესამედზე მეტია.


მეორე, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, როგორც წესი, მნიშვნელოვანი ზომით აღიდებენ მოსახლეობის დაბალი ანაზღაურების მქონე ჯგუფების რეალურ შემოსავლებს. მრავალშვილიანი, შრომისუნარმოკლებული წევრიანი ოჯახებისა და აგრეთვე დაბალხელფასიანი კატეგორიის მუშაკთა პირველ რიგში უზრუნველყოფა უფასო და შეღავათიანი დოვლათითა და მომსახურებით შესაძლებლობას იძლევა, თანდათანობით დაძლეულ იქნას უთანასწორობა მშრომელთა მოხმარების დონეში;

აღნიშნულიდან გამომდინარე, განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში საბჭოთა სახელმწიფო სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სისტემატურ ზრდასა და მათი განაწილებისა და გამოყენების სრულყოფის საქმეს. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მოცულობამ მეცხრე ხუთწლეულის ბოლოს მიაღწია 90 მლრდ მანეთს, რამაც შესაძლებელი გახადა საშუალო სულადობრივი დამატებითი შემოსავლის გადიდება. 1973 წელს მისაცემლებმა და შეღავათებმა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან შეადგინეს 73 მლრდ მანეთი, რაც მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა 310 მანეთს [4(გვ. 178)].

შრომის ანაზღაურებასთან, აგრეთვე მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებულ მისაცემლებთან, შეღავათებთან და დახმარებებთან ერთად მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებაზე არსებით ზეგავლენას ახდენენ ფასები საქონელზე და მომსახურებაზე, აგრეთვე გადასახადები. რაც უფრო დაბალია მათი დონე, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მაღალია მოსახლეობის რეალური შემოსავლები.

როგორც ცნობილია, ომისშემდგომ პირველ ხუთწლეულებში მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდის დაახლოებით 50%-ს ფასების შემცირებით ვაღწევდით. კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების საქმეში გადამწყვეტი როლი ენიჭება შრომის ანაზღაურების გადიდებას. ამის მიზეზებია შემდეგი: ჯერ-ერთი, ფასების შემცირებას თანამედროვე პირობებში ერთგვარად შეზღუდული შესაძლებლობანი გააჩნია, რამდენადაც იგი დამყარებულია პროდუქციის ღირებულების შემცირების შედეგებზე, სასაქონლო რესურსების დაგროვებაზე, მეორე, მოხმარების საგნებზე ფასების მასობრივი შემცირება უფრო ხელსაყრელი ხდება იმ მყიდველებისათვის, რომელთაც მაღალი ფულადი შემოსავლები აქვთ. ეს კი არ შეესაბამება კომუნისტური პარტიის ხაზს, რომ უპირატესად უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის დაბალი ანაზღაურებისა და ნაკლებად უზრუნველყოფილი ჯგუფების ცხოვრების დონის ამაღლება.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე ფასების მასობრივი შემცირება არ არის ვათვალისწინებელი. თუმცა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში მითითებულია, რომ საქონელთა მარაგის დაგროვების კვალობაზე განხორციელდება ფასების შემცირება სახალხო მოხმარების ცალკეულ საქონელზე.



მოსახლეობის რეალური შემოსავლები იზრდება აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასზე გადასახადების შემცირებისა და გაუქმების შედეგად. უკანასკნელ პერიოდამდე საშემოსავლო გადასახადს არ იხდიდნენ მუშები და მოსამსახურეები, რომელთა ხელფასი თვეში შეადგენდა 60 მანეთს. ხოლო მშრომელები, რომელთა ხელფასი შეადგენდა 80 მანეთს, საშემოსავლო გადასახადს იხდიდნენ შემცირებული განაკვეთებით. მეცხრე ხუთწლეულში ხელფასის მინიმუმის გადიდებასთან დაკავშირებით გაიზარდა გადასახადით ხელფასის დაუბეგრავი მინიმუმი. შეწყდა გადასახადების გადახდევინება თვეში 70 მანეთამდე ოდენობის ხელფასზე და მესამედით და მეტად შემცირდა იმ მუშაკების გადასახადის განაკვეთები, რომლებიც თვეში იღებენ 71-დან 90 მანეთამდე ჩათვლით.

სახალხო მოხმარების ზრდა თავის გამოხატულებას, უწინარეს ყოვლისა, პოულობს საცალო საქონელბრუნვის ზრდაში. მოსახლეობის შემოსავლის ზრდის საფუძველზე არსებითად დიდდება მოთხოვნა საქონელზე. საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ 1971—1975 წლებში მიაღწია 333 მლრდ მანეთს, ანუ 40%-ით გადაამეტა მერვე ხუთწლეულის საერთო დონეს [6].

მშრომელთა კეთილდღეობის ამიღების გამოხატულების მაჩვენებელია არა მხოლოდ საცალო საქონელბრუნვის მოცულობის გადიდება, არამედ პროგრესული ძვრებიც მის სტრუქტურაში. მაგალითად, კვების ისეთ მაღალხარისხოვან და სრულფასოვან პროდუქტებზე მოთხოვნის გადიდება, როგორცაა ხორცი, თევზი, რძის პროდუქტები, კვერცხი, ხილი და ბოსტნეული. პურის, პურპროდუქტებისა და კარტოფილის ხვედრიწონის შემცირება კვების რაციონში და სხვ. ეს ტენდენცია მეათე ხუთწლეულსა და მომავალ პერსპექტივაში კიდევ უფრო გაძლიერდება. სკკ XXIV ყრილობის დირექტივებში მითითებულია: „კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ მოსახლეობის კვების სტრუქტურა ხორცის, თევზისა და რძის პროდუქტების, კვერცხის, ბოსტნეულის, ხილის წარმოებისა და მოხმარების გადიდების გზით, გავაფართოოთ ამ და სხვა სასურსათო საქონლის ასორტიმენტი“ [2(გვ. 344)].

მიმდინარე ხუთწლეულში და შორეულ პერსპექტივაში მოხდება მოსახლეობის მომსახურების სფეროში ჩაბმული შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი გადიდება. სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მატერიალურ წარმოებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ხვედრიწონა შრომით რესურსებში მუდმივად უნდა იზრდებოდეს. საწარმოო ძალების განვითარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის, ამიღების კვალობაზე მეტადდება სხვა ტენდენცია — არასაწარმოო სფეროს ხვედრიწონა განსაზღვრული მომენტებიდან იწყებს ზრდას. ასე მაგალითად, სსრ კავშირში 1940 წლიდან 1965 წლამდე არასაწარმოო სფეროს ხვედრიწონა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში (მოსწავლეებისა და სამხედრო მოსამსახურეების გარეშე) გადიდდა 11,7-დან 20%-მდე, ხოლო მატერიალური წარმოების დარგთა ხვედრიწონა 83,3-დან შემცირდა 80%-მდე. 1966 — 1970 წლებში არასაწარმოო სფეროს ხვედრიწონა გადიდდა 20%-დან 22,5%-მდე. მეცხრე ხუთწლეულის დამლევისათვის მომუშავეთა დაახლოებით 25% მუშაობდა არასაწარმოო სფეროში, ხოლო 75% — მატერიალური წარმოების სფეროში [10(გვ. 6)].



ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ღონისძიებებში მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ მთელი საქართველოს მნიშვნელოვანი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების და კერძოდ საბინაო პირობების არსებით გაუმჯობესებას. მეცხრე ხუთწლედში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აშენდა 544 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რამაც შესაძლებელი გახდა საბინაო პირობები გაუმჯობესებინა 56 მილიონ კაცს.

ინტენსიურად მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელი საზოგადოების ზოგადსაგანმანათლებლო დონეს, წარმოების მუშაკთა პროფესიულ-ტექნიკურ მომზადებას. მზარდი ტექნიკური პროგრესი წარმოების მუშაკებს უყენებს ახალ გადიდებულ მოთხოვნებს. შრომის მონაცვლეობის კანონი მოითხოვს დინამიურ მუშაკს. ეს გარემოება აუცილებლობით აპირობებს შესაბამისი განათლების საფუძველზე მისი პროფილის გაფართოებას. მათგან, სამუშაო ძალის განვითარებისა და სრულყოფის, მისი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საერთო განათლების მდგომარეობა, მისი დონე, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება წარმოუდგენელია არა მხოლოდ საწარმოო ტექნიკური ცოდნის გაღრმავების გარეშე, არამედ მუშაკთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონის ამაღლების გარეშეც.

სოციალისტური მშენებლობის წინა ეტაპებზე ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა საყოველთაო დაწყებითი განათლება და დაიწყო საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებაზე გადასვლა. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მეცხრე ხუთწლედში ძირითადად დამთავრდა საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. ბუნებრივია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტას უდიდესი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს.

სახალხო განათლების სწრაფი განვითარების პირობებში მუშათა კლასის რიგები განუწყვეტლად ივსება საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით. თუ 1959 წელს ყოველი 1000 მუშიდან უმაღლესი და საშუალო განათლება ჰქონდა 386 კაცს, 1970 წლისათვის იგი ჰქონდა 550-ზე მეტ კაცს. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ წარმოების მუშაკები რაც შეიძლება სწრაფად დაეუფლონ უახლეს ტექნიკას და ტექნოლოგიას, შეიძინონ ახალი პროფესია, წარმატებით იმუშაონ მონათესავე პროფესიების მიხედვით, უზრუნველყონ ავტომატიზებული მანქანების სისტემის რაც შეიძლება ეფექტური გამოყენება. განვითარების თანამედროვე ეტაპზე წარმოების მუშაკთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში არანახულად იზრდება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და სკოლების როლი.


პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების როლის გადიდებასთან დაკავშირებით მეთავე ხუთწლედში აღნიშნულ სისტემაში უნდა მომზადდეს სულ ცოტა 11 მილიონი კვალიფიციური მუშა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. მეცხრე ხუთწლედში სახალხო მეურნეობაში მოვიდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების 9,3 მილიონი კურსდამთავრებული და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 9 მილიონზე მეტი სპეციალისტი.

ადამიანთა კეთილდღეობას, მათი შრომის შედეგებს, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ნორმალურ მიმდინარეობას არსებითად განსაზღვრავს შრომის პირო-

ბები. სკკ XXIV ყრილობამ ამოცანად დასახა წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების საფუძველზე თანმიმდევრულად შევამციროთ ხელისა და ძიმე, აგრეთვე არაკვალიფიციური შრომის გამოყენება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში... უზრუნველვყოთ შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება, გავადიდოთ საწარმოთა აღჭურვა უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის თანამედროვე საშუალებებით.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპებზე ხალხის კეთილდღეობის ამაღლების პროგრამას, რაც შემუშავებულია სკკ უკანასკნელი ყრილობების მიერ, აქვს მკვეთრად გამოხატული სოციალური მიმართულება. იგი ითვალისწინებს მოსახლეობის ყველა ფენის ცხოვრების დონის ამაღლებას და პირველ რიგში მოსახლეობის დაბალი შემოსავლების მქონე ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებას. ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტისადმი ამგვარი მიდგომა განისაზღვრება განვითარებული სოციალისტური ეკონომიკის კომუნისმის უმაღლეს ფაზაში თანდათანობით გადაზრდის პერსპექტივებით. სოციალისტური სახელმწიფო სისტემატურ დონისძიებებს ახორციელებს მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასის გადიდების მიმართულებით; მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ამასთან, შრომის ანაზღაურების დონეთა დაახლოება მოიცავს არა მარტო მუშა-მოსამსახურეებს, არამედ იგი გრცელდება აგრეთვე საკოლმეურნეო გლეხობაზე. წინა წლებში განხორციელებულ დონისძიებათა შედეგად კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი მერვე ხუთწლეულში 1,6-ჯერ აღემატებოდა მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპს. მიუხედავად ამისა, მერვე ხუთწლეულის ბოლოს კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების დონე მაინც ჩამორჩებოდა საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების დონეს (1970 წელს იგი შეადგენდა მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის 74,1%). მეცხრე ხუთწლეულში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი დონისძიებები გატარდა.

მუშებისა და გლეხების კეთილდღეობის დაახლოება მოითხოვს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული მისაცემების, შეღავათებისა და დახმარებების გარკვეულ გათანასწორებას. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნე გლეხობისათვის განკუთვნილი მისაცემები და შეღავათები აღნიშნული ფონდებიდან უფრო სწრაფი ტემპით იზრდება, ვიდრე მუშა-მოსამსახურეთა მიერ მიღებული წილი ამ ფონდებში, განსხვავება ამ ფონდების გამოყენებაში მაინც მნიშვნელოვანია. თუ მუშა-მოსამსახურეების შემოსავლების საერთო ჯამში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული შემოსულობანი საშუალოდ 30%-ს აღემატება, კოლმეურნეთა შემოსავლებში ისინი შეადგენენ მხოლოდ 18%-ს. აქედან გამომდინარე, საჭიროა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების განაწილების იმგვარი სრულყოფა, რომ ამ ფონდების გამოყენებაში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდეს სოფლის მოსახლეობის ხვედრიწილი. ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა კეთილდღეობის დაახლოების ინტერესები მოითხოვენ სოფლის მოსახლეობის საბინაო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების არსებით გაუმჯობესებას. მიმდინარე ხუთწლეულში საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა სოფლად იზრდება გაცილებით სწრაფი ტემპით. მნიშვნელოვნად იზრდება ელექტროენერჯის გამოყენება სა-



ყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებით დიდი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სწავლასა და ჯანსაღი ცხოვრების დონის შემდგომი დაახლოების განხორციელების გზაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXIV ყრილობისადმი აღნიშნულია: „პარტიის პოლიტიკის მიზანია ხელი შეუწყოს მუშათა კლასის, კომუნისტური გლეხობის, ინტელიგენციის დაახლოებას ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების თანდათანობით აღმოფხვრას. ეს უკლასო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი უბანია“ [1(გვ. 92)].

ამრიგად, 1. განვითარებული სოციალისტური საზოგადოება დაგროვებისა და მოხმარების ახალ თანაფარდობას წარმოშობს. მოხმარების ფონდის ზრდის ტემპში რამდენადმე აღემატება დაგროვების ფონდის ზრდის ტემპს, ხოლო გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალში მოხმარების ფონდის ხვედრი წონა მადლდება.

2. განვითარების თანამედროვე ეტაპზე მოხმარებასა და დაგროვებას შორის ოპტიმალურია ისეთი თანაფარდობა, რომელიც უზრუნველყოფს გაფართოებული კვლავწარმოების მყარ და მაღალ ტემპებს, რაც შეხამებული უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრების დონის განუხრებლად ამაღლებასთან. მიმდინარე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში სოციალისტური ეკონომიკის განვითარების პროგრესული ვარიანტი სწორედ ეროვნული შემოსავლის მატების უზრუნველყოფაა დაგროვების ეფექტურობის ამაღლებით, რამაც დიდი როლი უნდა შეასრულოს საწარმოო დაგროვების ნორმის სტაბილიზაცია და მის შემდგომ შემცირებაში.

3. დაგროვების ეფექტურობის ამაღლებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ამაღლებას. ამავე მიმართულებით მოქმედებენ პროდუქციის მასალატევადობის შემცირება და მისი ხარისხის არსებითი გაუმჯობესება. დაგროვების ეფექტურობის ამაღლებაში მეტად დიდ როლს ასრულებს საწარმოო დაგროვების უკუგების გადიდება, რომელიც ხორციელდება კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობაში მოწყობილობათა ხვედრი წონის გადიდებით, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის კაპიტალტევადობის შემდგომი შემცირებით.

4. სოციალისტური დაგროვების მიზანია საზოგადოებრივი მოხმარების განუხრებელი ამაღლება. აქ, როგორც წესი, მოცემული წლის დაგროვების რეალიზაცია ხდება არა მარტო იმავე წლის, არამედ მომდევნო წლების მოხმარებაში.

5. განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის სრულმა რეალიზაციამ შესაძლებლობა მოგვცა მეცხრე ხუთწლედსა და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვის მთელი ჩვენი სამეურნეო განვითარების მთავარ ამოცანად დაგვესახა საზოგადოების კეთილდღეობის არსებითი ამაღლება. სწორედ ამას უპასუხებს მოხმარებისა და დაგროვების ახალი თანაფარდობა.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება შრომის ანაზღაურების გადიდებას. ამასთან, რეალური შემოსავლის გადიდებაში არსებით და სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სისტემა-

ტური ზრდა და მათი განაწილებისა და გამოყენების სისტემის შემდგომი სრულყოფა. მომავალში საჭიროა მათი განაწილების სრულყოფა, რომ ამ ფონდებით სულ უფრო მეტად ისარგებლონ საზოგადოების იმ წევრებმა, რომელთაც ყველაზე დიდი წვლილი შეაქვთ სოციალისტური წარმოების განვითარებასა და სრულყოფაში. ამასთან, საჭიროა აღნიშნული ფონდების გამოყენებაში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდეს სოფლის მოსახლეობის ხვედრიწონა.

ეკონომიური ფაქტორების
ბოლიტიკური ეკონომიის კათედრა

ლიტერატურა

1. ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, „სკკპ XXIV ყრილობის მასალები“, თბ., 1971.
2. „სკკპ XXIV ყრილობის მასალები“, თბ., 1971.
3. А. Анчишкин, Ю. Яременко, Темпы и пропорции экономического развития, М., 1967.
4. «СССР в цифрах в 1973 году», М., 1974.
5. «Вопросы экономики», 1970, № 5.
6. ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, გაზ. „კომუნისტი“, 2/III.
7. გაზ. „კომუნისტი“, 28/II—1973 წ.
8. „საბჭოთა საქართველოს 50 წელი“, თბ., 1971.
9. П. А. Малышев, Социалистическое накопление в девятой пятилетке, «Вестник Московского университета», Экономика, 1971, № 6.
10. «Экономическая газета», 1971, № 9.

Л. А. ХАРАЗИ

РЕШЕНИЯ XXIV СЪЕЗДА КПСС И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ НАКОПЛЕНИЯ И ПОТРЕБЛЕНИЯ В РАЗВИТОМ СОЦИАЛИСТИЧЕСКОМ ОБЩЕСТВЕ

Резюме

XXIV съезд КПСС внес большой вклад в развитие марксистско-ленинской теории социалистического расширенного воспроизводства, и, в частности, в вопрос о соотношении накопления и потребления.

Соотношения темпов роста накопления и потребления обусловлены всем комплексом социально-экономических условий, в частности, уровнем развития производительных сил страны, эффективности новой техники и производственных фондов, уровнем использования трудовых и природных ресурсов, количеством резервов, международным положением страны и т. д.

На всех этапах социалистического строительства (за исключением четвертой пятилетки) фонд накопления в СССР рос более высокими темпами, чем фонд потребления, что было вызвано ускоренным темпом социалистической индустриализации, послевоенным восстановлением народного хозяйства и структурными изменениями в экономике. В восьмой пятилетке существенно сблизились темпы роста накопления и потребления. Исходя из решений XXIV съезда КПСС, в девятой пя-



тилетке и в ближайшей перспективе темпы роста фонда потребления опережают темп роста фонда накопления. Национальный доход в десятой пятилетке увеличится на 24—28%, фонд накопления — на 17—23, а фонд потребления — на 27—29%.

В условиях научно-технической революции прогрессивным вариантом развития социалистической экономики является обеспечение роста национального дохода путем повышения эффективности накопления.

В развитом социалистическом обществе возможности повышения благосостояния народа намного расширились.

Особенность нынешнего периода, отмечает XXIV съезд КПСС, состоит в том, что происходит все более глубокий поворот экономики к решению многообразных задач, связанных с повышением благосостояния народа. Рост материального и культурного уровня советских людей поставлен в центр практической политики партии.

Для восьмой и девятой пятилеток характерно значительное увеличение ресурсов, направляемых государством на повышение народного благосостояния. Если фонд потребления в национальном доходе в 1970 г. составил 74%, в 1975 г. он достиг 75%. В Грузинской ССР, соответственно, — 74 и 76%.

На данном этапе коммунистического строительства благосостояние нашего народа возрастает прежде всего в результате увеличения заработной платы рабочих и служащих и доходов колхозников по мере роста производительности труда и повышения квалификации работников.

В развитом социалистическом обществе все большее значение в удовлетворении потребностей трудящихся приобретают общественные фонды потребления, которые за последние десять лет увеличились более чем в 2 раза. Если в общих доходах рабочих и служащих поступления из этих фондов в среднем превышают 30%, в доходах колхозников они составляют только 18%. Исходя из этого необходимо дальнейшее совершенствование распределения фондов общественного потребления.

Таким образом, развитое социалистическое общество порождает новое соотношение накопления и потребления, накопление приобретает новые особенности, а возможности потребления общества намного расширяются.

L. KHARAZI

THE DIRECTIVES OF THE XXIV CONGRESS OF THE CPSU AND SOME QUESTIONS OF ACCUMULATION AND CONSUMPTION IN A DEVELOPED SOCIALIST SOCIETY

Summary

The XXIV Congress of the CPSU had made a great contribution to the development of the Marxist-Leninist theory of the wide socialist reproduction, and, in particular, to the question of the correlation of accumulation and consumption.

The correlation of the rates of growth of accumulation and consumption depends on a whole complex of social-economic conditions, in particular, on the level of the development of productive forces of the country, on the effectiveness of new technology and productive funds,

on the level of the use of labour and natural resources, on the quality of reserves, on the international position of the country and so on.

During all the stages of socialist construction (with the exception of the 4th five-year period) the fund of accumulation in the USSR had been growing at a higher rate than the fund of consumption, this having been caused by accelerated socialist industrialization, by the post-war reconstruction of the national economy and the structural changes of the economy.

In the 8th five-year period the rates of growth of consumption and accumulation drew considerably closer.

According to the directives of the XXIV Congress of the CPSU in the 9th five-year period and in the nearest future the rate of growth of consumption funds leaves behind the rates of growth of accumulation funds. In the 10th five-year period the national income will grow by 24—28 per cent, the fund of accumulation by 17—23 per cent, and the fund of consumption by 27—29.

In conditions of a scientific and technical revolution growth of the national income by increasing the effectiveness of accumulation is a more progressive variant of developing the socialist economy.

In a developed socialist society the possibilities of raising the people's well-being have considerably widened.

„შრომის მწარმოებლური ძალის“ არსის საკითხისათვის*

ვალერიან ჯიბლაძე

კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, ისე როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლები, ფართოდ მიმართავენ ტერმინს „შრომის მწარმოებლური ძალის“ გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერმინს ორ ასეულზე მეტი წლის ისტორია აქვს, ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ არა გვაქვს მისი არსის სრული გაგება, ზუსტად არ არის განსაზღვრული მისი კავშირითიერთობა შრომის მწარმოებლურობასთან.

ამ სტატიაში გვსურს გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება ამ ტერმინის შესახებ.


უპირველეს ყოვლისა შევეხოთ ტერმინების „შრომის მწარმოებლური ძალისა“ და „შრომის მწარმოებლურობის“ ურთიერთკავშირის საკითხს. აღვნიშნავთ, რომ ამ ორი ტერმინის არსის, მსგავსებისა თუ განსხვავების საკითხი ხუთი ათეული წელია საბჭოთა ეკონომისტების კამათისა და მსჯელობის საგანია.

აკად. ს. გ. სტრუმილინი ჯერ კიდევ 1925 წელს ასკვნიდა, რომ შრომის მწარმოებლური ძალა და შრომის მწარმოებლურობა არ არის იდენტური [17 (გვ. 422—423)].

30-იან წლებში ჩატარდა დისკუსია ამ საკითხებზე. დისკუსიაზე გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ შრომის მწარმოებლური ძალა და შრომის მწარმოებლურობა იდენტური არიან, თითქოს კ. მარქსი მათ ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა. ამის შემდეგ როგორც პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოებში, ასევე საბჭოთა ეკონომისტების რიგ ნაშრომში ეს ორი ტერმინი გაიგივებულ იქნა ერთმანეთთან და იხმარებოდა ერთი შინაარსით, როგორც შრომის მწარმოებლურობა.

ჩვენ არ შევუდგებით იმ ნაშრომების ჩამოთვლას, სადაც ეს კატეგორიები გაიგივებულია ერთმანეთთან, რადგან ისინი ძალზე ბევრია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის რედაქციაც იზიარებდა ამ შეხედულებას. თხზულებათა 23-ე და 24-ე ტომების საგანთა საძიებელში ტერმინი „შრომის მწარმოებლური ძალა“ სრულებით არ არის და მიითებულა ტერმინზე „შრომის მწარმოებლურობა“ [7 (გვ. 894)], [8 (გვ. 637)], ხოლო 25-ე ტომის საგანთა საძიებელში ტერმინი „შრომის მწარმოებლური ძალა“ მინიშნებულია ტერმინზე „შრომის მწარმოებლურობა“ [9 (გვ. 540)].

* განხილვის წესით.



უკანასკნელ წლებში ამ შეხედულებას არ ეთანხმება ეკონომისტთა მწირობისინი უარყოფენ რა ამ ორი კატეგორიის იდენტურობას, „შრომის მწარმოებლური ძალას“ განსაზღვრავენ როგორც შრომის მწარმოებლურობას პოტენციაში, მის შესაძლებლობას. ამასთან აღნიშნავენ, რომ „შრომის მწარმოებლურობა“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „შრომის მწარმოებლური ძალა“ და მოიცავს მას [14 (გვ. 126—127), 15 (გვ. 9)].

ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია ეს მოსაზრებანი.

უპირველეს ყოვლისა შევეხოთ ამ ორი ეკონომიური კატეგორიის იდენტურობის საკითხს.


კ. მარქსი თავის ნაშრომებში, განსაკუთრებით „კაპიტალში“, ფართოდ იყენებს როგორც ტერმინს „შრომის მწარმოებლური ძალა“, ისე ტერმინს „შრომის მწარმოებლურობა“. ამასთან, კ. მარქსი ყოველ ეკონომიურ მოვლენასა თუ ფაქტს თავის შესაბამის ტერმინს უძებნიდა ან უზამებდა და არ უშვებდა, რომ ერთი და იგივე გამოთქმა ან ტერმინი რამდენიმე შინაარსით ეხმარა, ანდა პირიქით*. ტერმინების იდენტურობისა და აღრევისათვის ის მკაცრად აკრიტიკებდა თავის იდეურ მოწინააღმდეგეებს. ამის მკაფიო მაგალითია კ. მარქსის მიერ ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტის სამუელ ბეილის კრიტიკა**. კ. მარქსი სხვებს მკაცრად აკრიტიკებდა ერთი და იმავე აზრის ორი სხვადასხვა ტერმინით გამოთქმისათვის, ანდა სხვადასხვა აზრის ერთი ტერმინით გამოთქმისათვის და თვით რა თქმა უნდა არ დაუშვებდა და არც დაუშვია ასეთი რამ.

ეკონომიური კატეგორიები „შრომის მწარმოებლური ძალა“ და „შრომის მწარმოებლურობა“ რომ იდენტური არ არიან, საკმაოდ მკაფიოდ დაადასტურა პ. გორელიძე თავის სტატიაში „შრომის მწარმოებლური ძალა და მისი თანაფარდობა შრომის მწარმოებლურობასთან“ [20 (გვ. 37)]. ის აღნიშნავს: თუ ამ ტერმინებს კ. მარქსი იდენტურად თვლიდა, მაშინ მათი ურთიერთშეცვლა ტექსტში თავისუფლად უნდა შეიძლებოდეს. ეს ასე არ არის და ამის დასადასტურებლად მოაქვს რიგი ციტატებისა, სადაც ამ ტერმინების ურთიერთშეცვლა არა მარტო ამახინჯებს აზრს, არამედ, მისი გამოთქმით, „ბადებს მხოლოდ აბღაუბდას“.

ეკონომიური კატეგორიები — „შრომის მწარმოებლური ძალა“ და „შრომის მწარმოებლურობა“ რომ იდენტური არ არიან, შეიძლება დამტკიცდეს არა მარტო იმით, რომ მათი ურთიერთშეცვლა მიზანშეწონილი არაა, არამედ, და რაც

* მეცნიერული ტერმინების ზუსტად გამოთქმა-გამოყენების საკითხები ფართოდ და კარგადაა განხილული პროფ. პ. გუგუშვილის წიგნში „ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის“, სადაც, ავტორი მოითხოვს ქართულ ეკონომიურ ლიტერატურაში მეცნიერული ტერმინოლოგიის უნიფიკაციის გატარებას, რადგან „ტერმინი მეცნიერების მოცემულ დარგში ყოველთვის უნდა ნიშნავდეს ერთი გარკვეული, მტკიცედ განსაზღვრული აზრის, ცნების გამომხატველ სიტყვას“ [13 (გვ. 65)].

** კ. მარქსი იხილავს რა ერთი აზრის ორი სხვადასხვა გამოთქმით აღნიშვნას, ასკვნია „თუ ორივე გამოთქმა უნდა აღნიშნოს ერთი და იგივე, მაშინ ერთი და იგივეს ორი განსხვავებული გამოთქმით აღნიშვნა, რომელთაც ერთმანეთს შორის საერთო არაფერი არა აქვს, ხელს უწყობს მხოლოდ ბუნდოვანების წარმოშობას“ [10 (გვ. 143)].



მთავრია, იმით, რომ თვით კ. მარქსი ანსხვავებდა მათ ერთიმეორისაგან, განსაკუთრებით ტანთ შესაბამის ციტატებს.

კ. მარქსი „კაპიტალის“ მეორე ტომში წერს: „ჩვენ უწინ დავინახეთ, რომ შრომის ნაყოფიერების განვითარებასთან ერთად, მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად, — წესისა, რომელიც ყველა წინანდელი წარმოების წესზე უფრო ავითარებს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურ ძალას, — მუდამ იზრდება მასა წარმოების საშუალებათა, რომელნიც შრომის საშუალებათა სახით ერთხელ და სამუდამოდ არიან ჩაბმული წარმოების პროცესში და მუდამ განმეორებით მოქმედებენ მასში მეტნაკლები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (შენობები, მანქანები და სხვ.); ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ წარმოების ამ საშუალებათა ზრდა შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალის განვითარების წინამძღვარიცაა და შედეგიც“ [2 (გვ. 173—174)].

კ. მარქსის ეს განსაზღვრა წარმოადგენს პასუხს აგრეთვე იმ ეკონომისტებისადმი, რომლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ შრომის მწარმოებლური ძალა წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობას პოტენციაში. კ. მარქსი აქ გარკვევით განსაზღვრავს, რომ შრომის მწარმოებლურობის ამაღლება იწვევს წარმოების საშუალებების მატებას, რაც განაპირობებს შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებას, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო ამრავლებს წარმოების ამ საშუალებებს.

კ. მარქსი შრომის მწარმოებლურ ძალას არა მარტო განასხვავებს შრომის მწარმოებლურობისაგან, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში უპირისპირებს კიდევ ერთმანეთს. სახელდობრ, კ. მარქსი, იხილავს რა მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონს და ამ კანონის შინაგან წინააღმდეგობებს, აღნიშნავს: „საქონლის ღირებულება განისაზღვრება მთელი წარსული და ცოცხალი სამუშაო დროით, რომელიც ამ საქონელში შედის. შრომის ნაყოფიერების გადიდება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი შრომის წილი მცირდება და წარსული შრომის წილი დიდდება, მაგრამ დიდდება ისე, რომ საქონელში მოქცეული შრომის მთელი ჯამი კლებულობს, მაშასადამე, ისე, რომ ცოცხალი შრომა უფრო მეტად კლებულობს, ვიდრე წარსული შრომა მატულობს. საქონლის ღირებულებაში განხორციელებული წარსული შრომა — კაპიტალის მუდმივი ნაწილი — შედგება ნაწილობრივ ძირითადი კაპიტალის გაცვეთისაგან, ნაწილობრივაც საქონელში მთლიანად შესული საბრუნავი მუდმივი კაპიტალისაგან, — ნედლეულისა და დამხმარე მასალისაგან. ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ნედლეულისა და დამხმარე მასალიდან გამომდინარეობს, უნდა შემცირდეს შრომის ნაყოფიერების განვითარებასთან ერთად, იმიტომ რომ ეს ნაყოფიერება ამ მასალების მიმართ სწორედ იმაში მყდნობდება, რომ მათი ღირებულება მცირდება. პირიქით, შრომის მზარდი მწარმოებლური ძალის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ მუდმივი კაპიტალის ძირითადი ნაწილი ძლიერ დიდდება და მასთან ერთად დიდდება მის ღირებულების ის ნაწილიც, რომელიც გაცვეთის გზით საქონელზე გადაიტანება იმისათვის, რომ წარმოების ახალმა მეთოდმა გაამართლოს თავისი ვარგისობა ნაყოფიერების ნამდვილი გადიდებათ, საჭიროა ამ მეთოდების მეოხებით ცალკეულ საქონელზე ნაკლები დამატებითი ღირებულების ნაწილი იქნეს გადატანილი ძირითადი კაპიტალის გაცვეთის გამო, ვიდრე ღირებულების ის ნაწილი, რომელიც გამოაკლდება, დაიზოგება ცოცხალი შრომის შემცირების გამო; ერთი სიტყვით,



ამ მეთოდმა უნდა შეამციროს საქონლის ღირებულება. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ მეთოდმა ასევე უნდა იმოქმედოს მაშინაც კი, თუ, როგორც ეს ცალკეულ შემთხვევებში ხდება, საქონლის ღირებულების წარმოქმნაში, გარდა ძირითადი კაპიტალის დამატებითი გაცვეთილი ნაწილისა, შედის ღირებულების ის დამატებითი ნაწილიც, რომელიც რაოდენობრივად გადიდებულ ან უფრო ძვირ ნედლეულსა და დამხმარე მასალას შეესაბამება. ღირებულების ყველა ეს წანამატი უნდა უზვად გაწონასწორდეს ღირებულების იმ შემცირებით, რომელიც ცოცხალი შრომის შემცირებიდან წარმოდგება“ [3 (გვ. 330—331)].

ამრიგად, კ. მარქსის განსაზღვრით, შრომის მწარმოებლურობის გადიდების შედეგად მცირდება საქონელში მოქცეული ცოცხალი შრომისა და შრომის საგნებში განითვებული შრომის წილი, მათი ღირებულების შემცირებასთან ერთად, ხოლო შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების დროს კი, ამასთან, მხედველობაშია მისაღები საქონელში გადატანილი შრომის საშუალებების ღირებულება, ასევე ის დამატებითი ღირებულება, რომელიც რაოდენობრივად გადიდებულ ანდა უფრო ძვირ ნედლეულსა და დამხმარე მასალას შეესაბამება.

შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებაში კ. მარქსი გულისხმობს, ჯერ ერთი შრომის საშუალებების გამრავლებას, რაც წარმოების განვითარებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შედეგია, მეორე — შრომის საგნებისა ანუ საბრუნავი მუდმივი კაპიტალის — ნედლეულის, დამხმარე მასალისა და სხვ. მოცულობის ზრდას და მესამე — წარმოების განვითარების შედეგად წარმოების საშუალებების უკეთ გამოყენებისა და ცოცხალი შრომის ეფექტურობის იმდენად გადიდებას, რომ ცოცხალი შრომის შემცირებამ უნდა გადაფაროს წარმოების საშუალებების ზრდის შედეგად მიღებული „ყველა წანამატი“. აქედან დასკვნა: ეკონომიური კატეგორია „შრომის მწარმოებლური ძალა“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ეკონომიური კატეგორია „შრომის მწარმოებლურობა“. ის მოიცავს ცოცხალი შრომის მწარმოებლურობასთან ერთად განითვებული შრომის, უპირატესად, შრომის საშუალებების ეფექტურობას, ანუ „შრომის მწარმოებლური ძალა“ მოიცავს და გულისხმობს წარმოების ყველა ელემენტის, ე. ი. მთლიანად წარმოების ეკონომიურ ეფექტურობას.

მეორე საკითხი, რომელსაც შევხებით, არის ეკონომიური კატეგორიები „შრომის მწარმოებლური ძალისა“ და „წარმოების ეკონომიური ეფექტურობის“ ურთიერთობის საკითხი.

საბჭოთა ეკონომისტები უკვე აღიარებენ, რომ წარმოების ეკონომიური ეფექტურობა არსებობს არა მარტო სოციალისტურ საზოგადოებაში, არამედ კაპიტალისტური წყობილების დროსაც, თუმცა მათი სოციალური შინაარსი განსხვავებულია. ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი: კ. მარქსმა, რომელმაც შეისწავლა კაპიტალიზმის აღმოცენების, განვითარებისა და დაღუპვის კანონები, რომელმაც მოგვცა კაპიტალისტური წყობილების ღრმა ეკონომიური ანალიზი, შეეხო თუ არა თავის ნაშრომებში წარმოების ეკონომიური ეფექტურობის საკითხებს?

ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაციეს, მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კ. მარქსი თავის არც ერთ ნაშრომში გამოკვეთილად არ ხმარობს ტერმინს „წარმოების ეკონომიური ეფექტურობა“.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ისე როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლები, ფართოდ იყენებდნენ ტერმინს „შრომის მწარმოებლური ძალა“. ჩვენნი აზრით, სწორედ ეს ტერმინი წარმოადგენს ტერმინის „წარმოების ეკონომიური ეფექტურობის“ ადეკვატურს, როგორც ფორმით, ისე, რაც მთავარია, თავისი შინაარსით.

უბირველეს ყოვლისა, განვიხილოთ ამ ტერმინების ადეკვატურობა ფორმის მიხედვით.

კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ საფუძველი ჩაუყარა ღირებულების შრომით თეორიას. შრომა მიჩნეულ იქნა ღირებულების საფუძველად და ამიტომაც ტერმინს „შრომის“ იყენებდნენ არა მარტო როგორც ცოცხალი შრომის, არამედ მასთან ერთად, როგორც წარმოების გამოშნატველს.

ადამ სმიტი „საზოგადოებრივი წარმოების“ ნაცვლად იყენებდა ტერმინს „შრომას“; ის ხშირად ხმარობდა გამოთქმას „შრომის დარგები“. მაგ., მას აქვს გამოთქმა „შრომის ყველა ის დარგი, რომელსაც ადგილი აქვს მიწათმოქმედებაში“, „სასოფლო შრომის ბევრი დაბალი დარგი“ [16 (გვ. 9, 149)] და სხვ.

კ. მარქსი ადამ სმიტის დებულებათა გაკრიტიკებისას იყენებდა მის ტერმინებს; ნაშრომის „ზედმეტი ღირებულების თეორიები“, ერთ-ერთ ქვეთავში „სმიტის მიერ ზედმეტი ღირებულების გაგების გავრცელება საზოგადოებრივი შრომის ყველა სფეროზე“ [5 (გვ. 67)], ხმარობს ტერმინს „შრომის დარგები“, თუმცა თავისი დებულებების წამოყენებისას იქვე ხმარობს ზუსტ ტერმინს „წარმოების დარგები“ [5 (გვ. 210—211)].

შემდეგ, ტერმინი „ეფექტურობა“ წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „effectivus“ და ნიშნავს „მწარმოებლურს“. გამომდინარე აქედან, ტერმინი „შრომის მწარმოებლური ძალა“, შეიძლება გამოითქვას როგორც „წარმოების ეფექტური ძალა“, ანდა, რაც იგივეა, „წარმოების ეფექტურობა“.

როგორც ჩანს, ტერმინს „შრომის მწარმოებლურ ძალას“ ფართოდ იყენებდა არა მარტო კლასიკური პოლიტიკური ეკონომია, არამედ ამასთან, მას ფართოდ ჰქონდა გადგმული ფესვები, ამიტომაც კ. მარქსმა გამოიყენა ეს ტერმინი და აღარ მოძებნა მისი ზუსტი შესატყვისი.

„წარმოების ეფექტურობა“ შეიძლება განხილულ იქნას ორი თვალსაზრისით—ტექნიკური და ეკონომიური მხრივ. თუ საკითხი ეხება წარმოების ეკონომიურ მხარეს, მაშინ გამოიყენება ტერმინი „წარმოების ეკონომიური ეფექტურობა“. სწორედ ეს ტერმინი იხმარება ამჟამად საბჭოთა ეკონომიურ ლიტერატურაში.

ეს მონაცემები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ტერმინები „შრომის მწარმოებლური ძალა“ და „წარმოების ეკონომიური ეფექტურობა“ თავისი ფორმის მიხედვით ადეკვატურნი არიან.

განვიხილოთ ეს ორი ტერმინი შინაარსობრივი თვალსაზრისით.

ადამ სმიტის აზრით, შრომის დანაწილება განაპირობებს შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებას. ის აღნიშნავს, რომ „უდიდესი პროგრესი შრომის პროდუქტიული (მწარმოებლური,—ვ. ჯ.) ძალის განვითარებაში და მეტი წილი დახელოვნების, ხელმარჯვეობის და საზრიანობისა, რომლითაც შრომა წარიმართება ან სრულდება, როგორც ეტყობა, შრომის დანაწილების შედეგი იყო“ [16 (გვ. 7)]. ადამ სმიტის განსაზღვრით, ძირითადი კაპიტალი შედგება მანქანე-



ბისა და სამუშაო იარაღებისაგან, წარმოებრივი შენობა-ნაგებობებისაგან, მწიფის გაუმჯობესებისაგან და წარმოების მუშაკთა დახელოვნებისაგან, რადგან ეს უკანასკნელი, მისი აზრით, წარმოადგენს პიროვნების ქონების ნაწილს, რომელიც განსაზღვრულ ხარჯებს მოითხოვს. „ძირითადი კაპიტალის დანიშნულებას შეადგენს — განსაზღვრავს ადამ სმიტი, — შრომის პროდუქტიული ძალის გადიდება, ანუ ის, რომ მუშების იმავე რაოდენობას შესაძლებლობა მისცეს უფრო დიდი რაოდენობის სამუშაოს შესრულებისა... მანუფაქტურებში მუშა-ხელის ერთი და იგივე რაოდენობა, საუკეთესო მანქანების დახმარებით, პროდუქტების ბევრად უფრო დიდ მასას დაამზადებს, ვიდრე ნაკლებ სრულყოფილი სამუშაო იარაღების დახმარებით“ [16, (გვ. 322—323)].

კ. მარქსსა და ფ. ენგელსს „შრომის მწარმოებლური ძალის“ განსაზღვრა გაგებულ აქვთ როგორც წარმოების ელემენტების, ანუ ცოცხალი და განივთებული შრომის ურთიერთქმედება და ეფექტურობა დროის განსაზღვრულ მომენტში, ე. ი. ის მოიცავს არა მარტო ცოცხალი შრომის ეფექტურობას წარმოების პროცესში, არამედ ამასთან, განივთებული შრომის ეფექტურობასაც და წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების ამოსავალ პუნქტს; მათი განსაზღვრით, „შრომის მწარმოებლური ძალა“ მუდამ იცვლება და ვითარდება საზოგადოებრივი წარმოების ცვლილებებისა და განვითარების შესაბამისად.

ფ. ენგელსი „კაპიტალის მესამე ტომის დამატებანში“ განიხილავს რა ღირებულების ცნებას, ასკვნის: „ღირებულების ცნება მის მატერიალურ განსაზღვრულობაში მარქსის მიხედვით სხვა არაფერია, თუ არა იმ ფაქტის ეკონომიური გამოხატულება, რომ შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალა სამეურნეო ყოფიერების საფუძველია; მეურნეობის კაპიტალისტური წყობილების პირობებში ეკონომიურ მოვლენებზე საბოლოო ანგარიშში ღირებულების კანონი ბატონობს და ამ სამეურნეო წყობილებისათვის ყველაზე ზოგადი აზრით ეს შემდეგს ნიშნავს: საქონლის ღირებულება არის სპეციფიკურად ისტორიული ფორმა, რომელშიც ხორციელდება განსაზღვრული მოქმედება შრომის მწარმოებლური ძალისა, რომელიც საბოლოო ანგარიშში ყველა ეკონომიურ მოვლენაზე ბატონობს“ [4 (გვ. 541), ხაზი ჩემია,—გვ. ჯ.].

კ. მარქსი ეკამათება რა ჰოდსკინს, აღნიშნავს: ყოველ მოცემულ მომენტში არსებული შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების საფეხური, როგორც ამოსავალი პუნქტი, არსებობს არა მარტო მუშის ჩვევებისა და უნარის სახით, არამედ მასთან ერთად იმ საგნობრივ ორგანოებში, რომელიც ამ შრომამ შექმნა თავისთვის და ყოველდღიურად განაახლებს. ეს არის სწორედ ნამდვილად prius შემქმნელი ამოსავალი პუნქტისა და ეს prius წარმოადგენს განვითარების განსაზღვრული მსვლელობის შედეგს [10 (გვ. 305)].

კ. მარქსი შრომის მწარმოებლურ ძალად გულისხმობს მთელ ერთობლივ ჯამს შრომისას, რომელიც საჭიროა საქონლის შესაქმნელად. აღნიშნული ჩანს მისი განსაზღვრიდან: „ცხადია, რომ თუ რომელიმე მანქანის წარმოება იმდენივე შრომა ჯდება, რამდენიც მისი გამოყენებით იზოგება, მაშინ მხოლოდ ამ შრომის გადანაცვლება ხდება, მაშასადამე, ერთობლივი ჯამი შრომისა, რომელიც საჭიროა რომელიმე საქონლის წარმოებისათვის, არ მცირდება, ანუ შრომის მწარმოებლური ძალა არ დიდდება“ [1 (გვ. 495), ხაზი ჩემია,—გვ. ჯ.]

კ. მარქსი, როდესაც იხილავდა ზედმეტი ღირებულების გადაქცევას კაპიტალად, აღნიშნავდა, რომ კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ შრომის პროცესისა და ღირებულების ზრდის პროცესის არადაამაკმაყოფილებელი ანალიზის გამო ვერ გაიგო კვლავწარმოების ის მნიშვნელოვანი მომენტი, რომ „ცოცხალ შრომას ბუნებითვე აქვს მინიჭებული უნარი—შეინახოს ძველი ღირებულება, როცა ახალ ღირებულებას ქმნის. ამიტომ თავის წარმოების საშუალებათა ქმედითუნარიანობის, მოცულობისა და ღირებულების ზრდასთან ერთად, ე. ი. დაგროვების ზრდასთან ერთად, რომელიც თან სდევს შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებას, შრომა სულ ახალი ფორმით ინახავს და ამარადისებს მუდამ მზარდ კაპიტალიზაციას“ [1, (გვ. 765)]. კ. მარქსი აქ ხაზს უსვამს შრომის ორადი ბუნების ხასიათს; მაგრამ ჩვენ ეს დებულება გვიანტერესებს იმ მხრივ, რომ შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებას თან სდევს მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის წარმოების საშუალებების ეფექტურობის ამაღლება, ამ წარმოების საშუალებების მოცულობისა და ღირებულების ზრდასთან ერთად, ხოლო მეორე მხრივ მას ახასიათებს მისი მეორე შემადგენელი ნაწილის — ცოცხალი შრომის ეფექტურობა, რომელიც არსებულ კაპიტალიზაციას არა მარტო გადმოიტანს ახალ პროდუქტში, არამედ მასთან ერთად უმატებს ახალ ღირებულებას.

შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების მეთოდი — აღნიშნავს კ. მარქსი, — იმაში მდგომარეობს, რომ გადიდებული შრომის მწარმოებლური ძალის მეოხებით მუშამ მეტის წარმოება შესძლოს, იმავე დროის განმავლობაში, იმავე შრომის დახარჯვით. იგივე სამუშაო დრო ერთობლივ პროდუქტს იმავე ღირებულებას მატებს, როგორც უწინ, მხოლოდ უცვლელად დარჩენილი საცვლელი ღირებულება ახლა უფრო მეტი სახმარი ღირებულებით გამოიხატება და ამიტომ, ცალკეული საქონლის ღირებულება დაბლა იწევს [1 (გვ. 519)].

კ. მარქსი, როდესაც ახდენდა საქონლის ღირებულების ანალიზს, აღნიშნავდა, რომ ყველა საქონელი, რომელიც ტოლი რაოდენობის შრომას შეიცავს, ღირებულების მხრივ ერთნაირი სიდიდისაა. საქონლის ღირებულების სიდიდე კი მუდმივი არაა, ის იცვლება ამ საქონლის წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროის ცვლილების შესაბამისად. სამუშაო დრო კი იცვლება შრომის მწარმოებლური ძალის ყოველ ცვლილებასთან ერთად. რაც უფრო მცირეა შრომის მწარმოებლური ძალა, მით უფრო მეტია ამა თუ იმ საქონლის დასამზადებლად საჭირო აუცილებელი სამუშაო დრო, მით უფრო მეტია მისი ღირებულება და, პირიქით, რაც უფრო მაღალია შრომის მწარმოებლური ძალა, მით უფრო ნაკლებია ამა თუ იმ ნაწარმის დასამზადებლად საჭირო აუცილებელი სამუშაო დრო, მაშინ მით უფრო ნაკლები შრომის მასაა მასში გაკრისტალებული, მით უფრო ნაკლებია მისი ღირებულება. აქედან გამომდინარე, კ. მარქსი ასკვნის: „ამა თუ იმ საქონლის ღირებულების სიდიდე იცვლება პირდაპირი პროპორციით მასში განხორციელებული შრომის რაოდენობის მიმართ და შებრუნებული პროპორციით ამ შრომის მწარმოებლური ძალის მიმართ“ [1, (გვ. 56)]. ის განმარტავს: შრომის მწარმოებლურ ძალად ჩვენ გვესმის დიდი ეფექტურობა, რომლითაც გამოიყენება მოცემული შრომის რაოდენობა და არა რაიმე ცვლილება გამოყენებულ შრომის რაოდენობაში [10 (გვ. 451)].

ახლა განვიხილოთ სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობა.



სოციალისტური წარმოების მიზანია მთელი საზოგადოების მუდმივად უწყვეტი და მატერიალური და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით. სოციალისტური წარმოების მიზანია არა მოგება, არამედ სოციალისტური საზოგადოების ადამიანი და მისი მოთხოვნილებები, მისი მატერიალური და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. ამ მიზნის მიღწევის საშუალებაა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა [12 (გვ. 198—200)].

სოციალისტური წარმოების ზრდა-განვითარება და სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე შეიძლება განხორციელდეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა რეალიზაციის საფუძველზე, რადგან: მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სახავს წარმოების მეთოდების რადიკალური გარდაქმნის, პრინციპულად ახალი, მაღალმწარმოებლური შრომის იარაღების, პროგრესული მასალების შექმნის შესაძლებლობებს, ცხოვრებისაგან მოუწოდებს ახალ დარგებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი წარმოებრივი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების უწყინ არნახულ შესაძლებლობებს [11 (გვ. 139—140)].

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანის შესრულებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ამაღლებას. სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ამაღლება წარმოადგენს მთელი საბჭოთა ხალხის სამეურნეო საბრძოლო ამოცანას, მისი მოთხოვნები გამომდინარეობს და საესებით შეესაბამება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნებს.


სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ამაღლება გული-სხმობს ეკონომიური ეფექტურობის ამაღლებას მატერიალური წარმოების დარგებში, რადგან ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავალი წარმოების ამ სფეროში იქმნება.

სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის პრობლემა უკვე ათი წელია საბჭოთა ეკონომისტებისა და ფილოსოფოსების გაცხოველებული მსჯელობის საგანია, მაგრამ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის მიღწეული ერთიანობა მისი არსის, მაჩვენებლისა. თუ მაჩვენებელთა სისტემის განსაზღვრისა, ასევე, განგარიშების საქმეში. სამაგიეროდ ძალზე ბევრია ამ პრობლემაზე წიგნები, სტატიები, მოსაზრებანი და სხვ., სადაც, მრავალადაა წამოყენებული ამ კატეგორიის ნიშნები, მიმართულებანი, თვისებები, ამოცანები და სხვ.

ცნობილია, თუ რაიმე მოვლენის არსი ზუსტად არ განისაზღვრება, მაშინ მისი განგარიშება და კავშირუბრთობა სხვა კატეგორიებთან ზუსტად ვერ იქნება დადგენილი.

რით არის ეს გარემოება გამოწვეული?

საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად რთული მოვლენაა, სადაც მრავალი წარმოებითი ურთიერთობა, ეკონომიური თუ სხვა მოვლენა ურთიერთგადაჯაჭვულნი და ურთიერთდაკავშირებულნი არიან; ისინი ერთმანეთზე ზემოქმედებას ახდენენ და ურთიერთგანაპირობებენ. ასეთ პირობებში რომელიმე ცალკეული ეკონომიური მოვლენის შესწავლა, შეიძლება ითქვას, შეუძლებელია, მარქსიზმ-ლენინიზმი გვა-




სწავლის, რომ განვსაზღვროთ რომელიმე ეკონომიური მოვლენა თუ კატეგორია და დავადგინოთ მისი არსი, საჭიროა მოვახდინოთ მისი აბსტრაქტირება, მისი განმარტება და განხილვა მხოლოდ იმ ძირითადი ფაქტორების ზემოქმედების პირობებში, რომელთაც განმსაზღვრელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა და როლი გააჩნიათ ამ ეკონომიური კატეგორიისა თუ მოვლენის მიმართ. ასე მაგალითად, შრომის მწარმოებლურობა მეტად რთული ეკონომიური კატეგორიაა, მასზე ზემოქმედებას ახდენს ბევრი მოვლენა, ეკონომიური კატეგორია და ფაქტორი, თითქმის იმდენივე, რამდენიც წარმოებაზე მთლიანად, ანდა წარმოების ეკონომიურ ეფექტურობაზე; მაგრამ, აბსტრაქტირების ძალით მოახდინეს შრომის მწარმოებლურობის გამოყოფა სხვადასხვა მოვლენისა თუ კატეგორიის ურთიერთმოქმედებისაგან და მისი არსი განსაზღვრეს მხოლოდ როგორც ორი ძირითადი ეკონომიური კატეგორიის — პროდუქციის საერთო მოცულობისა და მომუშავეთა რიცხოვნობის კავშირურთიერთობის შედეგი.

ამის ანალოგიურად, რომ განვსაზღვროთ სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის არსი, ის უნდა გამოვაცალკევოთ, მოვახდინოთ მისი აბსტრაქტირება და განვიხილოთ იმ ძირითადი ეკონომიური კატეგორიების კავშირურთიერთობის ბაზაზე, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ მასზე. ჩვენი აზრით, ასეთი კატეგორიებია ერთვნიული შემოსავალი და წარმოების ელემენტები—ძირითადი საწარმოო ფონდები და საბრუნავი საშუალებები. ეს უკანასკნელი კი მოიცავს შრომის საგნებსა და სამუშაო ძალას (შრომის ხელფასს) იმ მინიმალური რაოდენობით, რომელიც საჭიროა წარმოების პროცესის დაწყებისათვის.

საბჭოთა მეცნიერთა უმეტესი ნაწილი წარმოების ეკონომიური ეფექტურობის პრობლემის კვლევისას მთავარ ყურადღებას აქცევს წარმოების ეკონომიური ეფექტურობის კრიტერიუმის განსაზღვრის საკითხს, მისი რაოდენობრივი მზარის განსაზღვრის საკითხს.

წარმოების ეკონომიური ეფექტურობის კრიტერიუმის წინა პლანზე წამოწვევამის შედეგია, რომ ეკონომიური ეფექტურობის პრობლემის კვლევას უპირველესად ხელი მოჰკიდეს ტექნიკის დარგის, კონკრეტული ეკონომიკის, ეკონომიურ-მათემატიკური და სტატისტიკის ხაზით მომუშავე მეცნიერებმა. ეს მეცნიერები უპირატესად ცდილობენ განსაზღვრონ ეფექტურობის რაოდენობრივი მზარე და ამის მიღწევა კი სურთ განახორციელონ ეკონომიური ეფექტურობის კრიტერიუმის დადგენით. პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტებმა ეკონომიური ეფექტურობის პრობლემის კვლევას შედარებით გვიან მოკიდეს ხელი და ისიც კონკრეტული ეკონომიის კვლევის ასპექტში, ვიდრე საერთო მეთოდოლოგიურ ასპექტში. ამასთან აყენებდნენ საკითხს: ეკონომიური ეფექტურობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა თეორიულ გამოხატულებას წარმოადგენს თუ ეკონომიური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, იგი ეკონომიური კატეგორიაა თუ მართვის მეთოდი? [18 (გვ. 3)].

საბჭოთა ეკონომისტების ნაწილი კმაყოფილდება ეკონომიური ეფექტურობის იმ განმარტებით, რომ სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ამაღლება ნიშნავს შრომითი და მატერიალური დანახარჯების მინიმუმით მაქსიმალური შედეგების მიღებას. ჩვენი აზრით, ასეთი განმარტება არასრულია შემდეგი გარემოების გამო:



1. ეს განმარტება ეხება და გულისხმობს უშუალო შრომის პროცესში, რომელიც სამუშაო პერიოდში ხორციელდება და როდესაც ხდება შრომითი და მატერიალური რესურსების ხარჯვა, მათი წარმოებრივი მოხმარება. წარმოების ეკონომიური ეფექტურობა უფრო ფართო ცნებაა, ის მოიცავს წარმოების დროს, რომელიც, როგორც წესი, აღემატება უშუალო სამუშაო პერიოდს;

2. შრომის პროცესში, ანუ უშუალო სამუშაო პერიოდში წარმოების ყველა საშუალება არ მონაწილეობს, თუმცა ისინი წარმოების პროცესში იმყოფებიან. წარმოების ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება ნედლეულის, დამხმარე მასალის, სათბობისა და სხვ. მარაგი, დაუდგმელი მოწყობილობები, მზა პროდუქცია საწყობში და ა. შ.;

3. ეს განმარტება გვიჩვენებს წარმოების მომგებიანობას, უფრო ზუსტად სარგებლიანობას, ე. ი. გვიჩვენებს მოცემული წარმოების პირობებში თუ რა რაოდენობის შრომითი და მატერიალური რესურსები დაიხარჯა და ამის შედეგად თუ რა მოცულობის პროდუქცია მივიღეთ;

4. ასეთი განმარტება მეტად ფართოდ არის გავრცელებული ბურჟუაზიულ ეკონომისტებს შორის, როდესაც იხილავენ არა ცალკეული საწარმოს, არამედ კაპიტალისტური საზოგადოებრივი წარმოების მწარმოებლურობას. ამ განსაზღვრას ისინი უკავშირებენ საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ზრდის პრობლემებს.

სოციალისტური წარმოების ეკონომიურმა ეფექტურობამ უნდა გვიჩვენოს არა ის, თუ შრომითი და მატერიალური დანახარჯებით რა შედეგი მივიღეთ, არამედ, უნდა გვიჩვენოს თუ როგორი მწარმოებლურობით იქნა გამოყენებული წარმოების პროცესის დასაწყისს ჩართული ყველა ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორი, ანუ უნდა გვიჩვენოს, თუ რა მატერიალური და შრომითი რესურსები იქნა გაღებული წარმოების პროცესის დასაწყისს, როგორი მწარმოებლურობით ამოქმედდნენ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, როგორ მოხდა მათი წარებრუნვა წარმოების პროცესში და, საბოლოოდ, თუ რა შედეგი მივიღეთ.

სოციალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წარმოების, ასევე, ცალკეული დარგისა თუ საწარმოს განკარგულებაში არსებული წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის შეერთების საერთო მსვლელობა, წარმოების ამ ელემენტების წარებრუნვა ძირითადად გამიზნულია პროდუქტის შექმნის თვალსაზრისით. ამიტომ, სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის არსის განსაზღვრისას ჩვენ გვინტერესებს წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის ის მდგომარეობა, როდესაც ისინი მწარმოებლურ ფორმაში იმყოფებიან. ამ დროს ხდება მათი მწარმოებლური მოხმარება, ხოლო შრომის პროცესის დასასრულს მიიღება ახალი სახეობის მატერიალური დოვლათი, რომლის ღირებულება აღემატება წარმოების პროცესში ჩართული წარმოების ელემენტების ღირებულებას.

ამ მოსაზრების საფუძველზე, ჩვენი აზრით, სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის არსი შეიძლება ჩამოვყალიბოთ ასე: სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობა არის წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალის ერთობლივი მწარმო-

ებლურობა დროის განსაზღვრულ პერიოდში, ბუნებრივად
რობების მხედველობაში მიღებით [19 (გვ. 18)].

ამ განსაზღვრაში წარმოების საშუალებები გამოხატავს საზოგადო-
ებრივი წარმოების განვითარების მოცემულ ეტაპზე წარმოების პროცესში ავან-
სირებული წარმოების იარაღებისა და შრომის საგნების სრულყოფის მიღწეულ
დონეს და მათ ქმედუნარიანობას წლის განმავლობაში; წარმოების ამ საშუა-
ლებების განვითარების დონის შესაბამისად, სამუშაო ძალის მწარმოებლუ-
რობას და, ბოლოს, წარმოების ამ ელემენტების მწარმოებლურობასთან ერთად
მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არსებული ბუნებრივი პირობები, რად-
გან ყოველ წარმოების პროცესზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს გარემო,
ბუნება. ის აღიღებს ან ამცირებს წარმოების ელემენტების გამოყენების ხა-
რისს.

სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის შინაარსის ანალიზი,
ჩვენ აზრით, გვაძლევს შესაძლებლობას ვამტყიცოთ, რომ ის ანალოგიურია
შრომის მწარმოებლური ძალის შინაარსისა. ორივე ეს კატეგორია გულისხმობს
წარმოების პროცესში ავანსირებული წარმოების საშუალებებისა და სამუშაო
ძალის ერთობლივ მწარმოებლურობას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, ბუ-
ნებრივი პირობების მხედველობაში მიღებით და ორივე ეს კატეგორია გვიჩვენებს
წარმოების პროცესში ჩართული ცოცხალი და განივებული შრომის მი-
ზანშეწონილი მოქმედების ეფექტურობის ხარისხს მოცემული დროის განმავ-
ლობაში.

ამის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიური კატეგორიები „შრო-
მის მწარმოებლური ძალა“ და „წარმოების ეკონომიური ეფექტურობა“ თავისი
შინაარსით ადეკვატურნი არიან.

შრომის მწარმოებლური ძალისა და წარმოების ეკონომიური ეფექტურობის
არსი ჩვენ განსაზღვრეთ იმ ძირითადი ეკონომიური კატეგორიების კავშირურთი-
ერთობის ბაზაზე, რომელთაც ვადამწყვეტი გავლენა აქვთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს,
რომ სხვა ეკონომიური კატეგორიები ანდა ფაქტორები არ ახდენდნენ მათზე ზე-
მოქმედებას. პირიქით, ასეთი ფაქტორები მეტად ბევრია. წარმოების ეკონომიური
ეფექტურობა, ისე როგორც „შრომის მწარმოებლური ძალა განსაზღვრება მრავალ-
ნაირი გარემოებით, სხვათა შორის მუშის საშუალო დახელოვნების ხარისხით,
მეცნიერების განვითარებისა და მისი ტექნოლოგიური გამოყენების დონით, წარ-
მოების პროცესის საზოგადოებრივი კომბინაციით, წარმოების საშუალებათა
მოცულობითა და ქმედუნარიანობით და ბუნებრივი პირობებით“ [1, (გვ. 55 —
56)]. მას შემდეგ, რაც დავადგინეთ შრომის მწარმოებლური ძალისა და წარ-
მოების ეკონომიური ეფექტურობის არსი, შეგვიძლია განვსაზღვროთ მისი რაოდენობრივი მხარე, ასევე მისი რაოდენობრივი კავშირურთიერთობა შრომის მწარ-
მოებლურობასთან.

კ. მარქსს შრომის მწარმოებლური ძალის რაოდენობრივი განსაზღვრა მოცე-
მული არა აქვს. შრომის მწარმოებლური ძალა იდენტურია წარმოების ეკონო-
მიური ეფექტურობისა, ამიტომ შეგვიძლია ვისარგებლოთ წარმოების ეკონომიური
ეფექტურობის განსაზღვრის ფორმულით, რომელიც ჩვენ მიერაა ჩამოყალიბე-
ბული. წარმოების ეკონომიური ეფექტურობა საზოგადოებრივი წარმოების მასშ-



ტაბით უდრის ეროვნული შემოსავლის შეფარდებას წარმოების ჯამთან წლის დასაწყისისათვის, რაც ფორმულით გამოისახება ასე:

$$\vartheta = \frac{H}{\Phi_{\text{ბირ}} + O_{\text{საშ}}}, \quad (1)$$

სადაც $\Phi_{\text{ბირ}}$ არის ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულება, $O_{\text{საშ}}$ — საბრუნავი საშუალებების ღირებულება.

საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა, გაანგარიშებული როგორც წარმოებული ეროვნული შემოსავალი მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ ერთ მომუშავეზე იქნება

$$\Pi = \frac{H}{P} \quad (2)$$

აქედან ეროვნული შემოსავალი

$$H = \Pi \cdot P. \quad (3)$$

(1) ფორმულიდან ეროვნული შემოსავალი იქნება

$$H = \vartheta (\Phi_{\text{ბირ}} + O_{\text{საშ}}) \quad (4)$$

მივიღეთ ეროვნული შემოსავლის ორი განსაზღვრა, რომელთა საფუძველზე შეიძლება შევადგინოთ განტოლება

$$\vartheta (\Phi_{\text{ბირ}} + O_{\text{საშ}}) = \Pi \cdot P \quad (5)$$

წარმოების პროცესში მონაწილე მომუშავეთა წარმოების ელემენტებით, ანუ ძირითადი წარმოებრივი ფონდებითა და საბრუნავი საშუალებებით აღჭურვა შეიძლება განისაზღვროს როგორც ამ ელემენტების ჯამის შეფარდება მომუშავეთა რიცხოვნობასთან, რაც ფორმულით გამოისახება ასე:

$$B = \frac{\Phi_{\text{ბირ}} + O_{\text{საშ}}}{P} \quad (6)$$

აქედან მომუშავეთა რიცხოვნობა

$$P = \frac{\Phi_{\text{ბირ}} + O_{\text{საშ}}}{B} \quad (7)$$

მომუშავეთა რიცხოვნობის ამ განსაზღვრას თუ ჩავსვამთ განტოლება (5)-ში, მივიღებთ

$$\vartheta (\Phi_{\text{ბირ}} + O_{\text{საშ}}) = \frac{\Phi_{\text{ბირ}} + O_{\text{საშ}}}{B} \cdot \Pi \quad (8)$$

განტოლებაში შეიძლება შეიკვეცოს $(\Phi_{\text{ბირ}} + O_{\text{საშ}})$ და მივიღებთ, რომ წარმოების ეკონომიური ეფექტურობა

$$\vartheta = \frac{\Pi}{B} \quad (9)$$

ხოლო შრომის მწარმოებლურობა $\Pi = \vartheta \cdot B$.

(10)

ამრიგად მივიღეთ, რომ წარმოების ეკონომიურ ეფექტურობას ანუ შრომის მწარმოებლურ ძალასა და შრომის მწარმოებლურობას შორის არსებობს უშუალო კავშირი და რაოდენობრივი ურთიერთდამოკიდებულება. წარმოების ეკონომიური ეფექტურობა ანუ შრომის მწარმოებლური ძალა პირდაპირ პროპორციულია შრომის მწარმოებლურობისა. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მომუშავეთა წარმოების ელემენტებით აღჭურვილობის დონეში.

ჩვენ მიერ რეკომენდებული ფორმულა არა მარტო მარტივია, არამედ მისი მეოხებით თავისუფლად შეიძლება განისაზღვროს სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობა, როგორც მთელი საზოგადოებრივი მასშტაბით, ასევე დარგისა თუ საწარმოსათვის. შესაბამის მონაცემებს იძლევა სტატისტიკური კრებულები და საწარმოთა ანგარიშგებები.


ჩვენ განსაზღვრეთ სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობა როგორც სსრ კავშირის, ისე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისათვის მთლიანად, ასევე, მისი ცალკეული დარგებისათვის. ამ სტატიაში მოვიტანთ მხოლოდ სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობის მონაცემებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისათვის მთლიანად და მისი ცალკეული დარგებისათვის (ცხრ. 1).

ცხრილი გვიჩვენებს, რომ სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მთლიანად, ასევე, მის ცალკეულ დარგებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული დამადასტურებელია იმისა, რომ სსრ კავშირის ეკონომიკა ძირითადად ექსტენსიური გზით ვითარდება. ყოველწლიური კაპიტალური დაბანდებების, ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების მატება, საწარმოო სიმძლავრეების ექსპლუატაციაში გადაცემა უფრო მაღალი ტემპებით იზრდება, ვიდრე მათი ქმედუნარიანობა და მათი ეკონომიური შედეგის—ეროვნული შემოსავლის ზრდა.

ცხრილი 1

სოციალისტური წარმოების ეკონომიური ეფექტურობა სსრ კავშირში

წლები	სახალხო მეურნეობა	მრეწველობა	მშენებლობა	სოფლის მეურნეობა	ტრანსპორტი, კავშირგაბ.
1966	0,449	0,514	0,945	0,556	0,174
1967	0,457	0,524	0,945	0,519	0,176
1968	0,448	0,529	0,840	0,502	0,178
1969	0,443	0,543	0,874	0,450	0,171
1970	0,458	0,530	0,856	0,520	0,172
საშუალოწლიური საშუალოწლიური ცვლილება %	0,447	0,528	0,892	0,509	0,174
1971	+0,50	+0,76	-2,5	-1,8	-0,3
1972	0,438	0,481	0,824	0,457	0,167
1972	0,416	0,494	0,751	0,406	0,167
საშუალოწლიური 1966—1972	0,446	0,520	0,831	0,501	0,173
საშუალოწლიური ცვლილება %	-0,50	-1,2	-2,7	-1,9	-0,8



მეგრამ აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ეს შემცირება არ ატარებს კავშირს კანონის“ ხასიათს. ის ღრობებითი ხასიათის მიზეზების შედეგია, რომელთა დასაძლევად თავისუფლად შეიძლება და ხორციელდება კიდევ. ამის დამადასტურებელია ეკონომიური ეფექტურობის საშუალოწლიური ზრდა მერვე ხუთწლეულში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მთლიანად და მრეწველობაში.

სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის,
მართვისა და დაგეგმვის კათედრა

ლიტერატურა

1. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954.
2. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957.
3. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1959.
4. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, თბ., 1959.
5. კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. I, თბ., 1967.
6. კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწ. II, თბ., 1968.
7. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 23, М., 1960.
8. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 24, М., 1961.
9. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 25, ч. II, М., 1962.
10. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 26, ч. III, М., 1964.
11. Материалы XXIV съезда КПСС, М., 1971.
12. ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1953.
13. ბ. გუგუშვილი, ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და მეცნიერული თარგმანისათვის თბ., 1957.
14. Вопросы методологии изучения и измерения производительности труда, М., 1956.
15. Н. С. Маслова, Вопросы производительности труда в промышленности СССР, М., 1963.
16. აღმ სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ. I, თბ., 1938.
17. С. Г. Струмилин, Избр. произведения, т. 3, М., 1964.
18. В. Я. Феодоритов, Проблема повышения экономической эффективности производства, Л., 1970.
19. ვ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციათა რენტაბელობის საკითხები თბ., 1968.
20. Журн. „Экономические науки“, № 2, 1969.

В. Н. ДЖИБЛАДЗЕ

კ ვოპროსუ ო სუცნოტი «პროიზვოდითელნი სილა ტრუდა»

Резюме

Экономическая категория „производительная сила труда“ не является идентичной экономической категории „производительность труда“. Производительность труда есть эффективность живого труда и труда, овеществленного в предметах труда, а производительная сила труда — понятие более широкое и охватывает эффективность как живого труда, так и труда, овеществленного в предметах труда и средствах труда, т. е.

производительная сила труда предусматривает эффективность производства.

Экономическая категория „производительная сила труда“ по своей форме и содержанию адекватна экономической категории „экономическая эффективность производства“. Обе эти экономические категории показывают степень эффективности целесообразной деятельности живого и овеществленного труда, включенного в процесс производства в течение определенного времени.

Между экономической эффективностью производства и производительностью труда существует непосредственная связь и количественная взаимозависимость. Экономическая эффективность производства, или производительная сила труда, прямо пропорциональна производительности труда.

W. DSCHIBLADSE


ZUR FRAGE DES WESENS DER PRODUKTIVKRAFT DER ARBEIT

Zusammenfassung

Die ökonomische Kategorie der Produktivkraft der Arbeit ist mit der ökonomischen Kategorie der Arbeitsproduktivität nicht identisch. Die Arbeitsproduktivität ist eine Effektivität der lebendigen Arbeit, die Produktivkraft der Arbeit aber ist ein weitgehender Begriff und umfaßt nicht nur die Effektivität der lebendigen Arbeit, sondern auch die Effektivität der vergegenständlichen Arbeit, d. h. die Produktivkraft der Arbeit sieht eine Effektivität der Produktion im ganzen vor.

Die ökonomische Kategorie — die Produktivkraft der Arbeit ist ihrer Form und ihrem Inhalt nach der ökonomischen Kategorie — die ökonomische Effektivität der Produktion adequat. Diese beiden ökonomischen, Kategorien zeigen den Effektivitätsgrad der zweckmäßigen Tätigkeit von der lebendigen und vergegenständlichen Arbeit, die während der bestimmten Zeit in einen Arbeitsprozeß eingeschlossen waren.

Zwischen der Effektivität der Produktion und der Produktivität der Arbeit besteht ein unmittelbarer Zusammenhang und eine gewisse quantitative Wechselbeziehung. Die ökonomische Effektivität der Produktion bzw. der Produktivkraft der Arbeit sind zu der Arbeitsproduktivität direkt proportionell.



ПРОБЛЕМЫ ПЛАНИРОВАНИЯ НАРОДНОГО ХОЗЯЙСТВА

ЦЕЛЬ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ПРОИЗВОДСТВА И НЕПОСРЕДСТВЕННО ОБЩЕСТВЕННЫЙ ХАРАКТЕР ПРОИЗВОДСТВА И ПОТРЕБЛЕНИЯ В РАЗВИТОМ СОЦИАЛИСТИЧЕСКОМ ОБЩЕСТВЕ

Д. Д. ЧХИКВАДЗЕ

Характерной особенностью развитого социалистического общества является высокий уровень развития производительных сил, более полное проявление экономических законов, зрелость социалистических производственных отношений, огромная экономическая мощь, позволяющая ставить и решать все более сложные социально-экономические задачи.

Как отмечалось в Отчетном докладе ЦК КПСС XXIV съезду партии, построение развитого социалистического общества «позволило нам приступить к практическому решению великой задачи, поставленной Программой партии, ее последними съездами, — к созданию материально-технической базы коммунизма» [1 (стр. 38)].

Успешное решение этой задачи во многом зависит от глубокого познания объективных экономических законов и разработки наиболее эффективных форм и методов их использования в практике планового управления социалистическим народным хозяйством.

К числу важнейших экономических законов социализма относится основной экономический закон, выражающий цель социалистического производства и специфическое средство ее достижения.

Цель социалистического производства, являющаяся одной из наиболее характерных черт социалистического производства, в условиях развитого социализма приобретает более зрелую форму своего выражения, проявляется более полно.

Изучение качественных и количественных изменений, происходящих в форме выражения цели производства в связи с построением в нашей стране развитого социалистического общества, представляет собой важную задачу политэкономического исследования.

Цель производства — сложная экономическая категория. Она характеризуется совокупностью различных черт, признаков, которые, взяты в единстве и взаимосвязи, составляют ее содержание.

В данной статье не ставится задача раскрытия всего богатого содержания этой категории. В ней предпринята попытка анализа одной из сторон, характерных черт, цели социалистического производства. Кон-



кретно здесь речь идет о форме выражения объекта цели и ее связи с непосредственно общественным характером производства и потребления в развитом социалистическом обществе¹.

Социальная сущность цели производства, обусловленная основным производственным отношением социализма, и ее реализация как единой, общей цели всего социалистического производства, благодаря планомерной форме его ведения, не исчерпывают всего богатого содержания этой сложной категории.

Планомерно организованный, коллективный труд в масштабе всего социалистического общества выступает как непосредственно общественный. Данная черта труда обуславливает специфический социалистический характер формы выражения объекта цели производства, формы богатства, служащего источником удовлетворения специфических потребностей социалистического общества.

Истории человечества известны две формы выражения материального богатства — богатство в форме потребительной стоимости и богатство в форме стоимости. Первую форму богатства классики марксизма-ленинизма считают естественной, абсолютной формой богатства, реальным богатством, а вторую — неестественной формой богатства, абстрактным богатством. Во всех общественных системах производства, кроме капиталистической, цель производства выступает в форме потребительной стоимости. Поэтому цель докапиталистических способов производства, несмотря на их эксплуататорскую сущность, К. Маркс считал более естественной по сравнению с целью капиталистического производства, заключающейся в увеличении абстрактного богатства — стоимости. «Древнее воззрение, — пишет К. Маркс, — согласно которому человек, как бы он ни был ограничен в национальном, религиозном, политическом отношении, все же выступает как цель производства, кажется куда возвышеннее по сравнению с современным миром, где производство выступает как цель человека, а богатство как цель производства» [2 (стр. 472)]. Следовательно, классики марксизма назначением производства в общечеловеческом плане считают то, для чего оно возникло вообще, — удовлетворение потребностей человека, которое обеспечивается путем производства потребительной стоимости. Что же касается превращения стоимости в цель производства — оно связано с товарным характером капиталистического производства, с товарной формой осуществления основного производственного отношения капитализма и всех других его отношений².

¹ Под объектом цели производства подразумевается специфическая общественная форма продукта (напр., прибавочная стоимость при капитализме, при социализме же в качестве таковой разными авторами выдвигаются различные части совокупного общественного продукта или весь общественный продукт), на создание которого направлено производство в зависимости от его социально-экономической природы.

² Нередко в трудах классиков потребительная стоимость, или стоимость называется в качестве цели производства. В таких случаях подразумевается не цель сама по себе (потребительная стоимость или стоимость не могут показать социальную сущность цели), а форма выражения результатов производства, материального содержания объекта цели. В нашей работе те же выражения «потребительная стоимость является целью производства», «стоимость является целью производства» будут употребляться в отмеченном смысле, а не в качестве всего содержания цели, имеющей множество признаков.

Уже возникновение товарного производства, задолго до капитализма, означает появление двойственного характера труда и его результата — товара. Последний представляет собой богатство в обеих формах — в формах стоимости и потребительной стоимости. Для простого товаропроизводителя основной, ведущей формой богатства является потребительная стоимость, его потребности могут быть удовлетворены только потребительной стоимостью. Однако в силу общественного разделения труда он вынужден производить стоимость. Непосредственной целью простого товарного производства выступает стоимость. Однако она является лишь промежуточной, мимолетной целью, имеющей подчиненный характер по отношению к его конечной цели — потребительной стоимости. Это видно из формулы товарного обращения Т-Д-Т, где конечным пунктом является потребительная стоимость товара, служащего потреблению товаропроизводителя. Но поскольку непосредственной целью товарного производства выступает стоимость, это создает видимость изменения, превращения естественной цели производства. Однако такое превращение нереально, ибо конечной целью все же остается потребительная стоимость. Такой вид превращения цели можно назвать товарным, или формальным превращением, ибо меняется форма проявления непосредственной цели, а действительным ее содержанием в конечном счете остается реальное богатство — потребительная стоимость.

В капиталистическом обществе целью производства является стоимость — абстрактное богатство. Данная форма богатства выступает в качестве формы выражения материального содержания как непосредственной, так и конечной цели. «...Капитал и самовозрастание его стоимости, — пишет К. Маркс, — являются исходным и конечным пунктом, мотивом и целью производства, производство есть только производство для капитала...» [3 (стр. 274)].

Это видно из всеобщей формулы капитала Д-Т-Д¹, в которой конечным пунктом кругооборота выступают деньги — стоимость. Стало быть, цель производства претерпевает действительное превращение, вырождение, ибо она становится неестественной. Такой вид превращения цели назовем капиталистическим, или реальным превращением. Такое превращение цели является результатом вырождения потребностей класса капиталистов. Ведущим, главным компонентом в системе потребностей капиталиста является потребность в стоимости, в ее увеличении³. Она отбрасывает на задний план все другие, естественные потребности капиталиста. Их удовлетворение, разумеется, тоже происходит, притом в довольно широких и неестественных размерах, но они все же выступают в подчиненной форме по отношению к потребности в накоплении абстрактного богатства — стоимости. Производство стоимости становится специфической и ведущей, основной функцией капиталистически организованного труда, а естественная функция труда — создание действительного богатства, потребительных стоимостей — выступает как подчиненный момент по отношению к первой.

³ «Объективное содержание этого обращения — возрастание стоимости — есть его (капиталиста — Д. Ч.) субъективная цель, — подчеркивает К. Маркс, — и поскольку растущее присвоение абстрактного богатства является единственным движущим мотивом его операций, постольку — и лишь постольку — он функционирует как капиталист, т. е. как олицетворенный, одаренный волей и сознанием капитал» [4 (стр. 164)].



Развитие производительных сил в капиталистическом обществе обуславливает увеличение разрыва в темпах роста двух форм богатства. Рост богатства в форме стоимости в силу действия всеобщего закона роста производительности труда отстает по темпам от роста объема богатства в форме потребительной стоимости, т. е. по мере развития производительных сил появляется все больше простора для естественной функции труда (производство потребительной стоимости) и все больше сокращаются возможности для развития его второй, неестественной функции (производство стоимости). Противоположный характер развития обеих функций труда и соответственно движения форм богатства при капитализме является фактором усиления эксплуатации рабочего класса и обострения всех противоречий данного способа производства. Неестественный характер формы выражения объекта цели капиталистического производства, наряду с ее другими признаками, еще раз подтверждает ограниченность данного строя, его исторически переходящий характер вопреки утверждениям его апологетов о «вечном» и «естественном» характере этой системы производства.

Установление социалистических производственных отношений ликвидирует не только реальное (капиталистическое) превращение цели производства, когда потребность в самовозрастании стоимости становится главным компонентом ее содержания, но и формальное (товарное) ее превращение, когда непосредственной (ближайшей) целью является стоимость, а конечной — потребительная стоимость⁴.

Социалистическое общество, как утверждают классики марксизма-ленинизма, представляет большую производственно-потребительскую кооперацию, единственной целью деятельности которой является удовлетворение потребностей своих членов, которое может осуществляться единственным способом — путем создания потребительных стоимостей. Если капитализм не может существовать без производства стоимости, составляющей субстанцию материального содержания его основной цели, то социалистическое производство вовсе не предполагает в качестве компонента системы потребностей потребность в стоимости.

Тем более неверной кажется трактовка некоторыми исследователями социалистического производства как единства меновой и общественно-распределительной формы [5 (стр. 124)]. Такая оценка социалистического производства преувеличивает значение товарно-денежных форм, играющих определенную роль на уровне предприятий, и приписывает товарный характер всему социалистическому производству. Видимость такой двойственности социалистического производства, как справедливо замечает Н. А. Чаголов, проистекает из того, что многие экономические процессы на народнохозяйственном уровне осуществляются в товарно-денежной форме, которая в самом деле является чисто внешней формой, не имеющей никакого товарного содержания [6 (стр. 203—204)].

Утверждение же о двойственном характере социалистического производства в вышеотмеченном смысле ставит стоимость наравне с потребительной стоимостью в качестве адекватной формы выражения материального содержания цели социалистического производства. По такой логике получается, что и социалистическому труду наравне с трудом товаропроизводителя внутренне присущи обе функции — создание по-

⁴ В данном случае имеется в виду не отдельное предприятие, а народное хозяйство в целом.

ребительной стоимости и создание стоимости, тогда как в действительности планомерно организованный труд социалистических производителей в масштабе всего общества имеет одну функцию, одно назначение — создание богатства в форме потребительной стоимости для обеспечения благосостояния и свободного всестороннего развития всех членов общества [7 (стр. 204)].

Чем объясняется такая смена формы выражения объекта цели производства? Для ответа на данный вопрос, как нам кажется, необходимо рассмотреть непосредственно общественный характер социалистического производства.

Социалистическое общество — это единая ассоциация производителей, единый организм, где отдельные производители являются органической составной частью целого, имеют единые интересы и их действие направлено на выполнение общей для них цели. Эта общность интересов и целей обуславливается характером господствующих в социалистическом обществе производственных отношений, предполагающих коллективное присвоение всем обществом результатов коллективного труда. В таком обществе не может быть другой цели, кроме удовлетворения потребностей общества. «Социалистическое общество, — пишет В. И. Ленин, — есть одно большое потребительское общество с планомерно организованным производством для потребления» [8 (стр. 363)].

Рассматривая социалистическое общество как единое органическое целое, нельзя забывать, что это не простое, а сложное целое, со многими структурными ступенями. Однако на определенной стадии анализа, для выяснения общих закономерностей, характеризующих развитие этого сложного организма, можно абстрагироваться от внутренней сложной структуры. Именно в таком виде рассматривается оно в приведенном положении В. И. Ленина, в котором подчеркиваются наиболее глубокие характерные черты социалистического общества, выражающие его внутреннюю сущность. Такими главными характерными чертами, по словам В. И. Ленина, являются; во-первых, цельность такого общественного организма, его единство; во-вторых, то, что это потребительское общество, иными словами, система «работает» на удовлетворение потребностей всего общества; в-третьих, регулирование этой системы производства осуществляется не автоматически, не стихийно, а планомерно.

По своей сущности социалистическое производство является непосредственно общественным, главенствующую роль в нем играет не закон стоимости или другие законы товарного производства, а планомерное регулирование всех звеньев и сфер общественного производства для удовлетворения потребностей всех членов общества. Именно такой характер социалистического производства, в отличие от товарно-капиталистического, обеспечивает совпадение непосредственной и конечной целей производства.

Общественный характер производства и труда, который в коммунистическом обществе достигает наивысшей ступени развития, имеет свою историю, свои специфические черты в разных общественно-экономических формациях. Он характеризуется уровнем развития производительных сил, масштабами осуществления, социально-экономической формой.

При первобытном строе общественный характер труда ограничивался рамками той или иной общины и основывался на узкой производственной базе. Обмен с другими общинами имел спорадический характер.

В рабовладельческом и феодальном обществе общественный труд также не достигает масштабов всего общества и ограничивается рам-



0419363040

ками рабовладельческих и феодальных хозяйств, хотя товарное производство начинает складываться и товарный обмен принимает более регулярный характер. Однако оно существует лишь в качестве уклада и не может охватить общество в целом.

Только при капитализме, особенно на стадии развития крупного машинного производства, общественное разделение труда достигает высшей ступени развития, и товарное производство становится всеохватывающим. Труд каждого товаропроизводителя является общественным, но не непосредственно, а скрыто, опосредованно. Непосредственно он выступает как частный труд, а его общественный характер проявляется только в товарном обмене, на рынке. Труд товаропроизводителя общественен, ибо он является определенным звеном в системе общественного разделения труда и производит для общества, но товаропроизводитель не знает настоящих общественных потребностей, не уверен, получит ли его продукт общественное признание.

При социализме труд с самого начала выступает в качестве непосредственно общественного. Его распределение заранее происходит на основе единого плана, каждые конкретные виды его заранее включаются в сферу совокупной производственной деятельности, исходя из целесообразности такого включения с точки зрения общества. Здесь связь между отдельными звеньями производства осуществляется планомерно. Что же касается товарно-денежных форм, то их роль различна в разных сферах общественного хозяйства, они обслуживают процесс планомерного производства, распределения, обмена и потребления материальных благ.

Чем же обуславливается непосредственно общественный характер производства и труда при социализме? На данный вопрос ответить не так просто, хотя порой в экономической литературе этот вопрос разрешается исходя из общественной собственности на средства производства. Очень часто можно услышать такое объяснение: «...труд приобретает совместный, непосредственно общественный в народнохозяйственном масштабе характер, прежде всего как труд, объединенный общественной собственностью, при ведущей роли ее общественной формы» [9 (стр. 100)].

Такое объяснение непосредственно общественного характера труда тем более удивительно, что авторы данной монографии — решительные противники понимания собственности как отдельного элемента в экономической структуре общества, и тем более, как основы всей системы производственных отношений. Такую же мысль проводит автор в своей другой работе⁵. Поэтому несмотря на словесные утверждения о том, что собственностью не может выступать в качестве основного, или определяющего отношения, фактически именно собственностью он определяет характер труда. В действительности же должно быть совсем наоборот; тот или иной характер труда определяет одну из характерных черт экономического содержания собственности.

Логическим следствием такого подхода (неправильного, на наш взгляд) к объяснению вопроса явилось то, что на 43-ей странице данной работы автор считает неправомерным рассматривать планомерность до непосредственно общественного характера труда. По нашему

⁵ «Труд, объединенный общенародной собственностью, объективно становится непосредственно общественным в народнохозяйственном масштабе» [10 (стр. 37)].

мнению, непосредственно общественный труд сам предполагает планомерность как определяющий момент. Без планомерного регулирования труд нельзя считать непосредственно общественным.

Если такая неточность допускается автором, который в общем придерживается позиции рассмотрения экономического содержания собственности в качестве системы всех производственных отношений, то тем охотнее приводится такое объяснение экономистами, придерживающимися противоположной позиции в объяснении собственности⁶. Поэтому во всех учебниках и учебных пособиях, кроме «Курса политической экономии» под редакцией Н. А. Цаголова, непосредственно общественный труд рассматривается после рассмотрения «общественной собственности на средства производства».

При объяснении непосредственно общественного характера труда при социализме формой собственности логически можно прийти к выводу, что такой характер труд приобретает сразу после объявления права общественной собственности на средства производства. В таком случае игнорируется тот факт, что в отличие от политико-правовых актов, которые могут совершаться за сравнительно короткий промежуток времени, экономические отношения возникают постепенно, проходят стадию становления.

Переход права собственности на средства производства в руки общества является лишь условием возникновения непосредственно общественного труда, а налаживание планомерной организации производства реально превращает труд в непосредственно общественный. Полностью же зрелый непосредственно общественный труд отрицает существование косвенных связей между различными звеньями системы общественного разделения труда, следовательно, исключает стоимость в качестве формы богатства. Единственной функцией непосредственно общественного труда является производство богатства в его реальной, а не абстрактной форме. В таком случае не стоимость, а потребительная стоимость, натурально-вещественный состав продукта выступает в качестве цели производства. Отрицая товарный характер социалистического производства в целом, в то же время нельзя не учитывать элементы общности социалистических предприятий и, следовательно, существование товарно-денежных форм с новым содержанием, но имеющих в то же время элементы старого содержания. Данное обстоятельство, наряду с общенародной целью производства на уровне предприятия, рождает другую, хозрасчетную цель, которая находится в определенном противоречии с общенародной целью, в некоторой степени расходится с ней. А ввиду того, что прибыль имеет стоимостный характер, на уровне предприятия в первой фазе коммунизма существуют некоторые элементы товарного, формального превращения цели производства. Непосредственной целью в определенной мере выступает достижение высоких стоимостных результатов, хотя конечной целью производства и на уровне предприятия является производство нужных обществу потребительных стоимостей.

Рассматривая непосредственно общественный характер производства, экономисты чаще всего акцентируют внимание на процессе тру-

⁶ «В самом производстве, — пишет Г. И. Раздорский, — характер труда обусловлен формой собственности на средства производства. Частная собственность, к примеру, придает труду частный характер, общественная собственность — общественный характер» [11 (стр. 34)].



да в фазе производства, упуская из поля зрения другую важную сторону производства в широком смысле, а именно сферу потребления. Между тем, как отмечалось на XXIV съезде КПСС, в развитии социалистическом обществе особенно возрастает роль личного потребления в дальнейшем развитии общественного производства.

II. პროპორციების მეორე ჯგუფი დარგობრივ პროპორციებს მოიცავს, რომლებიც, თავის მხრივ, დარგთაშორისი და შიდადარგობრივი პროპორციებისაგან შედგება;

III. მესამე ჯგუფში გაერთიანებულია ტერიტორიული პროპორციები, კერძოდ, ტერიტორიათაშორისი და შიდატერიტორიული პროპორციები;

IV. უკანასკნელი ჯგუფი მოიცავს პროპორციებს ფულად შემოსავალსა და ფულად ხარჯებს შორის ცალკეულ საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების ხაზით.

A. GOKIELI

ON THE SYSTEM OF PROPORTIONS IN THE SOCIALIST
NATIONAL ECONOMY AND ITS STUDY

Summary

In every social system based on labour division certain proportionality is necessary. Due to the social property of the means of production the system of socialism is characterized by stable proportionality of the development of the national economy.

In the economic literature the term proportion is, as a rule, explained as a quantitative correlation between the parts and the whole, between the branches, spheres, territorial units. The author defines proportion as a



quantitative and qualitative correlation between the parts and the whole, between separate processes which are necessary for the managing and ensuring of the balanced and dynamic development of the national economy.


It is first necessary to study the economic proportions, and then the particular ones which are related to the separate parts and processes.

General economic proportions include proportions between the following:

- 1) the productive and nonproductive spheres of the national economy.
- 2) production and consumption
- 3) the first and second divisions of social production
- 4) the fund of compensation and national income,
- 5) the funds of consumption and accumulation,
- 6) the existing labour resources and demand,
- 7) the increase of labour productivity and average wages,
- 8) the income and spending of the population,
- 9) the purchasing funds of the population, retail commodity circulation and commodity resources,
- 10) the summary financial resources and summary financial expenses.

Further, the proportions among different branches of the national economy and inter-branch proportions, money receipts and money expenses of financial-credit institutions are also discussed.

All the above proportions are closely interconnected and influence each other. Realization of progressive proportions, and their regular improvement is indispensable in order to ensure a planned, balanced and dynamic development of the socialist national economy.



მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორია სახალხო მეურნეობის დარგთა კლასიფიკაციის შესახებ

ბივი კალანდანი

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური ბრძოლის გაზრდილი ამოცანები მოითხოვენ თეორიული აზრის შემდგომ განვითარებას, სოციალური პროცესების უფრო ღრმა ანალიზს. კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების დონის შემდგომ ამაღლებას. ამიტომაც, რომ პარტია დიდ ადგილს უთმობს თეორიულ კვლევა-ძიებას, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომ შემოქმედებით განვითარებას, სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემების მეცნიერულ დასაბუთებას.

საზოგადოებრივი წარმოების, სოციალური პროცესების, მთელი საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული ხელმძღვანელობა პირველ რიგში იმას იმსწავს, რომ ცხოვრებაში მომწიფებული ამოცანების გადაჭრას წინ უნდა უსწრებდეს მათი თეორიული შესწავლა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხთან კავშირში; ესაა კომუნისმის მშენებლობის წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

ლ. ი. ბრეჟნევი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ეკონომიკისა და პოლიტიკის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, ისტორიისა და სამართლის, სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დიდმნიშვნელოვანი პრობლემების დამუშავება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში საბჭოთა მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“ [1(გვ. 105)]. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა რეკომენდაციების დანერგვა პრაქტიკაში დღეს არანაკლებ დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევების გამოყენება მატერიალური წარმოებისა და ხალხის სულიერი ცხოვრების განვითარების სფეროში.

მიუხედავად საზოგადოებრივ მეცნიერებათა ასეთი დიდი მნიშვნელობისა, მის ცალკეულ დარგებში ჯერ კიდევ ყოველთვის არაა მოცემული საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმა და ობიექტური ანალიზი, რაც ხელს უშლის ისტორიული გამოცდილებისა და ჩვენი საზოგადოების განვითარების პერსპექტივების სწორად შეფასებას. ერთ-ერთი ასეთი საკითხი, რომლის მეცნიერულად გადაჭრასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, სახალხო მეურნეობის დარგთა მეცნიერული კლასიფიკაციაა.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემების გადაჭრისა და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმიანი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია სახალხო მეურნეობის დარგთა სწორი,



მეცნიერულად გამართლებული კლასიფიკაცია. სახალხო მეურნეობის დარგთა კლასიფიკაციის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავება ჯერ კიდევ ვერ პასუხობს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე წამოყენებულ მოთხოვნებს.

სახალხო მეურნეობის დარგთა კვალიფიკაციისა და დარგების საწარმოო და არასაწარმოო სფეროებისადმი მიკუთვნების საკითხის შესახებ ამჟამად რამდენიმე ერთმეორის საწინააღმდეგო მოსაზრებაა, ერთი შეხედვით, სახალხო მეურნეობის დარგთა კლასიფიკაციის მეცნიერული დადგენა თითქოს სირთულეებთან არ არის დაკავშირებული, სინამდვილეში ამ საკითხის ღრმად გაშუქება და სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული კლასიფიკაციის დადგენა მრავალ წინააღმდეგობასა და მეცნიერულ აზრთა სხვადასხვაობას აწყდება, რაც განპირობებულია რიგი გარემოებით. უპირველეს ყოვლისა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებებში მოცემული მეურნეობის დარგთა კლასიფიკაციის მეთოდოლოგიური საფუძვლები მკვლევართა მიერ სხვადასხვანაირადაა გაგებული და ახსნილი. ბევრი მათგანი აუბრალოებს საკითხის არსს და დარგთა კლასიფიკაციის საფუძვლად ტექნიკურ, ნატურალურ-ემპირიულ ნიშნებს იღებს. მეცნიერულ ლიტერატურაში მთელი რიგი პრინციპული საკითხებისა ან არასწორად, ან არასაკმაოდ არის გაშუქებული, მაგალითად, პროდუქციის, მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის ცნებები, ტრანსპორტის, ვაჭრობისა და სამხედრო წარმოების ეკონომიური ბუნება და მათი ადგილი სახალხო მეურნეობის დარგთა შორის და სხვ.

ბურჟუაზიული ეკონომიური მეცნიერება უგულვებელყოფს დარგთა კლასიფიკაციის როგორც რეალურ, მატერიალურ და საწარმოო, ისე სოციალ-ეკონომიურ ნიშნებს და დარგთა კლასიფიკაციას ემპირიულ-ეკლექტიკურ, წმინდა ნატურალური ნიშნებით იძლევა.

სწორედ წმინდა ემპირიული, ნატურალური ნიშნები უდევს საფუძვლად 1895 წელს ჩიკაგოს საერთაშორისო სტატისტიკური კონგრესის მიერ მიღებულ მეურნეობის დარგთა კლასიფიკაციას [2(გვ. 78)]. აღნიშნული კლასიფიკაციით სახალხო მეურნეობის ყველა დარგი სამ ჯგუფშია გაერთიანებული:

1. პირველადი წარმოება; იგი აერთიანებს ორ ქვეჯგუფს: მიწის ზედაპირულ ექსპლოატაციას, რომელშიც შედის მიწათმოქმედება, სატყეო მეურნეობა, მე-თევზეობა, მონადირეობა; მეორე ქვეჯგუფია წიაღისეულთა ექსპლოატაცია-სამთამადნო, ნავთობმომპოვებელი და ნახშირმომპოვებელი წარმოება;

2. მეორადი წარმოება; იგი მოიცავს დამუშავებით მრეწველობას: მანქანათმშენებელ, საფეიქრო, მეტალურგიულ, კვების მრეწველობის დარგებს;

3. მომსახურეობის დარგები — ვაჭრობა, ტრანსპორტი, საზოგადოებრივი მართვა; პირადი და საოჯახო მომსახურება და სხვ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური სამმართველოს მიერ 1948 წელს მიღებული სახალხო მეურნეობის დარგთა კლასიფიკაცია აღნიშნული კლასიფიკაციისაგან პრინციპულად არ განსხვავდება*. მეურნეობის

* გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური კომისიის მიერ 1948 წ. მიღებულ სახალხო მეურნეობის დარგთა კლასიფიკაცია გადასინჯულ იქნა 1958 და 1968 წელს, რის შემდეგაც დატოვებულ იქნა მცირე შესწორებები.

მთელი დარგები დაყოფილია 10 ჯგუფად, ნულიდან ცხრამდე. ნულ ჯგუფში შედის სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მონადირეობა და მეთევზეობა. პირველი ჯგუფი აერთიანებს სამთო-დამუშავებით მრეწველობას; მეორე-მესამე ჯგუფებში გაერთიანებულია დამუშავებითი მრეწველობა; მეოთხეში — მშენებლობა; მეხუთეში — წყალმომარაგება, ელექტროენერჯის წარმოება, სანიტარული მომსახურება, გაზის წარმოება; მეექვსეში — ვაჭრობა; მეშვიდეში — ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა; მერვეში — სახელმწიფოს მართვა, მომსახურება, რელიზაცია, პირადი მომსახურება; მეცხრეში საქმიანობის ის სახეები, რომლებიც ზუსტად არ არის გარკვეული [3(გვ. 42—43)].

დარგთა აღნიშნული კლასიფიკაციის მეთოდოლოგიური საფუძველი ემპირიული, ნატურალურ-ტექნოლოგიური ნიშნებია. ამ კლასიფიკაციაში არეულია საწარმოო და არასაწარმოო დარგები, მიჩქმალულია ის განსხვავება, რომელიც არსებობს მატერიალური და არამატერიალური წარმოების დარგებს შორის; უგულებელყოფილია განსხვავებები მწარმოებლურ შრომასა და არამწარმოებლურ შრომას შორის, წაშლილია ყოველგვარი ზღვარი ცალკეულ დარგთა მატერიალურ-წარმოებრივ და სოციალ-ეკონომიურ ნიშნებს შორის. მრეწველობის დარგები არეულია სოფლის მეურნეობის დარგებში. სოფლის მეურნეობა და მომპოვებელი მრეწველობა დაყოფილია ნატურალურ-ტექნოლოგიური ნიშნების მიხედვით. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა კი იმის გამო, რომ არ ქმნის ნივთობრივი სახის პროდუქტს, მიკუთვნებულია მომსახურების სფეროსადმი. დარგთა ასეთი კლასიფიკაცია საბოლოოდ ნიღბავს კაპიტალისტური ექსპლოატაციის არსს, თითქოს თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არ არსებობდეს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რომ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის შექმნაში მონაწილეობდეს საზოგადოების ყველა ფენა: პოლიციელები, მოსამართლეები და სამხედრო რეაქტიული თვითმფრინავების პილოტებიც კი [4(გვ. 219—245)].

სახალხო მეურნეობის დარგთა კლასიფიკაციისა და ამა თუ იმ დარგის საწარმოო თუ არასაწარმოო სფეროსადმი მიკუთვნების საკითხში აზრთა სხვადასხვაობაა საბჭოთა ეკონომისტებსა და სოციოლოგებს შორისაც. ასე, მაგალითად, ვ. ს. სემიონოვი სახალხო მეურნეობის დარგებს ოთხ ჯგუფად ყოფს [5(გვ. 22)]: მატერიალური და სულიერი წარმოების, მომსახურებისა და მართვის სფეროებად.

პირველ ჯგუფში, ე. ი. მატერიალურ სფეროში იგი აერთიანებს: მრეწველობას, მშენებლობას, სოფლისა და სატყეო მეურნეობას, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას (სატვირთო ტრანსპორტი, წარმოების მომსახურე კავშირგაბმულობა); სულიერი წარმოების სფეროს ვ. ს. სემიონოვი აკუთვნებს: მეცნიერებას, განათლებას, კულტურას, ჯანმრთელობის დაცვას; მომსახურების სფეროს — ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებას, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საყოფაცხოვრებო, კომუნალურ მეურნეობას, სამგზავრო ტრანსპორტსა და მოსახლეობის მომსახურე კავშირგაბმულობას; ხოლო მართვის სფეროს — მართვის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანოებს.

ჩვენნი აზრით, სახალხო მეურნეობის აღნიშნული კლასიფიკაცია ცალმხრივია და მოკლებულია მეცნიერულ სიზუსტეს. უპირველეს ყოვლისა, უგულებელყოფილია ის განსხვავება, რომელიც არსებობს საწარმოო და არასაწარმოო დარგებს



შორის. წაშლილია ყოველგვარი ზღვარი ნატურალურ-ტექნოლოგიურ-მეცნიერ-მეტერიალურ, სოციალურ-ეკონომიურ ნიშნებს შორის.

ზოგიერთი ეკონომისტი წინადადებას იძლევა მატერიალურ წარმოებას მივაკუთვნოთ ყოველგვარი შემოქმედებითი შრომა, რომლის შედეგიც განივთებულია საგნებში, მაგალითად: მეცნიერების, მხატვრების, მოქანდაკეების, მწერლების. ამით ცდილობენ ხელოვნურად გააფართოონ მატერიალური წარმოების სფერო და წაშალონ ის ზღვარი, რომელიც არსებობს მატერიალურსა და სულიერ წარმოებას შორის [6(გვ. 33—35)].

პროფ. ა. ლივშიცი მოითხოვს, რომ მატერიალური წარმოებიდან გამოირიცხოს იმ მუშაკთა შრომა, რომელიც ვერ პოულობს ასახვას მატერიალური დოვლათის გასაგნობრივებაში (სამრეწველო ტრესტების სამინისტროებისა და სხვადასხვა გაერთიანებათა მუშაკების შრომა) [7(გვ. 85—107)].

ეკონომისტთა ერთი ჯგუფი (პ. მოსკვინი [8(გვ. 20—23)], გ. კოლანაძე [9(გვ. 88)], ტ. რიაბუშკინი [10(გვ. 127)], [11(გვ. 29)], მატერიალური წარმოების დარგებად მიიჩნევენ დარგებს, რომელშიც იწარმოება ნივთიერი ფორმის საგნები, რასაც, ჩვენი აზრით, პროდუქციის ცნების არასწორი გაგება უდევს საფუძვლად, რადგან მეურნეობრივ საქმიანობაში არსებობს ადამიანთა მატერიალურ-შრომითი საქმიანობის ისეთი სახეები, რომელთა შედეგი დამოუკიდებელ ნივთობრივ ფორმას არ იღებენ, მაგრამ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში კი შედიან.

ეკონომისტები—ი. ა. კრონროდი, [2(გვ. 61—68)], ს. გ. სტრუმილინი, [12(გვ. 14)], დ. ხაჩატუროვი [12(გვ. 5—6)] და სხვ. მატერიალური წარმოების შედეგად მიიჩნევენ არა მარტო ნივთიერ საგნობრივ პროდუქტს, არამედ წარმოებრივ შედეგს, რომელიც შეიძლება ნივთიერი ფორმით ან მოქმედების სახით არსებობდეს. კ. მარქსი პროდუქციის შექმნის საფუძვლად იღებს არა შრომის შედეგის ფიზიკურ, ნივთიერ ფორმას, არამედ ღირებულების შექმნისა და ზრდის პროცესს.

ადამიანთა საზოგადოება ჩვენი გარემომცველი ერთიანი მატერიალური სამყაროს ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც, როგორც თავისებურ სოციალურ ორგანიზმს, საფუძვლად უდევს მატერიალურ-წარმოებითი კავშირი, ადამიანთა ეკონომიური ურთიერთობა. ცხოველთა სამყაროდან გამოყოფა და ადამიანად გადაქცევა მას მხოლოდ თავის მსგავსებასთან ურთიერთობით შეეძლო. თვისებრივი ზღვარი, რომელიც ადამიანთა საზოგადოებას ბიოლოგიურ გაერთიანებათაგან განასხვავებს, შრომაში, საზოგადოებრივ წარმოებაში მდგომარეობს.

შრომა, წარმოება, როგორც ადამიანთა მიზანშეწონილი მოქმედება, მიმართულია ბუნებისა და მისი ძალების გამოყენებისა და დამორჩილებისადმი, ამიტომ ადამიანთა საზოგადოებრივი კავშირის თავისებურებაც, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო კავშირია. ურთიერთობა, რომელიც წარმოების პროცესში იქმნება, საფუძვლად უდევს ყველა დანარჩენ სოციალურ ურთიერთობებს, მათ შორის იდეოლოგიურსაც, კლასობრივ საზოგადოებაში კი ადამიანთა ბოლიტიკურ ურთიერთობებსაც.

საერთოდ, ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობის განსაზღვრულ სფეროდ იგულისხმება ერთგვაროვან დარგთა ერთობლიობა, რომელსაც თავისი კონკრეტული მიზნობრივი დანიშნულება აქვს და შრომის საზო-

გადობრივ დანაწილებაში განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს. თავის მხრივ, ესა თუ ის დარგი მოიცავს ერთგვაროვან საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც საზოგადოებრივ საქმიანობაში არსებითად ერთნაირ ფუნქციებს ასრულებენ. ამდენად, სახალხო მეურნეობის დარგად ივლისხმება ერთგვაროვან საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებული არიან მიზნობრივი დანიშნულებით, ტექნოლოგიური პროცესებისა და კადრების ერთგვაროვნებით, განსაკუთრებული პროფესიული შემადგენლობით, რომლებიც არსებითად ერთნაირ ფუნქციებს ასრულებენ გაფართოებულ კვლავწარმოებაში.

კ. მარქსი ანალიზს უკეთებდა რა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთობლიობას, მისგან გამოყოფდა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს—მატერიალური დოვლათის წარმოებას, წარმოებით ურთიერთობათა სისტემას (როგორც საზოგადოების ბაზისს), საზოგადოების ეკონომიურ წყობას და პოლიტიკურ, სამართლებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, რელიგიურ, მეცნიერულ შეხედულებებსა და შესაბამის დაწესებულებებს (როგორც ამ ბაზისზე აღმართულ ზედნაშენს). საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი მარქსისტული მიდგომა უნდა დაედოს საფუძვლად სახალხო მეურნეობის დარგთა კლასიფიკაციასაც. უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიგვაჩნია ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობა გავმიჯნოთ იმისდა მიხედვით, თუ სად უხდება ადამიანს დასაქმება—ეკონომიურ თუ ზედნაშენურ ურთიერთობათა სფეროში.

მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორია ადამიანის ყოველგვარ საქმიანობას ეკონომიური შინაარსისა და მნიშვნელობის მიხედვით ორ ჯგუფად ყოფს: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საწარმოო საქმიანობა, რომლის შედეგად მატერიალური დოვლათი იქმნება, ხოლო მეორე ჯგუფს მიაკუთვნებენ არასაწარმოო საქმიანობას, რომლის პროცესშიც არ იქმნება მატერიალური დოვლათი; იგი მოიცავს პირად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მომსახურებას. ამის შესაბამისად მთელი სახალხო მეურნეობა შედგება საწარმოო და არასაწარმოო დარგებისაგან. საწარმოო დარგების ერთობლიობა ქმნის მატერიალური წარმოების სფეროს და ხასიათდება რიგი ნიშნებით: პირველი, მატერიალური წარმოება ადამიანთა ისეთი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია მატერიისა და ბუნების ძალებზე შემოქმედებისაკენ. „ყოველი საზოგადოებრივი წყობილების დროს წარმოება, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — მდგომარეობს მუშის „შემოქმედებაში“ მატერიასა და მის ძალებზე“ [14(გვ. 236)].

მეორე, ბუნების ძალებსა და მატერიაზე გარდამქმნელი შემოქმედების შედეგად ადამიანები ისაკუთრებენ ბუნების საგნებს. კ. მარქსის გამოთქმით, ყოველი წარმოება არის მის მიერ ბუნების საგნების მითვისება განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმით. [15(გვ. 8)].

მესამე, წარმოება ქმნის ადამიანთა სხვა საქმიანობის მატერიალურ საფუძველს და მიმართულია კაცობრიობის სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

მეოთხე, მატერიალური წარმოების პროცესი არის სხმარ ღირებულებათა და ღირებულებების შექმნის ერთნაირ პროცესი. ამდენად, მატერიალური წარმოება უნდა განვხილოთ არა როგორც ადამიანთა ყოველგვარი საქმიანობა, არამედ საქმიანობა, რომელიც მიმართულია ბუნების საგნების ისეთი შემოქმე-



დებისავენ, როდესაც ხდება მათი მითვისება განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმით, წარმოადგენს სხვა საქმიანობის მატერიალურ საფუძველს და სახმარაღირებულებათა და ღირებულებათა შექმნის ერთიანი პროცესით ხასიათდება.

არასაწარმოო სფერო აერთიანებს დარგებს, რომლებიც წარმოიქმნებიან მატერიალური დოვლათის განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში, აგრეთვე დარგებს, რომლებიც ყალიბდებიან საზოგადოებრივი ცნობიერების გარკვეულ ფორმებში.


ამა თუ იმ დარგის საწარმოო ან არასაწარმოო სფეროსადმი მიკუთვნებისას საჭიროა გავითვალისწინოთ ის ძირითადი საწარმოო-მატერიალური და სოციალურ-ეკონომიური ნიშნები, რომლითაც ხასიათდება ესა თუ ის დარგი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ხაზი გაესვას იმას, თუ რა ადგილი უკავია ამა თუ იმ დარგს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში და რა როლს ასრულებს კვლავ-წარმოების პროცესში. აუცილებელია ყურადღება მიექცეს დარგის ფუნქციონალურ ერთიანობასაც, გათვალისწინებული უნდა იქნეს შრომის შედეგი და რა ადგილი უკავია შრომის შედეგს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის შექმნის, ღირებულების შექმნის, გარდაქმნის შენარჩუნებისა და ზრდის პროცესში. ასე, მაგალითად, მრეწველობის დარგთა კლასიფიკაცია ითვალისწინებს დარგების დაყოფას უწინარეს ყოვლისა მათი როლის მიხედვით კვლავწარმოების პროცესში იმ დარგებად, რომლებიც აწარმოებენ წარმოების საშუალებებს („ა“ ჯგუფი) და დარგებად, რომლებიც აწარმოებენ მოხმარების საგნებს („ბ“ ჯგუფი) *.

საწარმოო-მატერიალური და სოციალ-ეკონომიური ნიშნებით ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობის მთელი ერთობლიობა შეიძლება დავყოთ ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობის ეკონომიურ და ზედნაშენურ სფეროებად. ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროში შევა დარგები, რომლებიც თავმოყრილი იქნებიან საკუთრივ წარმოებაში, განაწილებაში, გაცვლასა და მოხმარებაში; ზედნაშენურ ურთიერთობათა სფერო კი მოიცავს დარგებს, რომლებიც პოლიტიკურ, სამართლებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, რელიგიურ და მეცნიერულ ფორმებსა და ურთიერთობებში იქნებიან გაერთიანებული. ეკონომიურ ურთიერთობათა სფერო თავის მხრივ იყოფა:

1. მატერიალური წარმოების დარგებად: მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, ტრანსპორტი (როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო), კავშირგაბმულობა (როგორც საწარმოო სფეროს მომსახურებაში, ისე მოსახლეობის მომსახურების ნაწილში);

2. დარგებად, რომლებიც ფუნქციონირებენ განაწილებასა და გაცვლაში; ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება, საფინანსო, საკრედიტო და დაზღვევის მთელი სისტემა;

* როგორც ცნობილია, სსრ კავშირის სტატისტიკურ წელიწადეულეებში მრეწველობის გარდა სხვა დარგების პროდუქციის დაყოფა „ა“ და „ბ“ ჯგუფებად არ არის მოცემული, რაც შეუძლებელს ხდის დადგენილი იქნეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში თანფარდობა წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების წარმოებას შორის. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა ასეთი მონაცემების ყოველწლიურად გამოქვეყნება შესაბამის სტატისტიკურ კრებულეებში.



3. მოხმარების ფაზაში ფუნქციონალურ დარგებად: საბინაო-კომუნალური მეურნეობა, საყოფაცხოვრებო მომსახურეობა, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაზღვევა და უზრუნველყოფა; ფიზკულტურა და სპორტი;

ზედნაშენურ ურთიერთობათა სფერო აერთიანებს დარგებს: განათლება, მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, სახელმწიფოს მართვა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თავდაცვისა და საზოგადოებრივი დაცვის ორგანოები და სხვ.

განაწილების, გაცვლის, მოხმარებისა და ზედნაშენური სფეროს დარგები მთლიანობაში ქმნიან არასაწარმოო დარგებს. ჩვენ მიერ რეკომენდებულ დარგთა კლასიფიკაცია საგრძნობლად განსხვავდება ამჟამად მოქმედ დარგთა კლასიფიკაციისაგან. უპირველეს ყოვლისა, მატერიალური წარმოების სფეროდან გამორიცხულია საზოგადოებრივი კვება, გაჭრობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება. ისინი, როგორც საქონელმიმოქცევის ფორმები, ფინანსებს, კრედიტებსა და დაზღვევასთან ერთად განაწილება-გაცვლის ერთიან სისტემას შეადგენს.

მატერიალური წარმოების სფეროში წარმოდგენილია სამგზავრო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა მოსახლეობის მომსახურების ნაწილში, ამით თავიდანაა აცილებული ის ხელოვნურობა, რომელსაც მიმართავენ სამგზავრო ტრანსპორტის წარმოების სფეროსადმი მიკუთვნების მოწინააღმდეგენი [16 (გვ. 64)].

დარგთა კლასიფიკაციისას გათვალისწინებულია პროდუქციის მოძრაობის ფორმები კვლავწარმოების სხვადასხვა სტადიაზე (წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება). საწარმოო და არასაწარმოო დარგების გამიჯვნა ეყრდნობა წარმოების როგორც ტექნიკურ ისე ეკონომიურ მხარეს. ამასთან, უპირატესობა ენიჭება სწორედ წარმოების სოციალ-ეკონომიურ ნიშნებს, პროდუქციის ეკონომიურ შინაარსს, ღირებულების შექმნისა და ზრდის პროცესს.


მრეწველობა მატერიალური წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგია, სადაც წარმოების პროცესში გამოიყენება წარმოებულ შრომის იარაღები და შრომის საგნები.

მატერიალური წარმოების მეორე უმნიშვნელოვანესი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელშიც კვლავწარმოების ეკონომიური პროცესი გადახლართულია კვლავწარმოების ბუნებრივ პროცესებთან [16 (გვ. 450—451)].

სატყეო მეურნეობის ის თავისებურება, რომელიც წარმოების პროცესების ხანგრძლივობაში მდგომარეობს, მას მატერიალური წარმოების დამოუკიდებელ დარგად აქცევს.

მატერიალური წარმოების დამოუკიდებელი დარგია აგრეთვე მშენებლობაც, რომელიც თავის სპეციფიკური თვისებებით განსხვავდება წარმოების სხვა დარგებისაგან.

წარმოების დამოუკიდებელი და ამასთან, მნიშვნელოვანი დარგია „სატრანსპორტო მრეწველობა“. „მომზადებული მრეწველობის, მიწათმოქმედებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის გარდა არსებობს კიდევ მატერიალური წარმოების მეოთხე სფერო, რომელიც თავის განვითარებაში გაივლის აგრეთვე წარმოების სხვადასხვა საფეხურს: ხელოსნურს, მანუფაქტურულსა და მანქანურს. ეს არის სატრანსპორტო მრეწველობა, სულ ერთია, ადამიანები გადაჰყავს მას თუ საქონელი გადააქვს“ [17 (გვ. 506)].



ამდენად, ტრანსპორტი, განუზღვრავს იმისა, მგზავრები გადაყავს თუ ტვირთი გადააქვს, მატერიალური წარმოების დამოუკიდებელი დარგია. ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალში არ შეაქვთ სამგზავრო გადაზიდვებიდან მიღებული შემოსავალი და, რომ მასში ტრანსპორტის ხვედრიწონა შემცირებულად წარმოგვიდგება, უმთავრესად აიხსნება ტრანსპორტის ეკონომიური ბუნების არასწორი გაგებით, ტრანსპორტის მწარმოებლური ხასიათის უგულვებელყოფით.

ტრანსპორტი მატერიალური წარმოების მნიშვნელოვანი დარგია. ეს ერთნაირი ზომით ეხება როგორც მგზავრთა გადაყვანას, ისე სატვირთო ტრანსპორტს.

ვ. ი. ლენინი 1921 წელს ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ მრეწველობისა და მიწათმოქმედების აღდგენის, მათ შორის კავშირის მატერიალურ დასაყრდენს ტრანსპორტი წარმოადგენსო [18(გვ. 352)].

სამგზავრო ტრანსპორტის მატერიალური წარმოების დარგად აღიარების მოწინააღმდეგენი თავიანთ მოსაზრებებს იმით ასაბუთებენ, რომ თითქოს სამგზავრო ტრანსპორტზე არ წარმოიქმნება ნივთობრივი პროდუქტი, ტრანსპორტზე არ არის შრომის საგანი, სამგზავრო გადაზიდვების ხარჯები ეროვნული შემოსავლიდან გაიღება, და ბოლოს, კ. მარქსი თითქოს პირდაპირ მიუთითებდეს, რომ სამგზავრო ტრანსპორტი მომსახურებას მიეკუთვნება.

ჯერ ერთი, მატერიალური წარმოებისათვის არ არის აუცილებელი მატერიალურ-შრომითი საქმიანობის შედეგს დამოუკიდებელი ნივთობრივი პროდუქტის ფორმა ჰქონდეს. „შეიძლება ამა თუ იმ შრომის სახეობის დახარჯვით გარკვეული ნივთობრივი ფორმის მქონე საგანი კი მივიღოთ, მაგრამ იგი საზოგადოებრივ პროდუქტს ჩვეულებრივი გაგებით არ მიეკუთვნებოდეს“ [19(გვ. 221)].

მეორე, არსებობს მატერიალურ-შრომითი საქმიანობის ისეთი სახეები, რომელთა შედეგები დამოუკიდებელ ნივთობრივ ფორმას არ იღებს, მაგრამ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში კი შედიან [2(გვ. 21—24)].

ისმება კითხვა: რატომ მხოლოდ სამგზავრო ტრანსპორტისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი „შრომის ნივთობრივი პროდუქტი“?

შემდეგ, სამგზავრო ტრანსპორტის მატერიალური წარმოების დარგად აღიარების მოწინააღმდეგენი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიანთ მოსაზრებას იმითაც ასაბუთებენ, რომ აქ „არ არის არც შრომის საგანი“. ჯერ ერთი საკითხის ასეთი დაყენება არასწორია. როგორც ცნობილია, შრომის პროცესის მარტივი მომენტებია: მიზანშეწონილი მოქმედება, ანუ თვით შრომა, შრომის საგანი და შრომის საშუალებანი. შრომის პროცესისათვის აუცილებელია ამ სამი მარტივი მომენტების დაკავშირება. როგორ არის ამ მხრივ საქმე სამგზავრო ტრანსპორტზე?

აქ საქმე გვაქვს სატრანსპორტო საშუალებებთან, შრომასთან, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სატრანსპორტო საშუალებანი, მაგრამ განა შეიძლება შრომამ მოიყვანოს მოძრაობაში სატრანსპორტო საშუალებები, თუ არ ექნა შრომის საგანი? ვ. ი. თუ არ ექნა შრომა გარკვეული საგნისადმი მიმართული? თუ ეს ასეა, მაშინ რისკენაა მიმართული შრომის (სატრანსპორტო) საშუალებები, ვ. ი. შრომის საგანები? შრომის საგანები მიმართულია დედამიწის გარკვეული ნაწილისაკენ, იქნება ეს საავტომობილო ტრანსპორტისათვის საავტომობილო გზა,

რკინიგზის ტრანსპორტისათვის რკინიგზა, და ა. შ. ე. ი. ტრანსპორტის შრომის საგნად მიიჩნევა დედამიწა, როგორც ადამიანის შრომის საყოველთაო საგანი. ე. ი. როცა საქმე გვაქვს სამგზავრო გადაზიდვებთან, სატრანსპორტო პროდუქციის ინდივიდუალურ მოხმარებასთან, შრომის საგნად შეიძლება მივიღოთ დედამიწის გარკვეული ნაწილი. ამრიგად, იმის მტკიცება, რომ სამგზავრო ტრანსპორტზე ადგილი არ ჰქონდეს შრომის საგანს, არ შეეფერება სინამდვილეს.

შემდეგ, სამგზავრო გადაზიდვების ხარჯები თითქოს ეროვნული შემოსავლიდან გაიღება, რის მტკიცებასაც, ჩვენი აზრით, საფუძვლად კ. მარქსის შეხედულებათა არასწორი გაგება უდევს. სატრანსპორტო ხარჯების განხილვა მიმოქცევის ხარჯებთან როდი ნიშნავს, თითქოს ეს ხარჯები ეროვნული შემოსავლიდან გაიღებოდეს, პირიქით, კ. მარქსი მიუთითებს იმ განსხვავებაზე, რომელიც მდგომარეობს ერთის მხრივ ხარჯებსა, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ღირებულების გარდაქმნასთან, რომელიც საქონელს არავითარ ღირებულებას მატებენ (სწორედ ამ ხარჯების ანაზღაურება უნდა მოხდეს ზედმეტი პროდუქტიდან და წარმოადგენს ზედმეტი პროდუქტიდან გამონაქვით ხარჯებს), მეორე მხრივ სატრანსპორტო ხარჯებს შორის (სულ ერთია, ეს სამგზავრო გადაზიდვების ხარჯებია თუ სატვირთო გადაზიდვებისა), რომელიც ღირებულებას ზრდის. სწორედ ღირებულების ეს ნამატი „ხელფასის ასანაზღაურებლად და ზედმეტ ღირებულებად ნაწილდება“ [16 (გვ.184)]—ასკვნის კ. მარქსი.

„გადაზიდვის შედეგს — სულ ერთია, ხდება ადამიანთა თუ საქონელთა გადაზიდვა, შეადგენს მათი სამყოფელი ადგილის ცვლილება“ [16(გვ. 64)]. ამიტომ შრომა, რომელიც ტრანსპორტზე იხარჯება, განუჩევლად გადაზიდვის ხასიათისა, მწარმოებლურია, პროდუქტიულია, ნაყოფიერია. კ. მარქსი ხაზს უსვამს რა ტრანსპორტზე დასაქმებულ მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობის ხასიათს, მიუთითებს: „მაგრამ ამ სასარგებლო ეფექტის საცვლელი ღირებულება, ისევე როგორც ყოველი სხვა საქონლის ღირებულება, განისაზღვრება მასზე დახარჯული წარმოების ელემენტების (სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებათა) ღირებულებას პლუს ზედმეტი ღირებულება, რომელიც სატრანსპორტო მრეწველობაში დასაქმებული მუშების ზედმეტმა შრომამ შექმნა“ [16(გვ. 64)]. აქ კ. მარქსი „სატრანსპორტო მრეწველობის“ პროდუქტს განიხილავს როგორც სატრანსპორტო საწარმოებში დასაქმებულ მომუშავეთა მწარმოებლური შრომის შედეგს, განუჩევლად იმისა, ეს შრომა დასაქმებულია სატვირთო თუ სამგზავრო ტრანსპორტზე. სამგზავრო ტრანსპორტის მწარმოებლურ შედეგს იგი განიხილავს როგორც „სატრანსპორტო მრეწველობის“ სასარგებლო ეფექტის ინდივიდუალურ მოხმარებას, ხოლო სატვირთო ტრანსპორტის მწარმოებლურ შედეგს — როგორც მწარმოებლურ მოხმარებას. ამით იგი ხაზს უსვამს სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტის წარმოებრივ ერთიანობას და მიუთითებს იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს სამგზავრო და სატვირთო ტრანსპორტთა შორის.

„სატრანსპორტო მრეწველობის“ პროდუქტი არა თუ წარმოების, არამედ მოხმარების ხასიათითაც არ განსხვავდება წარმოების სხვა დარგებში შექმნილი საქონლისაგან: „რაც შეეხება სატრანსპორტო მრეწველობის სასარგებლო ეფექტის მოხმარებას, იგი ამ მხრივაც არ განსხვავდება სხვა საქონლისაგან. თუ იგი ინდივიდუალურ მოხმარებას ემსახურება, — მოხმარებისთანავე ქრება მისი ღი-



რებულება; ხოლო თუ მწარმოებლურად მოხმარება, ისე რომ თვით იგი ტრანსპორტში მყოფი საქონლის წარმოების სტადიას შეადგენს, მაშინ მისი ღირებულება თვით საქონელზე გადაიტანება როგორც დამატებითი ღირებულება“ [16(გვ. 65)].

და ბოლოს, თითქოს კ. მარქსი მიუთითებს, რომ სამგზავრო ტრანსპორტი მომსახურების სფეროს მიეკუთვნებოდეს.

ჯერ ერთი, მომსახურების ცნებაში მარქსი გულისხმობს ფულის უშუალო გაცვლას ისეთ შრომაზე, რომელიც კაპიტალს არ აწარმოებს, ე. ი. არ აწარმოებს არც ღირებულებას და არც ზედმეტ ღირებულებას, მიუხედავად შრომის გასაგნობრივებისა შრომის შედეგში [17(გვ. 494)], და რადგან სამგზავრო ტრანსპორტზე ფულის გაცვლა ხდება სწორედ ისეთ შრომაზე, რომელიც კაპიტალს წარმოშობს, ე. ი. აწარმოებს ღირებულებასა და ზედმეტ ღირებულებას, ამდენად, სამგზავრო ტრანსპორტს მომსახურებას ვერ მივაკუთვნებთ;

მეორე, კ. მარქსის სიტყვებში, რომ „როცა ლაპარაკია ადამიანთა გადაყვანაზე, ეს ადვილცვლა მხოლოდ მომსახურებაა, რომელსაც მათთვის მეწარმე ასრულებს“, სრულებითაც არ ჩანს, ის, რასაც სამგზავრო ტრანსპორტის მატერიალური წარმოების დარგად აღიარების მოწინააღმდეგენი კ. მარქსს მიაწერენ — სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურების სფეროსადმი მიკუთვნებას. ჩვენი აზრით, კ. მარქსისათვის ასეთი დებულების მიკუთვნება მის შეხედულებათა არასწორი გაგებიდან გამომდინარეობს.

კ. მარქსის ეს გამოთქმა სხვა არაფერს ნიშნავს, გარდა იმ დამოკიდებულებებისა, რომელიც არსებობს ერთი მხრივ „სატრანსპორტო მრეწველობის“ პროდუქციის გამყიდველ კაპიტალისტებსა და მეორე მხრივ, მის მყიდველთა შორის, რომ ამ „ურთიერთობას ისევე ცოტა საერთო აქვს მწარმოებელი მუშების კაპიტალისტადმი დამოკიდებულებასთან, როგორც ნართის გამყიდველებსა და მის მყიდველებს შორის არსებულ დამოკიდებულებას“ [17(გვ. 506—507)] — ასევე კ. მარქსი.

სამგზავრო ტრანსპორტის მატერიალური წარმოების დარგად აღიარების მოწინააღმდეგენი, ჩვენი აზრით, კ. მარქსის ამ დებულების გაგებისას ერთმანეთში ურევენ „სატრანსპორტო მრეწველობის“ პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების პროცესს. სამგზავრო ტრანსპორტის პროდუქციის ის თავისებურება, რომ იგი მოიხმარება წარმოების პროცესში და მისი მარაგის სახით დაგროვება შეუძლებელია, არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ იგი მომსახურებას მივაკუთვნოთ, ისევე როგორც არ მიეკუთვნება მომსახურებას ელექტროენერჯის წარმოება*. ამ საკითხებზე საინტერესო და ჩვენი აზრით [18(გვ. 17—33)] საგნებით მართებული მოსაზრებანი გამოთქმული აქვს პროფ. ა. კუჭუხიძეს.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ „სატრანსპორტო მრეწველობას“, მიუხედავად იმისა, ახორციელებს იგი სატვირთო თუ სამგზავრო გადაზიდვებს, მატერიალური ხასიათი აქვს.

* როგორც ცნობილია, ომამდელი წლების ეკონომიურ ლიტერატურაში ელექტროენერჯის წარმოებას სპეციფიკური სახის ტრანსპორტად თვლიდნენ და მიუხედავად მისი პროდუქციის მოხმარების ხასიათისა, ე. ი. იგი მოიხმარებოდა საწარმოო დანიშნულებისათვის თუ პირადი მოხმარებისათვის, მთელ წარმოებას მატერიალური წარმოების სფეროს აკუთვნებდნენ.

ამდენად, სამგზავრო ტრანსპორტი მატერიალური წარმოების მნიშვნელოვანი დარგია და აუცილებელია ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში შეტანილ იქნას სამგზავრო ტრანსპორტიდან მიღებული შემოსავლებიც, რაც მნიშვნელოვანწილად გამოსწორებს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების არსებული მეთოდის ნაკლოვანებებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამგზავრო ტრანსპორტიდან მიღებული შემოსავლების ერთობლივ პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალში შეტანის საკითხისადმი არსებული აზრთა სხვადასხვაობა ხელს არ უშლის რიგ სოციალისტურ ქვეყნებს თავიანთი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში შეიტანონ შემოსავლები მიღებული სამგზავრო გადაზიდვებიდან. ასე, მაგალითად, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალში შეიტანება სამგზავრო ტრანსპორტიდან მიღებული შემოსავლებიც.


ამავე მეთოდიკით ხდება აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალი სოციალისტური ქვეყნების მთლიანი ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება. სამგზავრო ტრანსპორტიდან და არასაწარმოო სფეროების მომსახურე კავშირგაბმულობიდან მიღებული შემოსავლების შეტანა ეროვნულ შემოსავალში შესაბამისად გაზრდიდა სსრ კავშირის ეროვნულ შემოსავალს 2,7%-ით, ჩეხოსლოვაკიისას — 1,7%-ით, ბულგარეთისას — 1,5%-ით, რუმინეთისას — 1,8%-ით, ალბანეთისას — 0,5%-ით [20(გვ. 17—28)].

ამავე მოსაზრებით, მატერიალური წარმოების სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე კავშირგაბმულობაც.

მიმოქცევის სფეროს ძირითადი ფუნქციაა ღირებულების გარდაქმნა ერთი ფორმიდან მეორე ფორმად. სასაქონლო მიმოქცევის სფეროს მიეკუთვნება მოხმარების საგნებით ვაჭრობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება. აღნიშნული დარგები საფინანსო, საკრედიტო და დაზღვევის მთელ სისტემასთან ერთად განაწილებისა და გაცვლის სფეროშია მოქცეული. საქონელმიმოქცევის ეს ფორმები გამოცალკევდება სათანადო დარგების სახით და ასრულებს უაღრესად მნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო ამოცანებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დარგებში გარკვეული სახით მიმდინარეობს წარმოების პროცესის დასრულება (შეფუთვა, დახარისხება, შენახვა), ჩვენი აზრით, ძირითადი ფუნქცია არასაწარმოო ხასიათისაა და აუცილებელია მის არასაწარმოო სფეროში შეტანა. ამჟამად კი არსებული დაგეგმვისა და აღრიცხვის პრაქტიკა მიმოქცევის მთელ სისტემას მთლიანად მიაკუთვნებს მატერიალური წარმოების სფეროს, რაც არასწორად მიგვაჩნია.

აღნიშნულ საკითხებზე, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულ აზრს გამოთქვამენ პროფ. ა. გოკიელი [21(გვ. 5)] და პროფ. მ. ლალანიძე [22(გვ. 36)].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეკონომისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, არის მეცნიერთა შრომის ხასიათი. მეცნიერებათა უშუალო საწარმოო ძალად გადაქცევასთან დაკავშირებით ეკონომისტთა გარკვეული ჯგუფი და პ. გ. ოლდაი [23(გვ. 21, 35)] მეცნიერთა შრომის მწარ-



მოებლური შრომისადმი, ხოლო მეცნიერების როგორც დარგის მატერიალური წარმოების დარგისადმი მიკუთვნებას ემხრობა. ჩვენი აზრით, მეცნიერებათა მატერიალური წარმოებისადმი მიკუთვნება არასწორია. ჯერ ერთი, მეცნიერებათა გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მეცნიერება იქცევა საწარმოო ძალების რაღაც მესამე, შედარებით დამოუკიდებელ ელემენტად წარმოების საშუალებებთან და მატერიალური დოვლათის მწარმოებელ ადამიანებთან ერთად. სწორედ იმ აზრით, რომ მეცნიერების როლი ძალიან გაიზარდა წარმოების, საწარმოო ძალების განვითარების საქმეში, ვამბობთ, რომ მეცნიერება გადაიქცა უშუალო საწარმოო ძალად. მეცნიერება საწარმოო ძალის როლს იძენს წარმოების იარაღების მეშვეობით, რომლებშიც იგი თავის მატერიალურ განსახიერებას პოულობს და ადამიანთა მეშვეობით, რომლებიც მეცნიერებას დაეუფლნენ და მას წარმოებაში იყენებენ; მეორე, მეცნიერება და წარმოება სპეციფიკურად განსხვავებული საზოგადოებრივი მოვლენებია. მეცნიერება გარკვეულ ცოდნათა სისტემაა ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების კანონების შესახებ; წარმოება კი წარმოების საშუალებებისა და მწარმოებელ ადამიანთა სამუშაო ძალის ისეთი შეერთებაა, რომელიც საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელ მატერიალურ დოვლათს იძლევა, ამდენად მეცნიერების წარმოების დარგში შეტანა ეწინააღმდეგება თვით მეცნიერების განსაზღვრას, ადგილსა და როლს საზოგადოების განვითარებაში. იგი საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა და მისი განვითარება უპირველეს ყოვლისა განპირობებულია თანამედროვე წარმოების განვითარებით.

მესამე, მატერიალური დოვლათი იქმნება არა უშუალოდ მეცნიერებაში, მეცნიერთა უშუალო შრომით, არამედ წარმოებაში, რომელშიაც მეცნიერებათა მიღწევები პოულობენ განსახიერებას წარმოების საშუალებებსა და ადამიანთა საწარმოო გამოცდილებაში. წარმოებაში ხორციელდება მეცნიერების მიღწევათა ტექნოლოგიური გამოყენება.

მეოთხე, მეცნიერება, როგორც ადამიანთა საქმიანობის სპეციფიკური სფერო, უშუალოდ არ არის მოწოდებული ბუნების საგნების ისეთი ზემოქმედებისაკენ, როდესაც ადამიანთა სხვა საქმიანობის მატერიალური საფუძველი იქმნება. ამდენად მეცნიერების წარმოების დარგში შეტანა ეწინააღმდეგება თვით წარმოების განსაზღვრას, ადგილსა და როლს საზოგადოების განვითარებაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს სახალხო მეურნეობათა დარგების შემდეგი კლასიფიკაცია:

ადამიანთა საზოგადოებრივი საქმიანობა:

A. ბაზისურ-ეკონომიურ ურთიერთობათა სფერო

1. მატერიალური წარმოება

ა. მრეწველობა;

ბ. მშენებლობა;

გ. სოფლის მეურნეობა;

დ. სატყეო მეურნეობა;

ე. ტრანსპორტი (როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო);

ვ. კავშირგაბმულობა (როგორც საწარმოო სფეროში, ისე მოსახლეობის მომსახურების ნაწილში);

2. განაწილება-გაცვლითი ურთიერთობები:
 - ა. ვაჭრობა;
 - ბ. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება;
 - გ. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება;
 - დ. საზოგადოებრივი კვება;
 - ე. საფინანსო, საკრედიტო და დაზღვევის მთელი სისტემა.
3. მოხმარების ფაზაში ფუნქციონალური დარგები:
 - ა. საბინაო-კომუნალური მეურნეობა;
 - ბ. საყოფაცხოვრებო მომსახურება;
 - გ. ჯანმრთელობის დაცვა;
 - დ. სოციალური დაზღვევა და უზრუნველყოფა;
 - ე. ფიზკულტურა და სპორტი.

ზედნაშენურ ურთიერთობათა სფერო:

- I. განათლება;
- II. მეცნიერება;
- III. კულტურა;
- IV. ხელოვნება;
- V. სახელმწიფოს მართვა;
- VI. საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- VII. თავდაცვისა და საზოგადოებრივი დაცვის ორგანოები;
- VIII. საკულტო დაწესებულებანი;
- IX. სხვა სახის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები;
- X. ოჯახურ ურთიერთობათა სფერო.

სოციალისტური წარმოების ორგანიზაციის,
 მართვისა და დაგეგმვის კათედრა

ლიტერატურა

1. სკკპ XXIII ყრილობის მასალები. თბ., 1966.
2. Ротштейн А. И., «Проблемы промышленной статистики СССР», часть I, М.-Л., 1936.
3. Кронрод А. Я., «Общественный продукт и его структура при социализме», М., 1958.
4. Самуэльсон П., «Экономика», Вводный курс, М., 1966.
5. Семенов В. С., «Сфера обслуживания и ее работники», М., 1966.
6. Олдак М. Г., «Взаимосвязь производства и потребления, критерии и оценки», М., 1966.
7. Лившиц А. Л., «Производительный и непроизводительный труд в социалистическом обществе»; «Проблемы политической экономии социализма», М., 1963.
8. Москвин П. М., «Вопросы статистики национального дохода СССР», М., 1955.
9. Колганов М. В., «Национальный доход», М., 1959.
10. Рябушкин Т. В., «Проблемы классификации отраслей народного хозяйства и труда», М., 1952.
11. Рябушкин Т. В., «Проблемы экономической статистики», М., 1959.
12. Струмилин С. Г., «Плановое хозяйство», № 6, 1962.



13. Хачатуров Т. С., «Железнодорожный транспорт СССР», М., 1952.
14. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3.
15. კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1933.
16. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957.
17. კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები. ნაწ. I, თბ., 1966.
18. ალ. კუჭუხიძე, სამოქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ეკონომიკისა და დაგეგმვის საკითხები, თბ., 1971.
19. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32.
20. ვ. მეღვინაძე, სოციალისტური ეკონომიკის განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1966.
21. Кудрова Е. С., «Статистика национального дохода европейских стран». М., 1968.
22. Гокиел А. М., «О формах товарного обращения при социализме», 1969.
23. მ. დიდიანიძე, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და მისი სრულყოფის საკითხები, თბ., 1972.
24. Олдак М. Г., «Экономические проблемы повышения уровня жизни», М., 1963.

Г. А. КАЛАНДАДЗЕ

МАРКСИСТСКО-ЛЕНИНСКАЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ О КЛАССИФИКАЦИИ ОТРАСЛЕЙ НАРОДНОГО ХОЗЯЙСТВА

Резюме

Одной из основных теоретических предпосылок научного анализа экономических процессов является научно-обоснованная классификация отраслей народного хозяйства.

В вопросах классификации отраслей народного хозяйства и разграничения производственной и непроизводственной сфер деятельности людей в настоящее время существует несколько противоположных толкований.

Классификация отраслей хозяйства, данная в трудах классиков марксизма-ленинизма, разными исследователями толкуется по-разному. Многие упрощают суть вопроса и классификацию отраслей производят по натурально-эмпирическим признакам.

Буржуазные экономисты игнорируют как реальные материальные, так и социально-исторические признаки классификации отраслей и прилагают немало усилий к тому, чтобы стереть грань между деятельностью в производственной и непроизводственной сферах, смешивая отрасли производства со всеми другими видами деятельности людей.

Экономисты и социологи ряда социалистических стран также по-разному подходят к классификации отраслей народного хозяйства.

Надо подчеркнуть, что практически уже давно настоятельно требуется пересмотреть классификацию отраслей народного хозяйства, установить границы между производственной и непроизводственной сферами в соответствии с назначением и функциональной ролью каждой отрасли в системе общественного разделения труда.

По нашему мнению, все отрасли можно разделить на:

А. Отрасли, входящие в сферу экономических отношений.

Б. Отрасли, входящие в сферу надстроечных отношений.

В сфере экономических отношений можно объединить отрасли, входящие собственно в производство, обмен, распределение и потребление.

В надстроечных отношениях можно объединить те отрасли, которые не имеют производственного характера и вырастают на базе экономического строя, являются его продуктом и отражением, что и даёт основание рассматривать их как единую, взаимосвязанную систему, подчиняющуюся некоторым общим законам развития.

Схема, которую мы предлагаем, значительно отличается от ныне существующей. Из сферы материального производства исключены торговля, общественное питание, заготовки, материально-техническое снабжение и сбыт. В то же время в нее включены транспорт и связь в части обслуживания населения.

G. KALANDADZE

MARXIST-LENINIST ECONOMIC THEORY ON THE CLASSIFICATION OF THE BRANCHES OF THE NATIONAL ECONOMY

Summary

A scientifically founded classification of the branches of the national economy is one of the basic theoretical preconditions of a scientific analysis of economic processes.

There exist several contrary opinions on the question of the classification of the branches of the national economy and the differentiation of the productive and nonproductive fields of the activity of the people.

The classification of the branches of the economy given in the works of the classics of Marxism-Leninism is interpreted by investigators in different ways. Many of them simplify the essence of the problem, classifying the branches by natural-empiric signs.

Today there is a high necessity of working out a scientifically well-grounded classification of the branches of the national economy, and of strictly differentiating the productive and nonproductive spheres according to the role and functions of each branch in the system of the social labour division.

The author proposes to divide all the branches of the national economy into the following groups:

- a) Branches dealing with economic relations,
- b) Branches dealing with superstructural relations.

The sphere of economic relations may embrace branches dealing with production, exchange, distribution and consumption as well.

In the sphere of superstructural relations we may unite those branches that are of nonproductive character but are based on the eco-



11700074
2030102

conomic system and are its product and reflection. This gives ground to consider them as an indivisible and interdependant system, defined by certain laws of development.

The scheme suggested by the author essentially differs from the existing one. Trade, material-technical supply, public catering and the state purchases are excluded from the productive sphere. At the same time transport and communications in the field of the public service are included in the productive sphere.

საზოგადოებრივი ნაშრომის ეუკეპრობის ამაღლების პრობლემა

ПРОБЛЕМЫ ПОВЫШЕНИЯ ЭФФЕКТИВНОСТИ ОБЩЕСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

К ВОПРОСУ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЭФФЕКТИВНОСТИ ОБЩЕСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА

И. В. БАКРАДЗЕ

В условиях, когда в сфере общественного производства СССР стоимость основных фондов перешагнула рубеж триллиона рублей (на 1 января 1972 г. стоимость основных фондов составляла 1003 млрд. руб., а производственных основных фондов — 623 млрд. руб.), когда оборотные средства в запасах товароматериальных ценностей в отраслях народного хозяйства превысили 187 млрд. руб., а численность занятых достигает 96 млн. чел. [1 (6, 504, 702)], проблема повышения эффективности общественного производства и использования всех его огромных резервов приобретает исключительное значение. От ее правильного решения в решающей мере зависят темпы роста национального дохода и фонда потребления, а повышение эффективности общественного производства на основе его интенсификации является важнейшей экономической и политической задачей.

Поэтому вполне закономерно, что в качестве одной из важнейших задач экономической науки выдвинута разработка проблемы всемерного повышения экономической эффективности и интенсификации общественного производства.

Задачи повышения эффективности возникают всюду, где ведется производство. Поэтому вполне естественно, что исследования по отдельным вопросам экономической эффективности вообще проводились и в дореволюционной России (например, в области железнодорожного транспорта). Ряд работ был опубликован в начале 30-х годов. Однако нельзя не согласиться с мнением профессора Б. С. Вайнштейна, что создание теории эффективности в ее современной трактовке с широким охватом различных сторон всего общественного хозяйства следует отнести к концу 40-х годов, когда были опубликованы труды академиков С. Г. Струмилина и Т. С. Хачатурова. В настоящее же время теория эффективности общественного производства развивается в различных аспектах и находит отражение в трудах большого числа научных коллективов.

Необходимо отметить, что идея о единстве народного хозяйства и вытекающая из нее идея о народнохозяйственном подходе к критерию эффективности и к определению экономического результата, идея о еди-



стве плана и научно-технического прогресса, сущность которой в современном понимании заключается в том, что прогресс техники не отделим от экономического результата, принадлежит В. И. Ленину.

Дальнейшее свое развитие ленинские идеи получили в программе КПСС, в решениях высших партийных органов. Таковы, например, положения о преимуществах наиболее выгодных и экономичных направлений капитальных вложений, о сокращении сроков окупаемости вложений, пропорциональности развития народного хозяйства и ее комплексности, о роли повышения эффективности социалистического производства в решении главной задачи девятой пятилетки и, наконец, о роли улучшения качественных показателей производств в решении задач десятой пятилетки.

Решение проблемы эффективности социалистического производства имеет первостепенное значение для создания научной системы социализма. В связи с этим достаточно указать на тесную связь этой категории с основным экономическим законом социализма, которая непосредственно выводится из данного закона и представляет собой первую ступень его конкретизации. Поэтому бесспорно, что теория эффективности базируется на политической экономии социализма, широко использует современный математический аппарат и достижения других смежных отраслей экономической науки и со своей стороны оказывает на них сильное влияние.

С точки зрения простых моментов процесса труда и его результатов эффективность производства есть экономическая категория, выражающая соотношение между естественным результатом производства — продуктом и совокупными затратами труда.

Наличие такой общей экономической категории позволяет сопоставлять эффективность производства на разных ступенях общественного развития.

Однако в каждой общественно-экономической формации эффективность производства объективно выступает в особой специфической форме, что обусловлено господствующими в данной формации производственными отношениями. В антагонистических обществах как результат производства (эффект), так и затраты приобретают смысл, существенно отличный от их естественного содержания и находящийся в противоречии с ним. На то обстоятельство, что мерилom эффективности капиталистического производства является норма прибыли, в которой находит конкретизацию граница капиталистического производства, определяемая законом прибавочной стоимости, неоднократно указывал К. Маркс. Он писал, в частности: «Ни один капиталист не применит нового метода производства добровольно, как бы он ни был производителем и как бы он ни повышал норму прибавочной стоимости, если только он уменьшает норму прибыли» [2 (стр. 290)].

Совершенно иное качественное содержание и количественная определенность присущи категории эффективности производства при социализме, исходные моменты для определения которого были сформулированы на XXIV съезде Коммунистической партии Советского Союза. При социализме место присущего капитализму хозяйственного принципа максимального результата (максимальной прибыли) при минимуме затрат лично для предпринимателя, известного уже во времена Адама Смита, занял новый принцип хозяйственного руководства и планирования — принцип достижения в интересах общества наибольших ре-

зультатов при наименьших затратах. Тем самым коренным образом изменилось понятие выгодности производства.

За последнее десятилетие советская экономическая наука решила многие теоретические вопросы этой проблемы, разработала практические рекомендации, оказывающие серьёзную помощь в планировании и руководстве развитием советской экономики. И вместе с тем в этой области осталось ещё много спорных и не решённых до конца вопросов.

Так, принципиальный спор идет по поводу того, можно ли оценку экономической эффективности общественного производства производить при помощи обобщающего показателя или необходимо пользоваться системой показателей.

Критический анализ существующих взглядов показывает, что сущность проблемы оценки эффективности затрат заключается прежде всего в том, чтобы найти обобщающий показатель, так как отсутствие такового исключает возможность получить однозначный ответ об уровне и динамике эффективности производства вообще.

Вместе с тем, для анализа вариантов плана или проекта необходима система взаимосвязанных показателей. Этим и обуславливается тот факт, что в настоящее время для планирования эффективности общественного производства по народному хозяйству в целом и союзным республикам, наряду с такими обобщающими показателями планирования повышения экономической эффективности общественного производства, как темпы роста произведенного национального дохода на душу населения, темпы роста ресурсов потребления в национальном доходе, производство национального дохода на рубль затрат, издержка производства и обращения на рубль общественного продукта, относительная экономия на рубль затрат и общая рентабельность, Госплан СССР [3] рекомендует применять показатели планирования повышения эффективности использования труда, основных фондов, оборотных средств, капитальных вложений и материальных ресурсов. При том, что наличие столь большого числа показателей эффективности общественного производства и позволяет наиболее полно оценить результаты общественного производства, они в известной мере усложняют процесс оценки эффективности хотя бы потому, что трудно взаимосвязать множество показателей. Рассмотрим это на примере взаимосвязи структуры общественного производства и эффективности экономики.

შრომაში მოკლედაა დახასიათებული ქალთა შრომის გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. დასაბუთებულია ქალთა შრომის გამოყენების მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავების აუცილებლობა და მოცემულია მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილების დახასიათება: კერძოდ, განხილულია ის საკითხები, რომლებიც უნდა მოიცვან ქალთა შრომის გამოყენების ეკონომიურმა, სოციალურმა, ფსიქოლოგიურმა, ფიზიოლოგიურმა, ეთნიკურ-ნაციონალურმა და დემოგრაფიულ-საოჯახო, იურიდიულ-ადმინისტრაციულმა და მართვისა და ორგანიზაციის საფუძვლებმა.

V. GURGENIDZE

**ON ONE MAJOR PROBLEM OF THE UTILIZATION OF
WOMEN'S LABOUR**


Summary

The article is devoted to the International Women's Year (1975).

In the first part the present situation of the utilization of women's labour resources both in the USSR and abroad is described.

In the second part recent achievements in science and practice are discussed and the need for working out methodological principles of utilization of women's labour resources is substantiated.

In the third part the methodological principles of utilization of women's labour resources are explained and classified, including social, economic, physiological, psychological, ethnographic, family-demographic, organizational managerial and administrative-juridical problems; each item is described in detail.



შრომის ორგანიზაციის დონის რაოდენობრივი შეფასების საკითხისათვის

ვენერა ბაღრიძე

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამრეწველო საწარმოებში შრომის ორგანიზაციის დონის რაოდენობრივი შეფასების მაჩვენებელთა სისტემის შემუშავებას. თუ სწორად არის შემუშავებული შრომის ორგანიზაციის დონის განმსაზღვრელი მაჩვენებლები, სათანადოდ შესწავლილი და გაანალიზებულია ისინი, მაშინ შეიძლება განისაზღვროს შრომის ორგანიზაციის მიღწეული დონე, მისი პროგრესულობა, ამ ხაზით არსებული ნაკლოვანებანი და დაისახოს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები.


შრომის ორგანიზაციის მიღწეული დონისა და მისი პროგრესულობის შეფასება იმ შემთხვევაშიც უნდა მოხდეს, როდესაც საწარმოში დანერგილი ღონისძიება იწვევს არა მარტო შრომისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, არამედ აუმჯობესებს მხოლოდ შრომის პირობებს, ამცირებს შრომის ნორმალურზე მაღალ ინტენსივობას; მომუშავეთა ზედმეტ და უხერხულ მოძრაობებს და ილეთებს, ზრდის შრომის შინაარსიანობას. ცხადია, რომ შრომის ორგანიზაციის მიღწეული დონის რაოდენობრივი შეფასების მაჩვენებელთა სწორად განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს საკითხები ქვემოთ საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის ავეჯის საწარმოთა მავალითზე იქნება განხილული.

შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრის მაჩვენებელთა სისტემა და თვით მეთოდთა შემდეგ ძირითად პრინციპებს უნდა ემყარებოდეს:

1. იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ ცოცხალი შრომისა და მისი გამოყენების დონის ამსახველი მაჩვენებლების შეფასებას და არა საწარმოს საქმიანობის სხვა მხარეებს, როგორცაა ტექნიკა, ტექნოლოგია, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვა.

2. რაოდენობრივი შეფასების საფუძველს უნდა შეადგენდეს ისეთი კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევადაროთ სხვადასხვა საწარმოო ქვედანაყოფის შრომის ორგანიზაციის დონე, საწარმოს დარგობრივი და უწყებრივი კუთვნილებისა და საკვლევი ობიექტის ტექნიკური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად.

3. შრომის ორგანიზაციის დონის კერძო მაჩვენებლები თავისი შინაარსით ობიექტურად უნდა ასახავდნენ არსებულ ცვლილებებს შრომის ორგანიზაციაში და რეალურად გამოხატავდნენ მოცემული წარმოების ეკონომიურ მაჩვენებლებს.



4. მეთოდთა უნდა ეყრდნობოდეს არსებულ საანგარიშებზე და მათზე დაყრდნობით, რომლებიც შედგენილია მარტივად და გამოსაყენებლად ადვილია.

სამრწველო საწარმოთა მუშაობის პრაქტიკაში შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრისათვის ხშირად სარგებლობენ საერთო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწეული დონით, რაც დაზუსტებას მოითხოვს. თითოეული ასეთი მაჩვენებელი, თუნდაც სინთეზური, დამოკიდებულია მთელ რიგ ტექნიკურ, ორგანიზაციულ და სოციალ-ეკონომიურ ფაქტორებზე. ამიტომ შრომის ორგანიზაციის დონის შეფასებისათვის აუცილებელია სხვადასხვა მაჩვენებლები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდნენ საწარმოო პროცესის განხორციელების დროს ოპერატიულად, აქტიურად ვიმოქმედოთ წარმოების მსვლელობაზე და მივიღოთ ოპტიმალური გადაწყვეტილება.

რიგ შემთხვევაში შრომის ორგანიზაციის მდგომარეობას საწარმოში აფასებენ სამუშაო დროის დანაკარგების სიდიდით, ან გამომუშავების ნორმის შესრულების დონით, ამ მაჩვენებელთა გამოყენება შეიძლება, მაგრამ ისინი სრულად ვერ განსაზღვრავენ შრომის ორგანიზაციის მიღწეულ დონეს. სამუშაო დროის თუნდაც უმნიშვნელო დანაკარგები ყოველთვის როდი მოწმობს, რომ სასარგებლოდ დახარჯული დრო მიზანშეწონილად და სწორად იქნა გამოყენებული. ამ კითხვაზე სრულ პასუხს ვერ გასცემს ვერც გამომუშავების ნორმების შესრულების დონე, რადგან ამ შემთხვევაში, ჯერ ერთი მთლიანად მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს უნდა ვიყენებდეთ და მეორე—ნორმების შესრულებასა და გადაჭარბებაზე შრომის ორგანიზაციის სრულყოფის გარდა სხვა ბევრი ფაქტორიც მოქმედებს.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პირობებში შრომის ორგანიზაციის დონის რაოდენობრივი შეფასების საკითხზე ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგიერთი ეკონომისტი თვლის, რომ შრომის ორგანიზაციის დონის შეფასების კრიტერიუმად გამოყენებული უნდა იქნას საწარმოში გამოყენებული საერთო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. დ. პ. ანდრიანოვის [1] აზრით, შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრისას უნდა გამოვიყენოთ მოგება, რენტაბელობა, რომელიც მიიღება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის შედეგად. რ. მ. პეტუხოვი [2(გვ. 117)] შრომის ორგანიზაციის დონის შეფასებისათვის საწარმოში ახლად შექმნილ ღირებულებას გვთავაზობს.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ წინადადებათა არსი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვროს მოგების, რენტაბელობისა და ახლად შექმნილი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მიიღება შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ორგანიზაციის ოპტიმიზაციის მეთოდი და ზემოაღნიშნული მაჩვენებლების განსაზღვრა სხვადასხვა დარგის საწარმოებისათვის სადღეისოდ ჯერ კიდევ დამუშავებული არაა.

სხვა ეკონომისტთა აზრით (ა. ს. დოვა, ვ. პ. ჩერნის, ვ. ი. სოტჩენკო და სხვები [6]), სინთეზური მაჩვენებლების გამოყენება შრომის ორგანიზაციის ყოველმხრივი შეფასებისათვის საკმარისი არ არის. ისინი თვლიან, რომ შრომის ორგანიზაციის დონე უნდა შეფასდეს ანალიზური მაჩვენებლების ერთობლიობით. ამასთან, ეს მაჩვენებლები შეიძლება გავიანგარიშოთ ერთი კრიტერიუმის, მაგ. სამუშაო დროის საფუძველზე. აღნიშნული პრინციპი საფუძვლად უდევს აგრეთვე შრომის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცე-

მული შრომის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის დონის რაოდენობრივი შეფასების მეთოდურ საფუძვლებს [3]. ამასთან, აუცილებელია აღვნიშნოთ არსებული მეთოდიკების სხვადასხვაობა. ზოგი მათგანი სრულად ვერ ასახავს შრომის ორგანიზაციის დონეს, რადგან იგი მოიცავს აგრეთვე ისეთ მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს სხვადასხვა საქმიანობას.

უკანასკნელ პერიოდში მოწინავე საწარმოებში დაინერგა შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრის რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული მეთოდი. მაგ. ცნობილია რიბინსკის ძრავათმშენებელი ქარხნის, ნიჟნი ტაგილის მეტალურგიული კომბინატის, პერმის ელექტრო-ტექნიკური ქარხნის, მინის მრეწველობისა და სხვა საწარმოთა მეთოდიკები. ასევე ცნობილია გ. მ. კაპლანის [4], პ. პ. ეზერსკის [5], პროფ. რ. პეტუხოვის [1] მეთოდი და სხვ.

აღნიშნული მეთოდიკები და რეკომენდაციები 3 ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ.

1. მეთოდიკები, რომლებიც შრომის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის დონეს კომპლექსურად ახასიათებენ: ასეთ მეთოდიკებს მიეკუთვნება რიბინსკის ძრავათმშენებელი და ურალის მანქანათმშენებელი ქარხნების მეთოდიკები და სხვა.

2. მეთოდიკები, რომლებიც შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მიღწეულ დონეს აფასებენ (პერმის ელექტრო-ტექნიკური ქარხნისა და ნიჟნი ტაგილის მეტალურგიული კომბინატი).

3. მეთოდიკები, რომლებიც შრომის, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის მიღწეულ დონეს ცალ-ცალკე ახასიათებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

ჩვენ მიერ დასახელებული მეთოდიკების დიდი რაოდენობა, რომლებიც სამრეწველო საწარმოებს შრომის ორგანიზაციის დონის ანალიზისა და განსაზღვრისათვის გააჩნიათ, სრულად ვერ პასუხობს მათ წინაშე მდგარ მოთხოვნებს. მეთოდიკებს აქვს ნაკლოვანებები, რაც ამცირებს მათ ეფექტიანობას და პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობას. ეს ნაკლოვანებებია:

1. შრომის ორგანიზაციის მიღწეული დონის დამახასიათებელი საერთო მაჩვენებელი ხშირად საშუალო არითმეტიკული სიდიდით განისაზღვრება. გაანგარიშების ასეთი მეთოდი არ არის ზუსტი, ამ შემთხვევაში სწორი იქნება ინტეგრალური მაჩვენებლების განსაზღვრა.

2. მეთოდიკებში არ არის შრომის ორგანიზაციის დონის დამახასიათებელ მაჩვენებელთა კლასიფიკაცია, რის გამოც ხშირად განმეორებით ხდება გაანგარიშება.

ამ ნაკლოვანებათა დაძლევა შეიძლება შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრის მაჩვენებელთა სისტემის დამუშავების გზით, რომლებიც გაანგარიშებული იქნება ერთგვაროვან ამოსავალ ბაზაზე და რომლის საფუძველს შეადგენს ერთი საერთო კრიტერიუმი.

შრომის ორგანიზაციის დონის შეფასების სირთულე განპირობებულია ფაქტორთა სიმრავლით, რომლებიც განსაზღვრავენ მის შინაარსს. შრომის ორგანიზაციის დონის დეტალური ანალიზი და შეფასება არ შეიძლება მოვახდინოთ საერთო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით. ამიტომ შრომის ორგანიზაციის დონის შეფასება მისი ძირითადი ელემენტების საფუძველზე საშუალო-



ბას მოგვეცემს გამოვყოთ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შრომის ორგანიზაციის დონის ამაღლებას და რაოდენობრივად შევადარებთ შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვებს. ამრიგად, შრომის ორგანიზაციის დონის რაოდენობრივი შეფასებისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

— რაც შეიძლება სრულად ასახოს შრომის ორგანიზაციის არსი და შინა-არსი.

— უზრუნველყოს შრომის ორგანიზაციის დონის შესადარისობა სხვა საწარმოებსა და მის ქვედანაყოფებში.

— საშუალებას იძლეოდეს პერიოდულად შეფასდეს შრომის ორგანიზაციის დონე ყველა საწარმოო უბანზე, დაწყებული სამუშაო ადგილიდან დამთავრებული საწარმოთი.

— ახსიათებდეს შრომის ორგანიზაციის ელემენტების შესაბამისობას წარმოების ტექნოლოგიურ დონესთან.


— საშუალებას იძლეოდეს დაგვეგმოს შრომის ორგანიზაციის დონე განსაზღვრულ კალენდარულ პერიოდში.

— განსაზღვროს შრომის ორგანიზაციის დონის ცვლილების გავლენა საწარმოო საქმიანობის შედეგებზე.

იმისათვის, რომ სწორად დავასახიათოთ შრომის ორგანიზაციის ცალკეული მიმართულება — აუცილებელია დავაზუსტოთ ზოგიერთი ფორმულა, რომელიც გამოიყენება პრაქტიკაში კერძო კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის. ასე მაგ.: სამუშაო ადგილის ორგანიზაციის მდგომარეობის შეფასებისათვის შრომის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეთოდულში გამოიყენება ფორმულა, რომლის მრიცხველშიც მოცემულია ტიპური პროექტის შესაბამისი სამუშაო ადგილების რაოდენობა, ხოლო მნიშვნელში — სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობა. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს სამუშაო ადგილის სრულყოფის ხარისხს. მოცემულ ფორმულას აქვს ზოგიერთი ნაკლი. არსებულ საწარმოებში სამუშაო ადგილების დიდი რაოდენობის სრულყოფა ერთდროულად და ერთნაირი ზომით არ ხდება. შეიძლება მოხდეს ისიც, რომ დიდი ხნის განმავლობაში ტიპურ პროექტს ისინი შეესაბამებოდნენ მხოლოდ 90%-ით, რაც დიდი სამუშაოების ჩატარების შედეგად იქნა მიღწეული. ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლის განსაზღვრისას კი ასეთი სამუშაო ადგილი არ ჩაითვლება ტიპურად, ე. ი. გატარებული დონისძიებები ვერ პოვებენ თავის გამოხატულებას ფორმულაში. ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა განისაზღვროს ყველა სამუშაო ადგილის ორგანიზაციის დონე და შემდეგ გამოვიყენოთ საშუალო შეწონილი სადიდე მიღებული კოეფიციენტების მიხედვით. მაგალითად, საექსპერტო წესით ოთხი სამუშაო ადგილი შეესაბამება ტიპურ პროექტს, სამი — 90% (0,9), ორი — 70% (0,7), ერთი — 50% (0,5). თუ სამუშაო ადგილის ორგანიზაციის დონეს განვსაზღვრავთ ფორმულით:

$$K_{ს.ა.} = \frac{N_{ტ.ი.} \cdot 100}{N_{ს.ა.გ.}}, \text{ სადაც}$$

$K_{ს.ა.}$ სამუშაო ადგილების ორგანიზაციის კოეფიციენტი,



$N_{\text{ბი.}}$ — ტიპური პროექტის შესაბამის სამუშაო ადგილთა რაოდენობა.

$N_{\text{ს.ა.გ.}}$ — სამუშაო ადგილების რაოდენობა სულ.

მაშინ იგი ტოლი იქნება 0,4 (4:10), ხოლო ცალკეული სამუშაო ადგილის ორგანიზაციის დონის განსაზღვრის შედეგად მივიღებთ:

$$K_{\text{ს.ა.გ.}} = \frac{4 \cdot 10 + 3 \cdot 0,9 + 2 \cdot 0,7 + 1 \cdot 0,5}{10} = \frac{8,6}{10} = 0,86$$

მოცემულ მაგალითში $K_{\text{ს.ა.გ.}}$ შედარებით ზუსტად ახასიათებს სამუშაო ადგილის ორგანიზაციის სრულყოფის ხარისხს უბანზე, საამქროსა და საწარმოში მთლიანად. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე შრომის ორგანიზაციის დონის შეფასების საერთო კოეფიციენტი:

$$D_{\text{შ.ბ.}} = \sqrt[n]{k_1 \cdot k_2 \cdot k_3 \dots k_n} \quad [3]$$

ამ ფორმულაში შემავალი კომპონენტებიდან ერთნი გაიანგარიშებიან სამუშაო დროის საფუძველზე (შრომის დანაწილების, იღებებისა და მეთოდების რაციონალურობის, შრომის დისციპლინის დონე), მეორენი — ნორმატიული მონაცემების საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მაჩვენებელთა გაანგარიშებაში მონაწილეობენ არაშესადარისი მონაცემები. ამიტომ აუცილებელია გაანგარიშებულ იქნას თითოეული ჯგუფის მაჩვენებლები, რისთვისაც შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

$$D_{\text{გ.}} (D_{\text{ნორ.}} = 1 - \frac{\sum (1-k)}{n}, \quad \text{სადაც}$$

$D_{\text{გ.}}$ — სამუშაო დროის საფუძველზე გაანგარიშებული შრომის ორგანიზაციის დონის მაჩვენებელია.

$D_{\text{ნორ.}}$ — ნორმატიული მასალების საფუძველზე გაანგარიშებული მაჩვენებელი.

K — შრომის ორგანიზაციის კერძო კოეფიციენტი.


n — კერძო კოეფიციენტების რაოდენობა, რომელთა საფუძველზეც გაიანგარიშება შრომის ორგანიზაციის დონე.

შრომის ორგანიზაციის საერთო დონე გაიანგარიშება ფორმულით:

$$D_{\text{შ.ბ.}} = D_{\text{გ.}} \cdot D_{\text{ნორ.}}$$

მართალია ამ ორი მეთოდით განსაზღვრულ შრომის ორგანიზაციის დონის მნიშვნელობებს შორის დიდი სხვაობა არ არის, მაგრამ ჩვენი აზრით, მეორე მეთოდი უფრო სწორად ასახავს მოვლენის არსს.

ქვემოთ მოგვყავს ის მაჩვენებლები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრისათვის ავეჯის წარმოებაში. ეს მაჩვენებლები აკმაყოფილებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს. მაჩვენებელთა სისტემის საფუძველად აღებულია შრომის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით შრომის ორგანიზაციის დონე ფასდება ექვსი ძირითადი კოეფიციენტის გაანგარიშებით. მეთოდოლოგია



ჩვენ მიერ დაზუსტებულია ავეჯის წარმოებისათვის და მოიცავს რეკომენდებულს, ეს მაჩვენებლებია (კოეფიციენტები):

1. შრომის დანაწილების;
2. შრომის ილეთების რაციონალურობის;
3. სამუშაო ადგილის ორგანიზაციის;
4. სამუშაო ადგილების მომსახურების,
5. შრომის ნორმირების;
6. შრომის დისციპლინის;
7. მუშების კვალიფიკაციის გამოყენების;
8. შრომის პირობების;

ამ კერძო კოეფიციენტების საფუძველზე გაიანგარიშება შრომის ორგანიზაციის დონის განმსაზღვრელი საერთო მაჩვენებელი.

განსხვავება ზემოთ ჩამოთვლილ და შრომის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ მაჩვენებლებს შორის მდგომარეობს შემდეგში:

1. კოეფიციენტები, ნაცვლად სამუშაო დროის გეგმური ფონდისა, გავიანგარიშეთ ფაქტიურად დახარჯული სამუშაო დროის საფუძველზე.
2. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, განსხვავებულად არის გამოთვლილი სამუშაო ადგილების ორგანიზაციისა და შრომის ორგანიზაციის დონის განმსაზღვრელი საერთო კოეფიციენტი.
3. დამატებით გავიანგარიშეთ სამუშაო ადგილების მომსახურების კოეფიციენტი.

ავეჯის წარმოებაში შრომის ორგანიზაციის დონის განმსაზღვრელი მაჩვენებლები გაიანგარიშება შემდეგნაირად:

1. შრომის დანაწილების კოეფიციენტი (K_{Σ})

$$K_{\Sigma} = 1 - \frac{\sum t_{\text{ა.ს}}}{T_{\Sigma} \cdot n}, \quad \text{სადაც}$$

K_{Σ} — შრომის დანაწილების კოეფიციენტი,

$K_{\text{ა.ს}}$ — არადამახასიათებელ სამუშაოთა შესრულების დროა ცვლის განმავლობაში (წთ);

T_{Σ} — ფაქტიურად ნამუშევარი დრო,

n — მუშების რაოდენობა (კაცი).

უნდა აღინიშნოს, რომ ავეჯის სერიული წარმოების პირობებში სამუშაო დღის სრულად დატვირთვის მიზნით, ძირითადად მუშამ შეიძლება შეასრულოს დამატებითი ოპერაცია ან ფუნქცია, მაგ., მუშამ შეიძლება შეასრულოს დაზვის გამართვის, გადართვის ან მცირე რემონტის შესასრულებელი ფუნქცია. იგი კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული უნდა იყოს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კომპლექსური ტექნოლოგიის რუკაში.

2. შრომის ილეთების რაციონალურობის კოეფიციენტი ($K_{\text{ი.რ.}}$) განისაზღვრება ფორმულით:

$$K_{\text{ი.რ.}} = 1 - \frac{\sum (t_{\text{ა.ა.}} - t_{\text{ა.ს.}}) \cdot a}{T_{\Sigma} \cdot n}, \quad \text{სადაც}$$

$K_{იღ}$ — შრომის იღეთების რაციონალურობის კოეფიციენტი,

$t_{საშ}$ — ოპერაციის ან სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროის საშუალო დანახარჯება (წთ),

$t_{პ}$ — პროგრესული ნორმებით ან მოწინავე მუშის მიერ იღეთის შესრულებაზე დროის დანახარჯი.

Q — ცვლაში შესრულებული სამუშაოს მოცულობა ერთეულში (ცალი, ტონა და ა. შ.),

$T_{ფ}$ და n — იგივეა, რაც წინა ფორმულაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრის დროს აუცილებელია ანალიზი გავუყეთოთ სამუშაო ადგილების დაგეგმარებას და აღჭურვას, რაც შეიძლება მივალწიოთ არსებული სამუშაო ადგილების შედარებით ტიპურ პროექტთან. სამუშაო ადგილების ორგანიზაციის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით:

$$K_{გს.ად.} = \frac{\sum N_{ტ.ს.ა.} \cdot K_{ტის}}{N_{ს.ად.6}}, \text{ სადაც}$$

$K_{ტის}$ — სამუშაო ადგილის ტიპური პროექტისადმი შესაბამისობის კოეფიციენტი.

$N_{ტ.ს.ა.}$ და $N_{ს.ად.6}$ — იგივეა, რაც ზემოთ განხილულ ფორმულაში.

ცნობილია, რომ შრომითი იღეთების რაციონალურობის კოეფიციენტი ახასიათებს არა მარტო შრომის იღეთებს, არამედ აგრეთვე გარკვეული ხარისხით — სამუშაო ადგილის დაგეგმარებას და აღჭურვას. ამიტომ ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს ამ ორი კოეფიციენტის ურთიერთკავშირში შესწავლის საფუძველზე.

აღნიშნულ კოეფიციენტებთან ერთად ავეჯის წარმოებაში მიზანშეწონილია განვსაზღვროთ სამუშაო ადგილების მომსახურების კოეფიციენტი ($K_{მოშ.}$)

$$4) \quad K_{მოშ.} = 1 - \frac{\sum t_{მოშ.}}{T_{ფ} \cdot n}, \text{ სადაც}$$

$t_{მოშ.}$ — მომსახურებაზე დახარჯული სამუშაო დრო.

სამუშაო ადგილების მომსახურების მაჩვენებელს მაქსიმალური მნიშვნელობა ექნება იმ შემთხვევაში, თუ შიდაცვლის მოცდენები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ეს მიიღწევა რეგლამენტებული მომსახურების მეთოდის დანერგვით, შიდასამქრო კავშირების ეფექტური ფორმების გამოყენებით, ინსტრუმენტების მარაგის უზრუნველყოფით და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ავეჯის წარმოებაში შრომის ორგანიზაციის ნაკლოვანებები ძირითადად გამოწვეულია სამუშაო ადგილების მომსახურების არასწორი ორგანიზაციით.

5) შრომის ნორმირების კოეფიციენტი

$$K_{ა.გ} = \frac{r_{ნორმ.}}{r_{ა.ნ}} \cdot K_{ნ.დამ.} \quad K_{ნ.დამ.} = I_1 K_{გ6.5} + I_2 K_{ა.5.}$$

$r_{ნორმ.}$ — მუშათა რაოდენობა, რომელთა შრომაც ინორმება.

$r_{ა.გ.}$ — მუშათა საერთო რაოდენობა,

$K_{ნ.დამ.}$ — ნორმის დაძაბულობის კოეფიციენტი,



I_1 და I_2 — სანარდო და დროით ანაზღაურებაზე მყოფი მუშების წევრები
 თი წონა მუშების მთლიან რიცხვში.

$K_{გ6.5}$ და $K_{ა.5}$ — შესაბამისად დროისა და მომსახურების ნორმის დაძა-
 ბულობის კოეფიციენტი.

$$K_{გ6.5} = \frac{100}{100 + q'}, \quad K_{ა.5} = \frac{100}{100 + q''}$$

q' — მენარდე მუშების მიერ გამომუშავების ნორმის გადაჭარბებით შეს-
 რულების პროცენტი.

q'' — მომსახურების ნორმის გადაჭარბებით შესრულების პროცენტი.

(6) შრომის დისციპლინის კოეფიციენტი.

$$K_{გაგ.} = \left(1 - \frac{\Sigma_{ა.ა.}}{T_{გ.} \cdot n_1} \right) \left(1 - \frac{\Sigma_{დგ.}}{T_{გ.} \cdot n_2} \right),$$

$\Sigma_{ა.ა.}$ — მუშის მიზეზით გამოწვეული შიდაცვლის მოცდენები.

$\Sigma_{დგ.}$ — სამუშაო დროის მთელდღიური დანაკარგები, გამოწვეული შრომის
 დისციპლინის დარღვევით.

იმის გამო, რომ ავეჯის საწარმოთა მუშაობის პრაქტიკაში არის შემთხვევე-
 ბი, როდესაც მუშები მუშაობენ არა მათი კვალიფიკაციის შესაბამისად, მიზან-
 შეწონილია ამ მხარეს მივაქციოთ ყურადღება. ამისათვის უნდა განვსაზღვროთ
 კვალიფიკაციის მიხედვით მუშების გამოყენების კოეფიციენტი:

7)
$$K_{733გ} = \frac{R_{გშგ}}{R_{საგ}}, \quad \text{სადაც}$$

$R_{გშგ}$ — მუშის საშუალო კვალიფიკაციის თანრიგია,

$R_{საგ}$ — სამუშაოს საშუალო თანრიგია.

შრომის ორგანიზაციის დონის შეფასებისას აუცილებელია შრომის პირო-
 ბების შესწავლა. აქ ისეთი ფაქტორები იგულისხმება, როგორცაა: ტემპერატუ-
 რული პირობების დაცვა, სამუშაო ადგილების რაციონალური განათების უზ-
 რუნველყოფა, საწარმოო ხმაურისა და ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცირება,
 მოწყობილობა-სამარჯვებზე რაციონალური შეფერილობა და სხვა. დასახელე-
 ბული ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მუშის ფსიქოფიზიოლოგი-
 ურ მდგომარეობაზე და მის შრომის ნაყოფიერების დონეზე. აღნიშნული ფაქ-
 ტორები შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$A = \frac{D_6}{D_გ}, \quad \text{ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც}$$

$$D_გ < D_6, \quad \text{მაშინ } A = \frac{D_გ}{D_6}, \quad \text{სადაც}$$

D_6 და $D_გ$ — შრომის პირობების ფაქტიური და ნორმალური მნიშვნელო-
 ბებია. შრომის პირობების კოეფიციენტი

$$K_{გაგ.3} = \frac{A_1 \cdot n + A_2 \cdot n + A_3 \cdot n + A_n \cdot n}{n + n + n + \dots + n}$$

$A_1 A_2 A_3 \dots A_n$ შესაბამისად ფაქტორების მნიშვნელობებია.

შრომის ორგანიზაციის საერთო დონე უბანზე, საამქროსა და მთლიანად საწარმოში შეიძლება განვსაზღვროთ ფორმულით:

$$D_{\text{გრ}} (D_{\text{ნორ}}) = 1 - \frac{\sum (1 - K)}{n}$$

ფორმულაში მოცემული ინდექსების მნიშვნელობები მოცემულია ზემოთ.

შრომის ორგანიზაციის მდგომარეობის ანალიზის დამამთავრებელი ეტაპია შრომის ორგანიზაციის სრულყოფის საფუძველზე შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრა.

შრომის ორგანიზაციის სრულყოფის გავლენა შრომის ნაყოფიერებაზე განისაზღვრება ცალკეული კოეფიციენტების მიხედვით, იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხასიათისაა შრომის ორგანიზაციის დონის შეფასების კრიტერიუმი, გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. იმ შემთხვევაში, როდესაც შრომის ორგანიზაციის დონე სამუშაო დროის საფუძველზე განისაზღვრება, შრომის ნაყოფიერების ზრდის გასაანგარიშებლად შეიძლება გამოვიყენოთ ფორმულა:

$$P = (K_{\text{ფ}} - K_{\text{სა}}) \cdot 100, \text{ სადაც}$$

$K_{\text{ფ}}$ — შრომის ორგანიზაციის ცალკეული ელემენტის ფაქტიური კოეფიციენტი,

$K_{\text{სა}}$ — იგივე მაჩვენებელი საბაზისო პერიოდში.

შრომის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისა და ჩვენ მიერ დაზუსტებული მეთოდიკით განვსაზღვრეთ შრომის ორგანიზაციის დონე თბილისის ავეჯის კომბინატ „განთიადის“ № 2 ამწყობ საამქროში (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

შრომის ორგანიზაციის მაჩვენებლების სრულყოფა ავეჯის კომბინატ „განთიადის“ № 2 საამქროში

№	მაჩვენებლები	კოეფიციენტის მნიშვნელობები 1973 წლის III კვარტალში გაანგარიშებული		კოეფიციენტების მნიშვნელობები 1974 წლის III კვარტალში, ჩვენ მიერ დაზუსტებული მეთოდით გაანგარიშებული	შრომის ნაყოფიერების ზრდა %-ში
		შრომის საკ. სამეცნ. კვ. ინსტიტუტის მეთოდით	ჩვენ მიერ დაზუსტებული მეთოდით		
1	$K_{\text{შვ.ე}}$	0,968	0,895	0,904	0,9
2	$K_{\text{იღ}}$	0,935	0,913	0,913	0
3	$K_{\text{ს.აღ}}$	0,871	0,766	0,766	0
4	$K_{\text{მომს.}}$	—	0,833	0,843	1,0
5	$K_{\text{შ.ფ.}}$	0,725	0,725	0,756	3,1
6	$K_{\text{შ.ე.}}$	0,825	0,721	0,753	3,2
7	$K_{\text{კვლ.}}$	0,935	0,935	0,935	0
8	$K_{\text{შ.პ.}}$	0,772	0,772	0,777	0,5
	$D_{\text{შვ.ორ.}}$	0,870	0,742	0,829	8,7

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1973 წლის III კვარტალის მონაცემების მიხედვით, შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრელი როგორც საერთო, ისე კერ-



ძო კოეფიციენტები სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებისას განსხვავებულ შედეგებს იძენენ. მაგალითად, შრომის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეთოდით გაანგარიშებული შრომის დანაწილების, შრომის ილეთების რაციონალურობისა და შრომის დისციპლინის კოეფიციენტები უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ მიერ დაზუსტებული მეთოდით გაანგარიშებისას, რაც გამოწვეულია იმით, რომ მეორე მეთოდით გაანგარიშებულ კოეფიციენტებს საფუძვლად უდევს სამუშაო დროის ფაქტიური დანახარჯები, რაც ხშირ შემთხვევაში სამუშაო დროის გეგმურ ფონდზე ნაკლებია.

რაც შეეხება სამუშაო ადგილების ორგანიზაციის კოეფიციენტს, მეორე შემთხვევაში უფრო ნაკლებია. პირველი მეთოდით გაანგარიშებისას ტიპურ სამუშაო ადგილებად აღებულია მხოლოდ ისეთი სამუშაო ადგილები, რომლებიც მთლიანად შეესაბამებიან ტიპურ პროექტს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ტიპური სამუშაო ადგილები გაანგარიშებულია ტიპურ პროექტთან მიახლოების დონის მიხედვით საშუალო შეწონილის წესით, რაც ზრდის სამუშაო ადგილის ორგანიზაციის კოეფიციენტს.

ჩვენი აზრით, დაზუსტებული მაჩვენებლებით განსაზღვრული შრომის ორგანიზაციის დონის კოეფიციენტი შრომის ორგანიზაციის ფაქტიურ მდგომარეობასთან უფრო ახლო დგას, ვიდრე პირველ შემთხვევაში. რაც შეეხება შრომის ორგანიზაციის საგვემო მაჩვენებლის განსაზღვრას, კერძო კოეფიციენტების გაანგარიშება უნდა ემყარებოდეს სამუშაო დროის გეგმურ ფონდს.

აღნიშნული მეთოდით შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრისას ნათლად ჩანს, თუ რომელი მიმართულების სრულყოფაა საჭირო შრომის ორგანიზაციის დონის ამაღლებისათვის. ამავე დროს, შეგვიძლია შრომის ორგანიზაციის დონე გავიანგარიშოთ როგორც საანგარიშო ისე საგვემო პერიოდისათვის და შრომის ორგანიზაციის დონისძიებათა რეალიზაციის საფუძველზე დავეგეგმოთ შრომის ნაყოფიერების ზრდა.

ამრიგად, შრომის ორგანიზაციის დონის ანალიზისათვის საჭიროა მონაცემები გვექონდეს გასულ წლებში შრომის ორგანიზაციის დონის შესახებ, რომელთა შედარება მიმდინარე წლის ფაქტიურ მონაცემებთან მოგვცემს ანალიზის საშუალებას, გამოვარკვევთ შრომის ორგანიზაციის დონის შემცირებაზე ან ზრდაზე მოქმედ ფაქტორებს, რის შედეგად შეგვიძლია დავსახოთ დონისძიებანი მისი სრულყოფისათვის. სამწუხაროდ, საქართველოს სსრ ავეჯის წარმოებაში შრომის ორგანიზაციის დონის განსაზღვრა მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებით არ ჩატარებულა. ამიტომ, სასურველია, ყოველი წლის გარკვეულ პერიოდში სამრეწველო საწარმოებში ტარებოდეს შრომის ორგანიზაციის დონის რაოდენობრივი შეფასება და თავისი გამოსატყულება ჰპოვოს სათანადო ანგარიშების ფორმაში (ფორმა № 19).

სოციალისტური მრეწველობის,
სოფლის მეურნეობისა და
შრომის ეკონომიკის კათედრა

ЛИТЕРАТУРА

1. Андрианов Д. П., Определения уровня и эффективности мероприятий НОТ, Л., 1969.
2. Петухов Р. М., Как оценивать уровень организации труда, журн. Социалистический труд, 1967, № 1, стр. 117.
3. НИИ труда, Методические основы количественной оценки уровня организации труда, производства и управления на предприятии, издание третье, М., 1973.
4. Каплан Г., Количественная оценка уровня организации рабочих мест, журн. Социалистический труд, 1968. № 5.
5. Езерский П. П., Анализ и оценка уровня организации труда на предприятии, М., 1968.
6. Довба А., Черных В., Показатели уровня организации труда, журн. Социалистический труд, 1967, № 4.

В. Г. БАДРИДЗЕ

К ВОПРОСУ КОЛИЧЕСТВЕННОЙ ОЦЕНКИ УРОВНЯ ОРГАНИЗАЦИИ ТРУДА

Резюме

В статье рассматриваются значение и необходимость количественной оценки уровня организации труда для повышения его производительности. На основе анализа методик ряда научно-исследовательских институтов и отдельных авторов делается вывод о необходимости дальнейшего совершенствования системы показателей оценки уровня НОТ.

В статье рекомендуется система показателей количественной оценки уровня организации труда, разработанная автором для мебельного производства. В основу этой системы показателей легла методика Всесоюзного научно-исследовательского института труда. Указанная методика автором уточнена для мебельного производства, она включает в себя расчет следующих показателей: коэффициентов разделения труда, рациональности приемов труда, организации рабочих мест, обслуживания рабочих мест, нормирования труда, использования рабочих по квалификации и коэффициентов условий труда.

Разработанная методика автором практически применена на Тбилиском мебельном комбинате «Гантиади».

V. BADRIDZE

ON THE QUANTITATIVE ESTIMATION OF THE LEVEL OF LABOUR ORGANIZATION

Summary


The article emphasizes the importance and necessity of a quantitative estimation of the level of labour organization with a view to raising its productivity. On the basis of an analysis of methodological instructions worked out by a number of scientific research institutes and authors the necessity of a further improvement of the indices of quantitative estimation of the level of labour is proved.



On the basis of the methodical instructions worked out by the Labour Research Institute of the USSR the author suggests the following indices for the level of the labour organization estimation in the furniture industry: coefficients of the division of labour, rationality of the work-methods, organization of working places, servicing of the working place, labour rating, labour discipline, utilization of workers according to their qualification and coefficients of working conditions.

This method has been applied by the author at the Tbilisi furniture combine Gantiadi.

16.09.57
08.02.1953



არასაწარმოო სფეროს პრობლემები

ПРОБЛЕМЫ НЕПРОИЗВОДСТВЕННОЙ СФЕРЫ

არასაწარმოო* სფეროს განვითარების ტენდენციის შესახებ

როგობა ასათიანი

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასაწარმოო სფეროს განვითარებას. იგი უშუალო კავშირშია ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებასთან (ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, თავისუფალი დროის ორგანიზაცია და ა. შ.), არასაწარმოო სფეროს გაფართოების სწრაფი ტემპი ნაკარნახევია როგორც საწარმოო ძალების განვითარების ობიექტური აუცილებლობით, ისე სოციალისტური წარმოების მიზნითა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნათა სისტემით.

არასაწარმოო სფეროს კანონზომიერებათა შესწავლის გარეშე გაურკვეველი დარჩებოდა ეკონომიური კანონების მოქმედების მექანიზმის ბევრი მხარე.

რას წარმოადგენს არასაწარმოო სფერო, რით აიხსნება მისი ესოდენ დიდი მნიშვნელობა, რა სოციალური და ეკონომიური პროცესები განაპირობებს მის სწრაფ განვითარებას — აი ის საკითხები, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევს ეკონომიურ მეცნიერებაში.

ბევრი პრობლემა, რომლებიც არასაწარმოო სფეროს ეხება, სადისკუსიოა. ძნელია დავასახელოთ ეკონომიური კვლევის სხვა საგანი, რომლის შესწავლისას წარმოიშობოდეს აზრთა ისეთი დიდი სხვადასხვაობა, როგორც ამას ადგილი აქვს არასაწარმოო სფეროში შრომისა და საწარმოო და არასაწარმოო სფეროს თანაფარდობის საკითხის განხილვისას.

რადგან მატერიალური წარმოების სფერო საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელია, მეცნიერ-ეკონომისტთა მთავარი ყურადღება, ბუნებრივია, მიპყრობილია ამ სფეროში დამყარებულ ეკონომიურ ურთიერთობებზე. მაგრამ ეს როდღი ნიშნავს არასაწარმოო სფეროს მნიშვნელობის შემცირებას. საწარმოო და არასაწარმოო სფერო იარგანულ კავშირშია და ამ უკანასკნელის განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა ხელს უწყობს საწარმოო სფეროს განვითარებას.

საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფერო არ იყო გზიკვეთილი და, რა თქმა უნდა, არ გა-

* ტერმინებს „საწარმოო“ და „არასაწარმოო“ ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ტერმინებს „წარმოებითი“ და „არაწარმოებითი“. ავტორი თავის სხვა შრომებში იყენებს ამ უკანასკნელთ.



ნიხილებოდა მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროს^{საწარმოო} წარმოების, ამ სფეროებს შორის შრომის დანაწილების საკითხი და ა. შ. მხოლოდ საწარმოო ძალების განვითარების შედეგებით მაღალ საფეხურზე, ზედმეტი პროდუქტის წარმოშობასთან ერთად, დაიწყო არასაწარმოო სფეროს გამოყოფის პროცესი მატერიალური წარმოების სფეროსაგან. კ. მარქსი ამ პროცესს განიხილავს ინდოეთის თემის მაგალითზე. მოსახლეობის ძირითადი მასიდან, რომელიც დასაქმებული იყო მატერიალური დოვლათის წარმოებით, გამოიყო „მამასახლისი“, რომელიც ერთსა და იმავე დროს მოსამართლეც არის, პოლიციელიც და გადასახადის ამკრეფიც; ბუღალტერი, რომელიც მიწათმოქმედების ანგარიშს აწარმოებს და კადასტრსა და რეგისტრში შეაქვს ყველაფერი ის, რაც ამას შეეხება; მესამე მოხელე, რომელიც ბოროტმოქმედთ დევნის და მფარველობას უწევს უცხოელ მოვზაურებს და მათ ერთი სოფლიდან მეორემდე მიაცილებს; მესაზღვრე, რომელიც თემის საზღვრებს დარაჯობს და იცავს მეზობელი თემების ხელყოფისაგან; წყალსატევის მეთვალყურე, რომელიც საერთო აუზიდან წყალს ანაწილებს სამიწათმოქმედო მიზნებისათვის; ბრამინი, რომელიც რელიგიური კულტის ფუნქციებს ასრულებს; მასწავლებელი, რომელიც თემის ბავშვებს ქვიშაზე წერა-კითხვას ასწავლის...“ [1(გვ. 454)]. თემის არსებობის მატერიალურ საფუძველს საწარმოო სფეროს მუშაკები ქმნიდნენ, რომელთა შრომითი საქმიანობა მიმართული იყო ბუნების საგნების გარდაქმნისაკენ. თემის დანარჩენი წევრების შრომითი საქმიანობა წარმოების გარეთ მიმდინარეობდა. აქ უკვე მკვეთრად იმიჯნება მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფერო.

არასაწარმოო სფეროს წარმოშობისა და განვითარების განმსაზღვრელი ეკონომიური საფუძველია შრომის ნაყოფიერების ზრდა, რომელმაც განაპირობა ზედმეტი პროდუქტის წარმოქმნა და გადიდება. კ. მარქსის მიერ „კაპიტალის“ I ტომში მოყვანილი ინდოეთის თემის მაგალითი ამის დადასტურებაა. ინდოეთის თემის იმ მუშაკთა შრომა, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ მატერიალური წარმოების სფეროში, ქმნიდა პროდუქტის იმ რაოდენობას, რომელიც უზრუნველყოფდა არა მხოლოდ უშუალო მწარმოებლებს, არამედ არასაწარმოო სფეროში დასაქმებულებსაც. ამ პირობის გარეშე თემის ყველა წევრი იძულებული იქნებოდა ეწარმოებინა მხოლოდ სასიცოცხლო საშუალებანი.

საკუთრივ რა დარგები მიეკუთვნება მატერიალურ წარმოებას და რა დარგები—არასაწარმოო სფეროს?

საწარმოო და არასაწარმოო სფეროს გამოიჯნის საკითხზე საბჭოთა ეკონომიურ ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია ძირითადად სამი კონცეფცია ჩამოყალიბდა. ეკონომისტებს შორის, სხვა საკითხებთან ერთად, დავის მთავარი ობიექტია ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, კერძოდ ის, თუ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის რა ნაწილი მიაკუთვნონ საწარმოო სფეროს და რა ნაწილი — არასაწარმოოს.

პირველი კონცეფციის მიხედვით, მატერიალური წარმოების სფეროს (მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მატერიალური წარმოების სხვა დარგებთან ერთად) სატვირთო ტრანსპორტი და საწარმოო ხასიათის კავშირგაბმულობა მიეკუთვნება, არასაწარმოო სფეროში კი შედის სამკვანძო ტრანსპორტი და არასაწარმოო ხასიათის კავშირგაბმულობა: ასე მიჯნავს; მაგალითად სსრ კავ-

შორის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 1927 წლის მარტის მთლიანი მშპ-ის მნიშვნელობა 1926 წლის მარტის მთლიანი მშპ-ის მნიშვნელობის 100,5 პროცენტს შეადგენდა.

მეორე კონცეფციის თანახმად, ყველა სახის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა ეკუთვნის მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროს. ამ თვალსაზრისს იცავს ცნობილი საბჭოთა ეკონომისტი ი. კრონროდი. იგი წერს: როგორც სატიერთო, ისე სამგზავრო ტრანსპორტი განეკუთვნება მატერიალური წარმოების სფეროს; მათ ისე, როგორც მატერიალური წარმოების სხვა დარგებს, აქვთ შრომის საგანი, ხოლო გადატანილი ტვირთი არ წარმოადგენს სატრანსპორტო პროცესის შრომის ერთადერთ საგანს [2(გვ. 67)]. ამ საკითხის მიმართ მსგავსი პოზიცია უჭირავს ა. კუზნეცოვსაც [3(გვ. 33)].

მესამე თვალსაზრისით, რომლის ავტორიტეტული წარმომადგენელია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მატერიალური წარმოების სფეროში შედის წარმოების მხოლოდ ის დარგები, რომლებშიც უშუალოდ იქმნება ღირებულება ნატურალურ-ნივთობრივი სახით. ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებული დარგთა კლასიფიკაციის მიხედვით, ყველა სახეობის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა არასაწარმოო სფეროს მიეკუთვნება.

მარქსისტული მოძღვრებიდან გამომდინარე, სატიერთო ტრანსპორტი და საწარმოო ხასიათის კავშირგაბმულობა წარმოების შემადგენელი ციკლებია, რომელთა სასარგებლო ეფექტი ღირებულების სახით გადაეცემა ახლად შექმნილ პროდუქციას; სამგზავრო ტრანსპორტის ეფექტი კი გამოიყენება მხოლოდ პირადი მომსახურებისათვის. ამას ნათლად ადასტურებს კ. მარქსის მიერ ჩამოყალიბებული დებულება: „როცა ლაპარაკია ადამიანთა გადაყვანაზე, ეს ადგილცვლა მხოლოდ მომსახურების მიხედვით და მის გამყიდველებს შორის ურთიერთობას ისევე ცოტა საერთო აქვს მწარმოებელი მუშების კაპიტალისადმი დამოკიდებულებასთან, როგორც ნართის გამყიდველსა და მის მყიდველებს შორის არსებულ დამოკიდებულებას“ [4(გვ. 506—507)].

ვ. ი. ლენინი საქონელმომოქცევაში დახარჯულ შრომას ნახევრად მწარმოებულ შრომას უწოდებს, რადგან ამ სფეროში იხარჯება როგორც მწარმოებლური, ისე არამწარმოებლური შრომა. ამჟამად ვაჭრობაში წარმოების პროცესის გაგრძელებას ემსახურება ამ დარგში დასაქმებულთა დახლოებით 30 პროცენტი, საზოგადოებრივ კვებაში — 36 პროცენტი; დანარჩენი კი დასაქმებულია საქონლის რეალიზაციითა და მომსახურებით, ე. ი. უშუალოდ საქონლის ფორმის ცვლით. ამის გამო, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ხელალებით მატერიალური წარმოების სფეროსადმი მიკუთვნება მეცნიერულად დაუსაბუთებელია, რადგან ეს დარგები მოიცავენ როგორც საწარმოო ისე არასაწარმოო ფუნქციებს. აქედან გამომდინარე, სტატისტიკური ორგანოების მიერ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა განაწილება საწარმოო და არასაწარმოო სფეროს მიხედვით, არაზუსტია, არ შეესაბამება მათი შრომითი მოღვაწეობის კონკრეტულ შედეგებს.

პროფ. მ. სონინის აზრით, საზოგადოებრივ შრომაში დასაქმებული მოსახლეობის საერთო რაოდენობა მიზანშეწონილია დაიყოს არა მხოლოდ მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროდ, არამედ შემდეგ სამ ჯგუფად: პირველი, უშუალოდ მატერიალური წარმოების სფერო, სადაც შევა: მრეწვე-



ლობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, დამზადება, საბითუმო ვაჭრობა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების აპარატი; მეორე, მოსახლეობის მომსახურების სფერო: საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურული მომსახურების საწარმოები; მესამე, სამეურნეო და სახელმწიფო მართვის სფერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატი [5(გვ. 47)].

პროფ. ა. გუნია თვლის, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა დარგების კლასიფიკაცია მოგვეხდინა არა სამ ჯგუფად, არამედ ოთხ ჯგუფად, რაც გამოიყვანის უფრო ზუსტ სურათს მოგვეცემა: პირველი, უშუალოდ მატერიალური წარმოების სფერო, სადაც შევა: მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა; მეორე, არაუშუალოდ მატერიალური წარმოების სფერო, რომელშიც შევა: ვაჭრობა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, საზოგადოებრივი კვება, დამზადება (მ. სონინი საზოგადოებრივ კვებას მოსახლეობის მომსახურების სფეროს მიაკუთვნებს, ხოლო ა. გუნია, მთლიანად ვაჭრობას—არაუშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროს. მესამე, არასაწარმოო სფერო, რომელშიც შევა: ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურული მომსახურების საწარმოები; მეოთხე, სამეურნეო და სახელმწიფო მართვის სფერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატი [6(გვ. 446)].

როგორც დავინახეთ, ეკონომიურ ლიტერატურაში, მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროს გამიჯვნის საკითხში საკმაოდ განსხვავებული შეხედულებანი არსებობს.

ჩვენი აზრით, გაცილებით მართებული იქნებოდა მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროს გამიჯვნას საფუძვლად დადებოდა შრომის პროცესის შინაარსი და ღირებულების შექმნის პროცესი. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, მატერიალური წარმოების სფეროში უნდა შევიდეს შემდეგი დარგები:

1. მრეწველობა;
2. მშენებლობა, რომლის პროდუქტი განივთებული და ცოცხალი შრომის შედეგია და შეიტანება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებაში;
3. სოფლის მეურნეობა, რომლის მიკუთვნება მატერიალური წარმოების სფეროსადმი, ისევე როგორც მრეწველობისა და მშენებლობისა, არავითარ ეჭვს არ იწვევს;
4. სატყეო მეურნეობა, რომელსაც ზოგჯერ სოფლის მეურნეობაში აერთიანებენ;
5. წყალთა მეურნეობა, რომლის ძირითადი ამოცანაა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობისა და შესაბამისი ხარისხის წყლით. მასში შედის წყალსაცავები, ჰიდროკვანძები, არხები, წყალსადები და ტუმბოს სადგურები და სხვ.
6. სატვირთო ტრანსპორტი. მატერიალური წარმოების სფეროში შედის საავტომობილო, სარკინიგზო, სამდინარო, საზღვაო, საჰაერო, მილსადენი, საჰაერო ტრანსპორტზე დასაქმებული შრომის ის ნაწილი, რომელიც ტვირთბიდვის ოპერაციებზე იხარჯება. სატვირთო ტრანსპორტი ემსახურება წარმოების პროცესის დასრულებას და ზრდის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებას;

7. საწარმოო ხასიათის კავშირგაბმულობა. ამ დარგის მუშაკთა მოვების მომსახურებაზე იხარჯება და ამდენად ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების შექმნაში მონაწილეობს;

8. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიურ ლიტერატურაში ამ საკითხის ირგვლივაც ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებანი არსებობს: ავტორთა ერთი ჯგუფი მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას მატერიალური წარმოების სფეროს აკუთვნებს (ვ. სონინი [5(გვ. 47)], ვ. მელქაძე [7(გვ. 28)], ა. გუნია [6(გვ. 446)], ი. შენიედერმანი [8(გვ. 23)] და სხვ.), ავტორთა მეორე ჯგუფი კი — არამატერიალური წარმოების სფეროს (მ. სოლოდკოვი [9(გვ. 10)], მ. სკარჟინსკი [10(გვ. 92)] და სხვ.). ჩვენი აზრით, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება უნდა მივაკუთვნოთ მატერიალური წარმოების სფეროს, ვინაიდან იგი ემსახურება წარმოებითი ფონდების წრებრუნვას, მათ გეგმაზომიერ განაწილებას დარგებსა და საწარმოებს შორის, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზეა დამოკიდებული წარმოების შეუფერხებელი განვითარება, საწარმოთა მუშაობის რიტმულობა, პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპები. ამ დარგის ორგანიზაციები ამავე დროს ასრულებენ ნაწარმის შენახვის, შეფუთვის, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების ფუნქციებს, რითაც ხდება წარმოების პროცესის გაგრძელება-დამთავრება. ამ თვალსაზრისით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში დახარჯული შრომა მონაწილეობს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში;


9. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება. დასამზადებელი პროდუქციის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ნედლეული, რომელიც გადასამუშავებლად მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგებში გადაიზვანება. ამ პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილი მიდის საცალო ვაჭრობაში. ამ დარგში დასაქმებული შრომაც ასრულებს დახარისხების, შეფუთვის, შენახვის, ტრანსპორტირების და ა. შ. ფუნქციებს და ზრდის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებას.

10. ვაჭრობის ის ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების პროცესის მიმოქცევის სფეროში გაგრძელებასთან (საქონლის დახარისხება, დაფასოება, შეფუთვა, შენახვა და ა. შ.). ამ სფეროში დასაქმებული მუშაკები მონაწილეობენ საქონლის ღირებულების შექმნაში. მათი შრომა მწარმოებლური ხასიათისაა და ზრდის საქონლის ღირებულებას;

11. საზოგადოებრივი კვების ის ფუნქციები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კვების პროდუქტების საკუთრივ წარმოებას;

12. მატერიალური წარმოების სხვა დარგები. მათ რიცხვში შედის ნადირობა, თევზჭერა, გარეული ხილის, კენკროვანთა და სამკურნალო მცენარეების შეგროვება, კინო-ფილმების წარმოება, გამომცემლობათა პროდუქცია და სხვ. მატერიალური წარმოების ამ თავისებურ სახეობათა აღსანიშნავად ეკონომიურ მეცნიერებაში მიღებულია ტერმინი „სხვა დარგები“.

სახალხო მეურნეობის დარგთა დანარჩენი ნაწილი შეადგენს საზოგადოების არასაწარმოო სფეროს, რომელთა კლასიფიკაცია ასეთია: 1. განათლება, 2. მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება, 3. ჯანმრთელობის დაცვა, 4. ხელოვნება, 5. ლიტერატურა, 6. კულტურული მომსახურება, 7. საყოფაცხოვრებო მომსახურება, 8. საბინაო-კომუნალური მეურნეობა, 9. ფიზკულტურა, 10. სო-



ციალური უზრუნველყოფა, 11. სამგზავრო ტრანსპორტი, 12. არასაწარმოო სიათის კავშირგაბმულობა, 13. ვაჭრობის ის ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია ყიდვა-გაყიდვის პროცესთან, მის ორგანიზაციასთან, საქონლის ფულად და ფულის საქონლად გადაქცევასთან. ამ შემთხვევაში იცვლება მხოლოდ ღირებულების ფორმა, ღირებულების ზრდა კი არ ხდება (გამყიდველების, მოლარეების, ინკასატორების და ა. შ. ფუნქციები), 14. საზოგადოებრივი კვების ის ფუნქციები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პროდუქციის რეალიზაციას, მომხმარებელთა მომსახურებას, 15. სახელმწიფო მმართველობა, 16. საზოგადოებრივი უშიშროებისა და თავდაცვის სფერო, 17. საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულებანი, 18. კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მმართველობის ორგანოები.

ვფიქრობთ, საწარმოო და არასაწარმოო სფეროს ასეთი გამიჯვნა შედარებით ზუსტად ასახავს დახარჯული შრომის თავისებურებებს დასაქმების სფეროების მიხედვით.

მატერიალურ წარმოებასა და არასაწარმოო სფეროს შორის არსებობს ურთიერთკავშირი, რაც გამოიხატება შემდეგში:

არასაწარმოო სფეროში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა, როგორც წესი, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისა და მატერიალურ წარმოებაში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდით განისაზღვრება*. რაც უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, შრომის მით უფრო მეტი ნაწილი შეუძლია საზოგადოებას გამოჰყოს არასაწარმოო სფეროსათვის. ჯერ ერთი, შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე შეფარდებით მცირდება იმ შრომის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების ამა თუ იმ რაოდენობის წარმოებისათვის. მეორე, შრომის ნაყოფიერების გადიდება განაპირობებს პროდუქციის ფიზიკური მოცულობის ზრდას, რომელიც გადადის მიმოქცევის არხში. ეს კი არასაწარმოო სფეროში გამოყენებული შრომის გადიდების აუცილებლობას ქმნის.

არასაწარმოო სფერო აქტიურ უკუზეგავლენას ახდენს მატერიალური წარმოების განვითარებასა და მისი ეფექტიანობის ზრდაზე, იგი „...ხელს უწყობს შრომის საერთო ნაყოფიერების განვითარებას...“ [4(გვ. 349)]. ეს გამოიხატება შემდეგში: პირველი, არასაწარმოო დარგებში იხარჯება შრომა, რომელიც ემსახურება მატერიალური წარმოების პროდუქტთა განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას, ამით კი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი კვლავწარმოების შეუფერხებელ განვითარებას; მეორე, ვანათლების, კადრების მომზადებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შრომა უზრუნველყოფს სამუშაო ძალის გაფართოებულ კვლავწარმოებას; მესამე, მეცნიერის შრომა, როდესაც მისი გამოკვლევების შედეგები პრაქტიკაში დაინერგება, არსებითად ზემოქმედებს საწარმოო ძალებზე; მეოთხე, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დასაქმებულთა შრომა ზრდის მშრომელთა თავისუფალ დროს, ქმნის საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის მატერიალური

* ამასთან, ჩვენი აზრით, ვინაიდან არასაწარმოო სფერო მექანიზაციის დონით ჩამორჩება მატერიალური წარმოების სფეროს, ამიტომ იგი ცოცხალი შრომის მეტი რაოდენობის გამოყენებას მოითხოვს.

ქვეყნული
ეკონომიკა

წარმოების მუშაკთა კეთილდღეობის ზრდის პირობებს. ეს მნიშვნელოვან ღირებულებას ახდენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობაზე. ამრიგად, არასაწარმოო სფეროს განვითარების ეკონომიური საფუძველი, მატერიალურ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ამაღლების გარდა, თვით მატერიალური წარმოების განვითარების ობიექტური მოთხოვნებია, რადგან არასაწარმოო სფეროს გაფართოება და დასაქმებულთა რიცხვის ზრდა აუცილებელია თვით მატერიალური წარმოების სფეროს განვითარებისთვისაც.

საწარმოო ძალების განვითარების საფუძველზე არასაწარმოო სფეროს ზრდა კანონზომიერი პროცესია. არასაწარმოო სფეროს უპირატესი განვითარების ტენდენცია არ არის დამოკიდებული წარმოების საზოგადოებრივ ფორმებზე. მიუხედავად ამისა, ეს ტენდენცია სპეციფიკური ფორმებით მოქმედებს ყოველ ეკონომიურ ფორმაციაში. სოციალიზმის დროს არასაწარმოო სფეროს განვითარების კანონზომიერება პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტური-საგან. სოციალიზმის პირობებში არასაწარმოო სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილის გადიდება მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებას ემსახურება, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებში არასაწარმოო სფეროში დასაქმებულთა ზრდის მთავარი მიზეზია არა მშრომელ ადამიანზე ზრუნვა, მისი განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და კულტურული მომსახურება, როგორც ამას კაპიტალიზმის აპოლოგეტები ამტკიცებენ, არამედ მონოპოლიების ბატონობის შემდგომი გაძლიერება და ამით გამოწვეული ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგობათა გამწვავება, პარაზიტისა და ლპობის გაძლიერება, წარმოებისა და განაწილების კაპიტალისტური ფორმა, კაპიტალისტური იდეოლოგია. კაპიტალისტური საშინაო და საგარეო პოლიტიკა შრომის სულ უფრო მეტ ნაწილს შთანთქავს. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში საქონლის რეალიზაციის პრობლემის უკიდურესი გამწვავება წარმოშობს იმ პირთა რაოდენობის გადიდების აუცილებლობას, რომლებიც დასაქმებულნი არიან ვაჭრობაში, სარეკლამო საქმეში და ა. შ. ბუნებრივია, საქონლის რეალიზაციის პრობლემა ზღუდავს წარმოებას, რითაც ამცირებს წარმოების მუშაკთა რაოდენობას და არასაწარმოო სფეროს გაფართოების აუცილებლობას ხდის. არ არის გასაკვირი, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში შეიმჩნევა ვაჭრობის მუშაკთა რაოდენობის ინტენსიური ზრდა. მაგალითად, აშშ-ში პირველ მსოფლიო ომამდე ვაჭრობაში დასაქმებული იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 10%, 1929—1933 წლების ეკონომიური კრიზისის პერიოდში — 13%, ხოლო 50-იან წლებში — თითქმის 20%. მაშასადამე, ყოველი მეხუთე კაცი დასაქმებული იყო ვაჭრობაში [11 (გვ. 113)]. ამჟამად აშშ-ის ვაჭრობაში დასაქმებულთა რიცხვი 25% აღწევს [12 (გვ. 174)]. რეალიზაციის პრობლემის სიმწვავე ზრდის რეკლამისთვის გაწეულ ხარჯებს. კაპიტალისტურ ქვეყნებში არასაწარმოო სფერო გაბერილია, აგრეთვე, საფინანსო და სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის მუშაკთა, პირადი მომსახურებით დასაქმებულთა ზრდის ხარჯზე და ა. შ. არასაწარმოო სფეროს ასეთი გაფართოება გამოწვეულია კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობებით. კაპიტალიზმის დროს არასაწარმოო სფეროს მუშაკთა შრომის მნიშვნელოვანი ნაწილი არა მხოლოდ ზედმეტია, არამედ დამამძიმებელიც. ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გამო, — მიუთითებდა ფ. ენგელსი, — სამუშაო ძალის უდიდესი რაოდენობა იხარჯება იმგვარად, რომ



საზოგადოება მისგან არავითარ სარგებლობას არ იღებს [13(გვ. 535)]. მშრომის აუცილებლობა გამოდინარეობს ბურჟუაზიული საზოგადოების ეკსპლოატატორული ბუნებიდან, ბურჟუაზიისა და მშრომელი მასების ეკონომიური ინტერესების ურთიერთდაპირისპირებიდან. რეალიზაციის პრობლემის უკიდურესი გამწვავება, მონოპოლიურად მაღალი მოგებისადმი ბრძოლა, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზრდა, ფინანსური ოლიგარქიის უფლებამოსილება, კაპიტალისტთა კლასის წმინდა პარაზიტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, პოლიტიკური შპიონაჟი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროპაგანდა შთანთქმავს იმ მშრომის სულ უფრო მეტ ნაწილს, რომელსაც საზოგადოებისათვის სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ აუცილებელია თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში.

ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს არ სურთ დაინახონ თანამედროვე კაპიტალიზმის განუკურნებელი წყლულები. ისინი ცდილობენ არასაწარმოო სფეროს გაბერვა ახსნან. როგორც კაცობრიობის განვითარების აბსოლუტური კანონი და სრულებითაც არ სურთ მოგვეცნ არასაწარმოო სფეროს სტრუქტურული ანალიზი.

არასაწარმოო სფეროს სტრუქტურული თანათარღობა და ამ თანათარღობის ცვლილება უშუალოდ უკავშირდება კონკრეტულ წარმოებით ურთიერთობებს. მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 4,3% იხარჯება განათლებასა და კადრების მომზადებაზე, მაშინ როდესაც სამხედრო ხარჯები 41,2%-ს შეადგენს [14(გვ. 291)].

სოციალისტური საზოგადოების არასაწარმოო სფეროს სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წონა უჭირავს განათლებასა და მეცნიერებას.

1973 წლის მონაცემებით, საქართველოს სსრ-ში უმაღლესი განათლების მქონე მუშაკთა რიცხვი 209,4 ათასს აღწევდა მაშინ, როდესაც 1941 წელს 33,9 ათასი კაცი იყო, ე. ი. 1941 წელთან შედარებით დაახლოებით 6-ჯერ გაიზარდა. საშუალო სპეციალური განათლების მქონე მუშაკთა რიცხვი 1941 წელს თუ 33,2 ათასი კაცი იყო, 1973 წელს — 154,7 ათას კაცს მიადწია, ანუ დაახლოებით 5-ჯერ გაიზარდა [15(გვ. 179)]. 1960/61 წლებში საქართველოს 56322 სტუდენტი ჰყავდა, 1973/74 წლებში კი — 83417 [15(გვ. 236)]. განათლების განვითარება საბჭოთა მეცნიერების წინსვლისა და აყვავების მტკიცე საფუძველია. წარმოებაში სულ უფრო სწრაფად იწერება მეცნიერული აღმოჩენები და გამოგონებანი. მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა 1940—1973 წლებში 3513-დან 23260-მდე, ე. ი. 6-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა [15 (გვ. 248)], [16(გვ. 123)].

საქართველოს სსრ-ში არასაწარმოო სფეროს განვითარების დამახასიათებელია, აგრეთვე, იმ დაწესებულებათა რაოდენობის გადიდება, რომლებიც ემსახურებიან მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კლუბების, თეატრებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას არ შეიძლება არ გამოეწვივა არასაწარმოო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა.

არასაწარმოო სფეროს მუშაკთა ხვედრითი წილის გადიდებას განაპირობებს, აგრეთვე, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება. ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა რაოდენობა იზრდება როგორც აბსოლუტურად ისე შეფარდებით. ამჟამად მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის

სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფის ასეთი მაღალი მაჩვენებელი, რიც ჩვენს ქვეყანაშია. საქართველოს რესპუბლიკაში, 1973 წლის მონაცემებით, ყველა სახის სპეციალობის ექიმთა რაოდენობა 18610 კაცს შეადგენდა, მაშინ, როდესაც 1940 წელს მხოლოდ 4894 იყო, ე. ი. ამ პერიოდში დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა [15(გვ. 257)].

